# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 15 ნოემბერი 2000 №221 (1243) | ფასი 50 თეთრი

## თურქებმა შოთა და არჩილი გაიხსენეს



არველაძეებს „გალათასარაი“ ტყუპად ეპატიჟება

## ჯანაშიას და რაიოს თბილისში ვერ ვნახავთ

უეფამ „ლოკომოტივი“ მოსკოვში დატოვა

## ბერტი და მისი ამალა



ფოგტსი ლევერკუზენში რევოლუციას აპირებს

## ეგრე ვინ გაჩხუბებს?!



ლუისი ტაისონის სიტყვას და გაზაფხულს ელის

# ვისია, ვისია, ბურთი ოქროსი!

ვინ მოიპოვებს წლეულს „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთს ანუ ვინ გახდება 2000 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი? ერთი შეხედვით, მარტივი შეკითხვაა და პასუხსაც დიდი ფიქრი არ სჭირდება: ცხადია, ევროპის ჩემპიონატის მშვენება ზინედინ ზიდანი.

მაგრამ ეს ერთი შეხედვით...

ანდრეი შევჩენკო, უკრაინელი გოლების მანქანა, რა, არ არის ღირსი? ფიგუმ რაღა დააშავა? ანდა რაული, ვინც ევროპის ჩემპიონობა ვერა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა ხომ მოიგო? და ტოლდო გაიხსენეთ.

მოკლედ, არცთუ მწირი არჩევანია.

არჩევანი კი ევროპის ყველა ქვეყნის თითო სპორტულმა გამოცემამ უნდა გააკეთოს. საქართველოდან, გეხსომებათ, ეს მისია „სარბიელს“ აკისრია.

რჩეული ხუთეულის „ფრანს ფუტბოლში“ წარდგენის ბოლო ვადა 1 დეკემბერია. მერე ყველაფერი შეჯამდება და საუკუნის ბოლო „ოქროს ბიჭის“ ვინაობაც გაირკვევა.

მანამდე კი იმ 50 ფეხბურთელის ნუსხას გაეცანით, ფრანგულმა ყოველკვირეულმა ამ ჯილდოს კანდიდატებად რომ მიიჩნია:

| | |
|---|---|
| სონი ანდერსონი | (ბრაზილია, ლიონი) |
| ჟოსელინ ანგლომა | (საფრანგეთი, ვალენსია) |
| გაბრიელ ომარ ბატისტუტა | (არგენტინა, ფიორენტინა/რომა) |
| დენის ბერხკამპი | (ჰოლანდია, არსენალი) |
| ანდრეი შევჩენკო | (უკრაინა, მილანი) |
| ერნან კრესპო | (არგენტინა, პარმა/ლაციო) |
| მარსელ დესაი | (საფრანგეთი, ჩელსი) |
| ლუიშ ფიგუ | (პორტუგალია, ბარსელონა/რეალი) |
| ჯერემი ნჯიტაპი | (კამერუნი, რეალი) |
| ჰაქან შუქური | (თურქეთი, გალათასარაი/ინტერი) |
| ფილიპო ინძაგი | (იტალია, იუვენტუსი) |
| ოლივერ კანი | (გერმანია, ბაიერნი) |
| პატრიკ კლუივერტი | (ჰოლანდია, ბარსელონა) |
| პატრიკ მბომა | (კამერუნი, კალიარი/პარმა) |
| სავო მილოშევიჩი | (იუგოსლავია, სარაგოსა/პარმა) |
| ალესანდრო ნესტა | (იტალია, ლაციო) |
| რაულ გონსალესი | (ესპანეთი, რეალი) |
| ფერნანდო რედონდო | (არგენტინა, რეალი/მილანი) |
| რობერტო კარლოსი | (ბრაზილია, რეალი) |
| პოლ სქოულზი | (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი) |
| იაპ სტამი | (ჰოლანდია, მანჩესტერ იუნაიტედი) |
| ფრანჩესკო ტოტი | (იტალია, რომა) |
| ხუან სებასტიან ვერონი | (არგენტინა, ლაციო) |
| სილვენ ვილტორდი | (საფრანგეთი, ბორდო/არსენალი) |
| ზინედინ ზიდანი | (საფრანგეთი, იუვენტუსი) |
| ნიკოლა ანელკა | (საფრანგეთი, რეალი/პარი სენ ჟერმენი) |
| ფაბიენ ბარტეზი | (საფრანგეთი, მონაკო/მანჩესტერ იუნაიტედი) |
| დევიდ ბექემი | (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი) |
| ლორან ბლანი | (საფრანგეთი, ინტერი) |
| კლაუდიო ლოპესი | (არგენტინა, ვალენსია/ლაციო) |
| ედგარ დავიდსი | (ჰოლანდია, იუვენტუსი) |
| დიდიე დეშამპი | (საფრანგეთი, ჩელსი/ვალენსია) |
| მარსელო გალიარდო | (არგენტინა, მონაკო) |
| რაიან გიგზი | (უელსი, მანჩესტერ იუნაიტედი) |
| ტიერი ანრი | (საფრანგეთი, არსენალი) |
| მარიო ჟარდელი | (ბრაზილია, პორტუ/გალათასარაი) |
| როი კინი | (ირლანდია, მანჩესტერ იუნაიტედი) |
| პაოლო მალდინი | (იტალია, მილანი) |
| გაისკა მენდიეტა | (ესპანეთი, ვალენსია) |
| პაველ ნედვედი | (ჩეხეთი, ლაციო) |
| ნუნუ გომეში | (პორტუგალია, ბენფიკა/ფიორენტინა) |
| ალვარო რეკობა | (ურუგვაი, ინტერი) |
| რივალდო | (ბრაზილია, ბარსელონა) |
| მანუელ რუი კოშტა | (პორტუგალია, ფიორენტინა) |
| მარკო სიმონე | (იტალია, მონაკო) |
| ფრანჩესკო ტოლდო | (იტალია, ფიორენტინა) |
| დავიდ ტრეზეგე | (საფრანგეთი, მონაკო/იუვენტუსი) |
| პატრიკ ვიეირა | (საფრანგეთი, არსენალი) |
| ზლატკო ზაჰოვიჩი | (სლოვენია, ოლიმპიაკოსი/ვალენსია) |
| ბუდევინ ზენდენი | (ჰოლანდია, ბარსელონა) |



შესაძლოა, შარშანდელმა გამარჯვებულმა რივალდომ „ოქროს ბურთი“ ფიგუს გადააბაროს, თუმცა ამაზე არც შევჩენკო იტყოდა უარს



# ამხანაგური და ადამიანური



იტალია ინგლისს ეთამაშება, ესპანელები ჰოლანდიელებს უმასპინძლებენ, მსოფლიოს ჩემპიონები კი აგერ, თურქეთში ჩამოვიდნენ... დღეს ევროპაში დიდი ფეხბურთის ამხანაგური დღეა.

„კოპენჰაგენში ძალიან ცუდ ხასიათზე ჩავდივართ“ — თქვა დამწუხრებულმა რუდი ფიოლერმა, რომლის გუნდიც დღეს დანიელებს შეხვდება, თუმცა გერმანელი ფეხბურთელების გონება სამშობლოში დარჩა: იქ მათ მეგობარს, 28 წლის ჰაიკო ჰერლიხს ტვინის სიმსივნე აღმოუჩინეს. „ჩვენ მის გვერდით ვართ ყველგან და ყოველთვის“ — ბუნდესნაკრების წევრთა აზრი კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა გამოხატა.

ამხანაგური ფეხბურთი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეორე თბილისელი დანდიში არგენტინიდან ჩავიდა

## გიორგიმ შოტლანდიელებს გიო გაახსენა



რამდენიმე წამი ნემსაძის სუპერგოლამდე. წინ მხოლოდ მეკარე რჩება

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ თავისი პირველი გოლი გაიტანა შოტლანდიის ჩემპიონატში. შაბათს სახელოვანი არგენტინელის, კლაუდიო კანიჯასა და ჩვენებურის გოლებით „დანდიმ" თანაქალაქელი „იუნაიტედი" დაამარცხა. ნემსაძის გოლი კი ერთობ ეფექტური გამოდგა — ორი მეტოქე რომ გააპამპულა, მერე მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. ამის შემხედვარე შოტლანდიელმა ჟურნალისტებმაც ნემსაძეს სულ ქინქლაძე, ქინქლაძეო, უძახეს და ნემსაძის გოლი ქინქლაძის ინგლისში გატანილებს შეადარეს.

იქამდე კი, ვიდრე ნემსაძე „დანდი იუნაიტედს" დაალონებდა, გავრცელდა ინფორმაცია, გიორგის „დანდიში" დიდხანს არ გააჩერებენ, მისით იტალიური სერია A-ს რამდენიმე კლუბი დაინტერესდაო. ჩვენც ორშაბათს ნემსაძეს შოტლანდიაში შევეხმიანეთ და სწორედ ამის თაობაზე ვკითხეთ:

— ჯერჯერობით ახალს ვერაფერს გეტყვით, აქ, შოტლანდიაშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს, „დანდი" კმაყოფილია ჩემი თამაშით და არაფერს მიჭირვებს. ამას წინათ კი ჩემი მენეჯერი ივან ბენეში მართლაც დამიკავშირდა და მითხრა, შენი გადაბირება რამდენიმე კლუბს სურსო, თუმცა არაფერი დაუკონკრეტებია, ისღა დაამატა, იტალია — საქართველოს მატჩს ბევრი მწვრთნელი დაესწრო და შენი თამაშით კმაყოფილნი დარჩნენო. იტალიელები კი ერთი თამაშის ნახვით არაფერს წყვეტენ, ისინი კარგა ხანს აკვირდებიან მათთვის საინტერესო ფეხბურთელს. თუ იტალიელები ჩემს გადაბირებას მოინდომებენ, ეს ამბავი ზამთრამდე მაინც არ მოგვარდება. ისე კი, „დანდისთან" სამწლიანი კონტრაქტი მაქვს.

და კიდევ, კლაუდიო კანიჯაზეც, რომელიც ნემსაძის თანაგუნდელია.

— ძალიან კარგი ბიჭია, ერთი-ორი კვირაა ჩამოსულია და უკვე დამიმეგობრდა, თბილისელს მაგონებს და, ალბათ, ამიტომაც არ გამჭირვებია მასთან ურთიერთობა. უბრალო და უშუალოა, კაცს არ აგრძნობინებს, არიქა, მე კანიჯა და მარადონას ძმაკაცი ვარო — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, რომელმაც შვეიცარიის „გრასჰოპერში" ორი წლის წინ გატანილი გოლის შემდეგ ჩემპიონატის მატჩში შაბათს პირველი ბურთი შეაგდო.

**კობა ინასარიძე**



გოლიდან რამდენიმე წამში

# უეფამ ლოკომოტივი მოსკოვში დატოვა

**როგორც** იცით, მოსკოვის „ლოკომოტივმა" სურვილი გამოთქვა, ესპანურ „რაიო ვალეკანოს" უეფას თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩში თბილისში უმასპინძლოს. ამის შესახებ მათ საქართველოს ხელისუფლებასა და ფეხბურთის ფედერაციას აცნობეს, მათგან თანხმობა მიიღეს და საქმესაც ისეთი პირი უჩანდა, რომ ზაზა ჯანაშიას კლუბი მეტოქეს „ეროვნულ" სტადიონზე უმასპინძლებდა, მაგრამ...

მსგავსი თხოვნით რკინიგზელებმა, ბუნებრივია, უეფასაც მიმართეს. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ კი ცივი უარი სტკიცა მთხოვნელებს. უეფას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ლოკომოტივი" „რაიო ვალეკანოს" მხოლოდ მოსკოვში უმასპინძლებს. ეს გასაგებიცაა, „სპარტაკი" ხომ 22 ნოემბერს სწორედ რუსეთის დედაქალაქში ჩაატარებს ჩემპიონთა ლიგის მატჩს და აქედან გამომდინარე, ევროპული ფეხბურთის მამებმა არ ისურვეს „ლოკომოტივისთვის" (რომელიც „რაიო ვალეკანოს" 23 ნოემბერს უნდა შეხვდეს) გარკვეული პრივილეგიის მინიჭება. რუსებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ბედს შეგუებულმა რკინიგზელებმა გუშინ განაცხადეს, რომ ესპანელებს „დინამოს" სტადიონზე დაუხვდებიან.

**ბაადა ძვანტალიანი**

# გალათასარაის შოთა 9 მილიონი შეღირს

**ახალი** მთხოვნელი გამოუჩნდა ამსტერდამის „აიაქსის" ქართველ თავდამსხმელ შოთა არველაძეს. მას თურქეთის ჩემპიონი და უეფას თასის შარშანდელი მფლობელი სტამბოლის „გალათასარაი" ეპატიჟება და როგორც ერთ-ერთი უცხოური სააგენტო იუწყება, თანახმაა, „აიაქსს" არველაძის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა გადაუხადოს.



ტყუპ არველაძეებს „გალათასარაი" ტყუპად ეპატიჟება

ეს ამბავი შოთამაც დაგვიდასტურა და მისმა ტყუპისცალმა, გერმანიის „კიოლნში" მოთამაშე არჩილმაც, „გალათასარაის" თურმე მისი გადაბირებაც სწადია და, შოთასი, არ იყოს, მასაც რამდენჯერმე დაკავშირებია თურქთა რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ. ძმების პასუხი კი „გალათასარაისთვის" მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო — მათ ცივი უარი არა, მაგრამ საიმედოც არაფერი უთქვამთ.

სხვათა შორის, „გალათასარაის" სურვილი, ტყუპი არველაძეები თავისთან ათამაშოს უფრო იმითაა განპირობებული, რომ გუნდიდან წასვლაზე ბრაზილიელი ფორვარდი მარიო ჟარდელი ალაპარაკდა. მას ისევ პორტუგალიაში, ოღნოდ „პორტუს" უმთავრეს კონკურენტ „ბენფიკაში" სურს თამაშის გაგრძელება. „გალათასარაის", რაღა თქმა უნდა, ჟარდელის გაშვება სულაც არ ეპიტნავება, მაგრამ პორტუგალიელები თურქებს ბრაზილიელის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას სთავაზობენ, თანაც ფეხბურთელიც მოწადინებულია. „გალათასარაის" შოთა არველაძე ტყუპისცალითურთ ალბათ ჟარდელის შემცვლელად ეგულება.

**კობა ინასარიძე**



გიორგი კიკნაძემ ორი კვირა „ფრაიბურგში" უნდა ივარჯიშოს, მერე ვნახოთ...

# ფინკემ სამ ქართველს მეოთხე ჩაამატა...

## გიორგი კიკნაძე უკვე ფრაიბურგში ვარჯიშობს

**„ფრაიბურგმა"** ბუნდესლიგაში შაბათს შინ „ლევერკუზენთან" 0:1 წაგების შემდეგ, ვარჯიში ფეხბურთელშემატებულმა განაახლა. უკვე მესამე დღეა, სამი ქართველის გუნდში კიდევ ერთი ჩვენებური — გიორგი კიკნაძე ვარჯიშობს და ცდილობს, მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს თავი მოაწონოს. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია, რას ფიქრობს „ფრაიბურგის" თავკაცი კიკნაძეზე, თუმცა ხანმოკლე პირადი საუბრისას ფინკეს გიორგისთვის უთქვამს, ორი კვირა ჩვენთან ივარჯიშე და ჩემს მოთხოვნებს თუ დააკმაყოფილებ, თურქეთის „სამსუნსფორისთვის" შენს სანაცვლოდ 90 ათასი დოლარს უპრობლემოდ გადავიხდით და „ფრაბიურგში" ითამაშებო. ამის შემდეგ კიკნაძეც უფრო მონდომებულია და დიდი სურვილიც აქვს, რომ „ფრაიბურგში" დატოვონ.

„ლევერკუზენთან" მატჩის შემდეგ ფინკე შეგირდებს თურმე ბურთს არ აკარებს და სამი დღეა, ფეხბურთელებს დაარბენინებს, კიკნაძესაც მათ შორის.

ყველაფერი კი სამი წლის წინ დაიწყო, მაშინ, როცა თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფი... ციო მატჩში „ლევერკუზენს" შეხვ... ფინკეს კიკნაძე სწორედ იმ თამაშის... მოსვლია თვალში, რომელიც „დინ... მომ" 1:6 წააგო და მისი გადაბირ... მოუსურვებია. მაშინ ეს საქმე რატო... მღაც არ გამოვიდა. ახლა კი „ლევერკუ... ზენისა" და კობიაშვილის, იაშვილის და ცქიტიშვილის მენეჯერმა რეტი... ფინკეს ის მე-7 ნომერი ქართველი გ... ახსენა — შენ რომ მაშინ ფეხბურთე... ლი მოგეწონა, დღეს უგუნდოდ არის... დაახლოებით ასეთი რამ უთქვამს „ფრ... აიბურგის" მწვრთნელისთვის მენეჯერ... მერე ფინკეს კიკნაძის თაობაზე მის... ქართველი შეგირდებისთვისაც უკ... თხავს და მაშინვე ჩვენებურთათვის უთ... ხოვია, დაუკავშირდით მას და ჩამოიყ... ვანეთო.

ვნახოთ. გიორგი კიკნაძეს, რომელი... თითქმის წელიწადია, უგუნდოდ არის... მაგრამ იურიდიულად „სამსუნსფორს"... ეკუთვნის და თავისთვის ვარჯიშობს... როგორც იქნა, პერსპექტივა გამოუჩნდა... ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდე... ბული, ფინკესთან თავი გამოიჩინოს და...

**კობა ინასარიძე**

# ჩივაძეს ბესკოვის ნაკრებში აბრუნებენ

**მოგონებანი** გარდასულ დღეთა — ალბათ, ასეთი ელფერი ექნება ზეიმს რუსეთის დედაქალაქში, რომლის ორგანიზატორიც საფეხბურთო კლუბი მოსკოვის „დინამოა". რუსეთის საფეხბურთო საზოგადოება ორ ღირშესანიშნავ თარიღს აღნიშნავს: 22 ნოემბერს კონსტანტინე ბესკოვს 80 წელი უსრულდება, ხოლო 55 წლის წინ მოსკოვის „დინამომ" საბჭოთა კლუბების პირველივე უცხოურ ტურნეზე ინგლისში ფურორი მოახდინა (იმდროინდელი მოსკოველი დინამოელებიდან ბესკოვის გარდა მხოლოდ ორია ცოცხალი — ლეონიდ სოლოვიოვი და ვლადიმერ სევდუნინი).

სადღესასწაულო პროგრამა 21-დან 23 ნოემბრამდე გასტანს. ყველაზე საინტერესო უდავოდ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ვეტერანთა ნაკრებების შეხვედრა იქნება, რომელიც 22 ნოემბერს ჩატარდება. ზეიმზე და საგანგებოდ ამ მატჩისთვის საბჭოთა ნაკრების ქართველი ვეტერანებიდან მო... წვეულია ალექსანდრე ჩივაძე. რა თქმ... უნდა, მობურთალებს მოსკოვის ყინვ... ან ნოემბერში გარეთ ცხვირს არავი... გააყოფინებს — საბჭოთა ნაკრები სპო... რტკომპლექს „ოლიმპიისკში" დაუხვ... დება ბრიტანელებს. საქმეს ისეთი პი... რი უჩანს, ვეტერანები სალაღობოდ არ... გავლენ სარბიელზე — მასპინძელთ... გუნდი თამაშის წინა დღეს საგანგე... ბოდ შეიკრიბება რუსეთის ეროვნული... ნაკრების ბაზაზე ნოვოგორსკში. საბ... ჭოელების მთავარი მწვრთნელი თვით... იუბილარი, კონსტანტინე ბესკოვი იქ... ნება, მისი თანაშემწე კი — ნიკიტა... სიმონიანი.

და კიდევ. ზეიმზე, რომლის ოფიცი... ალური სახელწოდებაა „ფეხბურთი სა... ზღვრებს გარეშე. მოსკოვი 2000", სა... პატიო სტუმრის სტატუსით მიწვეუ... ლია სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორ... დანია.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი · 12 · პირველი წრე

**14 ტური**

# მსაჯის ტკივილი

**მეთოთხმეტე** ტურში პირველი ლიგისთვის იშვიათი რამ მოხდა — არც ერთი მატჩი არ დასრულებულა ფრედ. ოთხ შეხვედრაში მასპინძლებმა ივარგეს, ორშიც სტუმრებმა იმარჯვეს, სამაგიეროდ, ტრადიცია არ დარღვეულა, განვლილმა ტურმა კიდევ უფრო გაამძაფრა ლიდერობისთვის და ექვსეულში მოხვედრისთვის ბრძოლა.

მეთოთხმეტე ტური უხვგოლიანი რომ გამოდგა, გარკვეულწილად ზესტაფონელთა დამსახურებაცაა, იმერლებმა შინაურ სარბიელზე „ზუგდიდი" გაანადგურეს — 7:2. სატურნირო ცხრილის მეზობელთა ურთიერთშეხვედრაში ამგვარ შედეგს ბევრი ვერ იწინასწარმეტყველებდა, მაგრამ მომხდარში უჩვეულო არაფერია. „ზუგდიდს" უსახსრობამ თავისი კვალი დაატყო. „მეტალურგთან" მატჩამდე საქართველოს თასის მერვედფინალური შეხვედრისთვის „ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ მატარებლით იმგზავრეს ზუგდიდელებმა, შინაც სარკინიგზო გზით დაბრუნდნენ. ორდღიანმა მოგზაურობამ ერთობ მოქანცა ისედაც შეჭირვებული გუნდი, ამას ათ ნოემბერს ზესტაფონში წასვლა მოჰყვა და შედეგიც სახეზეა.

სტუმართა რბევა დიმიტრი აბაზაძემ დაიწყო მეათე წუთზე, შემდეგ, თექვსმეტწუთიან მონაკვეთში, ზესტაფონელთა ბომბარდირმა გრიგოლ გვაზავამ დუბლი გააზერხა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა. 32-ე წუთზე დიმიტრი ფირცხალეიშვილმა ერთიც გაუტანა მეტოქეს და აქ ნერვები ველარ მოთოკა ანზორ ჯიქიამ — ზუგდიდელმა ფეხბურთელმა გამიზნულად ესროლა ბურთი შეხვედრის არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს და შავოსნისგან წითელი ბარათი იხილა. ათკაციანმა „ზუგდიდმა" სრული კაპიტულაცია გამოაცხადა და შედეგად მეექვსე ადგილი მეტოქეს გადაულოცა.

ჩემპიონატში მეორედ გაიმარჯვა ხაშურის „ივერიამ". „ხობი" მასპინძლებს ბოლო წუთამდე ებრძოლა, მაგრამ 62-ე წუთზე ზვიად მინაძის გატანილი გოლის გაქვითვა ვერ შეძლო, შედეგად გვარიანად ჩამოშორდა ექვსეულს. „ივერიამ" სატურნირო მდგომარეობა კი გამოისწორა, მაგრამ ექვსეულისთვის ბრძოლის ნაცვლად, წესით, ლიგაში ადგილის შენარჩუნებას უნდა ეცადოს.

დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა ქობულეთის „შუქურამ" „თბილისთან" გასვლით მატჩში, თუმც ამის გაკეთება ბოლო წამს სასწაულებრივ შეძლეს ზღვისპირელებმა. რევაზ გაგუას შეგირდები მედგრად დაუხვდნენ ამბიციურ სტუმრებს და დებიუტშივე დაეუფლნენ უპირატესობას, მაგრამ მე-17 წუთზე დასანანი შეცდომა დაუშვეს და ბადრი ფუტკარაძემ „შუქურა" დააწინაურა. „თბილისმა" 49-ე წუთზე გაქვითა, თანაგუნდელთა შეტევა მცველმა ლაშა კაპანაძემ დააგვირგვინა და მატჩიც ისე გაგრძელდა, მნახველი უფრო ფრეს იწინასწარმეტყველებდა. თუმც ალექსანდრე მეშკოვის მიერ წამატებულ წუთებში სტუმრებმა პენალტის უფლება მოიპოვეს და მსაჯისგან ბოძებული შანსი ჯონი კალანდაძემ გამოიყენა. „თბილისი" მეთერთმეტედ დამარცხდა თოთხმეტ მატჩში და გავარდნისგან სასწაულიღა თუ იხსნის.

90 წუთი ამოწურული იყო, როცა თერთმეტმეტრიანი დანიშნა კახა მესხმა „გურია"-„ოკეანეს" მატჩში. ამან სტუმართა აღშფოთება გამოიწვია. სამტრედიელებმა მსაჯის გადაწყვეტილება არასწორად მიიჩნიეს და მას წაეკამათნენ, რაც მატჩის შემდეგაც გაგრძელდა, თუმც, რა თქმა უნდა, ყოველივემ შედეგზე გავლენა ვერ მოახდინა, ავად თუ კარგად, „გურიამ" 3:2 იმარჯვა.

ლანჩხუთელები დებიუტშივე დააწინაურა სულაკაძემ, როგორც ჩანს, ამ გოლმა თავდაჯერებულ და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული მასპინძლები მოადუნა და 33-ე წუთისთვის უკვე „ოკეანე" იყო წინ. კაცაძის სამ წუთში გაქვითულს კრავეიშვილმა მეორე მოაყოლა და ტაიმი სამტრედიელებმა მოიგეს.

„გურიამ" შეცვლაზე შესული პატარაიას გოლით, მართალია, ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მატჩის ბოლომდე ამაოდ აწყდებოდა სტუმართა კარს, გოლი არ ჩანდა. შემდეგ კი იყო პენალტი, რომელიც გამოცდილმა ზვიად ენდელაძემ აუღელვებლად შეასრულა და ლანჩხუთელები ქულებით „ცხინვალს" გაუტოლდნენ.

„თორი"-„სამგურალის" მატჩი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, თანამსაჯი კახა თბილელი შესაცვლელი რომ გახდა. მე-2 წუთზე მას ხაზზე მოძრაობისას ფეხი გადაუბრუნდა და ტკივილით შეწუხებული კოჭლობით დაადგა გასახდელის გზას, მისი ადგილი კი მეოთხე არბიტრმა ავთანდილ შალამბერიძემ დაიკავა. „თორიც" და „სამგურალიც" ექვსეულისთვის იბრძვიან და ამ მატჩს ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტუმრები უკეთ მობილიზებულნი აღმოჩნდნენ და შოთა ბაბუნაშვილის მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლით მიღებული უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს. ბორჯომელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ მეკარე თედო ბოდოკიას ვერაფერი მოუხერხეს.

ტურის ცენტრალური მატჩი ძველ ანაგაში გაიმართა. „მილანმა" ერთპიროვნულ ლიდერ „ცხინვალს" უმასპინძლა და დამაჯერებლად სძლია. კახელებმა სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეკარე სერგო ქესანაშვილს. გუნდებს შორის თანაბარი ბრძოლა ნახევარ საათს გაგრძელდა, მერე კი მიხეილ სომხიშვილის გოლს სამ წუთში დიმიტრი კაპანაძემ მეორეც მიაყოლა და შესვენებაზე ჩინებულ ხასიათზე წავიდა „მილანი". „ცხინვალმა" მეორე ტაიმში ვერაფერი გააწყო მეტოქესთან და 78-ე წუთზე პენალტითაც დაისაჯა. გია ტოკლიკიშვილმაც კიდევ ერთი გოლი შემატა მონაგარს და ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია.

მეთხუთმეტე ტური შაბათს, 18 ნოემბერს გაიმართება. „ხობი" „გურიასთან" ვერმოგებით, ალბათ, საბოლოოდ დაკარგავს ექვსეულში მოხვედრის შანსს, ამიტომ ეს შეხვედრა გარკვეულ ინტერესს იწვევს, ისევე როგორც „შუქურა"-„სამგურალის" დაპირისპირება ქობულეთში.

**ბაადა ძვანტალიანი**

---

თბილისი
10 ნოემბერი
15 საათი
მუშტაიდის ბაღი
100 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 1:2 შუქურა**

0:1 ფუტკარაძე (17), 1:1 კაპანაძე (49), 1:2 კალანდაძე (90პ)
თბილისი: კუპატაძე, აბრამიშვილი, მახარაძე, ნიკურაძე, ლ. კაპანაძე, პ. ფირცხალავა, გუშარაშვილი (მანაგაძე 82), ქუხილავა (ბაბაშვილი 62), მისაბიშვილი (ნათობიძე 73), გოგმაჩაძე, მანჯგალაძე, მანჭარაული
სათადარიგონი: მჭედლიშვილი
შუქურა: გოგუა, ლომთათიძე (კვირკველია 72), ბეჟაშიძე, ფალიჩავა, ჩელებაძე, ქუტიძე, ბ. ფუტკარაძე, ბაცუნაშვილი, ბერიძე, კალანდაძე, კაკალაძე
სათადარიგონი: პერმინოვი; გორჯელაძე, ჩახუნაშვილი, ბოლქვაძე, მესხიძე
გაფრთხილება: ფუტკარაძე (80), მანჭარაული (86), ფირცხალავა (87), აბრამიშვილი (89)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მალალურაძე (თბილისი)

ქუთაისი
14 ნოემბერი
15 საათი
ოკეანე
(ტევადობა 1000)

**ოკეანე 2:1 ივერია**

XIII ტურის
გამოტოვებული მატჩი

ხაშური
10 ნოემბერი
15 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
500 (ტევადობა 8 000)

**ივერია 1:0 ხობი**

1:0 მინაძე (62)
ივერია: ბალიანი, ყაჩლავაშვილი, მელაძე, გ. ლურსმანაშვილი, ნეკერაშვილი, გოგბალაძე (ვლასოვი 49), ჯობაძე (ხაჩიძე 87), ვეშაპიძე, მინაძე, ჯაფარაშვილი, კ. ჩალაძე
სათადარიგონი: ლონლაძე, ულუმბელაშვილი, ბლიაძე
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია, ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ფიფია, ხურცილავა, ბერაია, არ. ჯიქია, ქეჟია, ქიქინაძე, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; ხაჟალია, გეგია, ხორავა
გაფრთხილება: ი. ჯაბუა (63), ჯობაძე (67), ჩალაძე (83), ვეშაპიძე (85)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, ო. ხეცაძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 13 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 12 - გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 11 - ქუთათელაძე | სამგურალი |
| 10 - ბოჭორაძე | ცხინვალი |
| 8 - ტოკლიკიშვილი | მილანი |

ბორჯომი
10 ნოემბერი
15 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
500 (ტევადობა 3 000)

**თორი 0:1 სამგურალი**

0:1 ბაბუნაშვილი (32)
თორი: სულავა, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, კობეაშვილი, სეფერთელაძე, გ. ლომიძე, ვარდიაშვილი, წიქარიშვილი (ხოსროშვილი 63), ჯანაშია, ვ. ფირცხალავა, თალაკვაძე
სათადარიგონი: ლაბაძე, ელისაშვილი, გლუჩაძე, ზარანდია, ზაქარეიშვილი
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე, ჭელიძე, ფხაკაძე (ლონლაძე 28), ქობულაძე, თირქია, დარსაძე, ბაბუნაშვილი (გოგლეთიანი 59), კიკვიძე, ჯინჭარაძე, ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე, ლეინჯილია, ბარაბაძე, მაჭარაძე
გაფრთხილება: თალაკვაძე (40), კიკვიძე (44), ბოდოკია (54), წიქარიშვილი (60)
მსაჯები: გ. კიკჩეიშვილი (ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ძველი ანაგა
10 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 3 000)

**მილანი 3:0 ცხინვალი**

1:0 მ. სომხიშვილი (30), 2:0 კაპანაძე (33), 3:0 ტოკლიკიშვილი (78პ)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუაშვილი (სოსელია 57), მელქაძე, მეტონიძე, თელიაშვილი, მ. სომხიშვილი, ქყონია, ლუდუშაური, ინასარიძე (ჩიტაური 85), დ. კაპანაძე (გოძიაშვილი 54), ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: მედოევი, შავშიშვილი, კიკვაძე
ცხინვალი: ქესანაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე, ყაჩლავაშვილი, მურადელი, არუთინიანი (ცხადაძე 54), მარგიევი, მარლიშვილი, ნასუაშვილი, გვირჯიშვილი (ჩაჩიბაია 86), ბოჭორაძე
სათადარიგონი: დ. მაისურაძე, ზ. მაისურაძე, ნიქარიძე, მოსიაშვილი
გაფრთხილება: ტყემალაძე (79), სოსელია (83)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ი. შალამბერიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

ზესტაფონი
10 სექტემბერი
15 საათი
ცენტრალური
800 (ტევადობა 10 000)

**მეტალურგი 7:2 ზუგდიდი**

1:0 აბაზაძე (10), 2:0, 3:0 გვაზავა (11, 27), 4:0 ფირცხალეიშვილი (32), 5:0 მერებაშვილი (43), 6:0 გვაზავა (60პ), 6:1 ყოლბაია (65პ), 7:1 ფირცხალეიშვილი (70), 7:2 ყოლბაია (85)
მეტალურგი: ოდიკაძე, გოგაძე (მემარნიშვილი 46), მერებაშვილი, გურეშიძე, ბაქრაძე, აბაზაძე (ფანცხავა 32), კაციაშვილი, აჭარაძე, ამაშუკელი, გ. გვაზავა, დ. ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე, მოდებაძე, კვანტრიშვილი, ქანკვეტაძე, გაგაშელიძე
ზუგდიდი: ნაყოფია, ლურწკაია, ქიტანავა, გეგენიძე, ქურლულია (დიდიძე 75), დანელია (თორია 70), ყოლბაია, გოგიტაძე (გამსახურდია 46), კუტალია, ან. ჯიქია, ჩიქობავა
სათადარიგონი: კვარაცხელია; ლ. ბუკია, საჯაია, ბულია
გაფრთხილება: დანელია (12), ქურლულია (15), გოგიტაძე (27)
გაძევება: ჯიქია (32)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქარელი); ა. შილაკაძე (თბილისი)

ლანჩხუთი
10 ნოემბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 3:2 ოკეანე**

1:0 სულაკაძე (8), 1:1 კაცაძე (11), 1:2 კრავეიშვილი (33), 2:2 პატარაია (54), 3:2 ენდელაძე (90პ)
გურია: მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე (კირკიტაძე 46), ჯღარკავა (პატარაია 46), სულაკაძე, განევი (ლორია 46), ჩხეტია, ენდელაძე, ფაცურია
სათადარიგონი: შეყრილაძე; მინაშვილი, შველიძე
ოკეანე: თავაძე, ტონია, თოდაძე, ს. გოგია, ლორთქიფანიძე, გაბედავა (მალალურაძე 86), ცომაია, კრავეიშვილი, კაცაძე, ჯიქიძე, მესიაჩენკო
სათადარიგონი: ქკუასელი; ჯულაყიძე, ზ. ფირცხალაიშვილი, გოგიბერიძე, ფხაკაძე, ჩიგოგიძე
გაფრთხილება: ტონია (41), მესიაჩენკო (51), ლორია (51), ლორთქიფანიძე (86)
მსაჯები: კ. მესხი; ს. კვარაცხელია (ორივე ზუგდიდი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 14 | 9 | 1 | 4 | 38:16 | 22 | 28 | 7 | 7 | 0 | 0 | 29:4 | 25 | 21 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:12 | -3 | 7 |
| 2 გურია | 14 | 8 | 4 | 2 | 21:18 | 3 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:6 | 9 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:12 | -6 | 9 |
| 3 მილანი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:10 | 11 | 27 | 7 | 7 | 0 | 0 | 17:2 | 15 | 21 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | -4 | 6 |
| 4 სამგურალი | 14 | 7 | 3 | 4 | 23:11 | 12 | 24 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | 15 | 19 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:7 | -3 | 5 |
| 5 შუქურა | 14 | 7 | 3 | 4 | 19:12 | 7 | 24 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 12 | 17 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 7 |
| 6 მეტალურგი | 14 | 6 | 5 | 3 | 21:14 | 7 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 17:4 | 13 | 19 | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 7 ზუგდიდი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:21 | 0 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 16:7 | 9 | 17 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 |
| 8 თორი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:13 | 1 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | -3 | 7 |
| 9 ხობი | 14 | 3 | 5 | 6 | 9:16 | -7 | 14 | 7 | 2 | 5 | 0 | 3:1 | 2 | 11 | 7 | 1 | 0 | 6 | 6:15 | -9 | 3 |
| 10 ოკეანე | 14 | 2 | 3 | 9 | 12:29 | -17 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 7 | 0 | 1 | 6 | 7:20 | -13 | 1 |
| 11 ივერია | 14 | 2 | 3 | 9 | 7:25 | -18 | 9 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 9 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:19 | -17 | 0 |
| 12 თბილისი | 14 | 2 | 1 | 11 | 5:26 | -21 | 7 | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | -4 | 6 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:18 | -17 | 1 |

---

საქართველოს ჩემპიონატი · რეგიონული ლიგა · 12 · პირველი წრე

**9 ტური**

**დასავლეთი**

გურია 2 3:2 მერცხალი
ბათუმი 2 2:1 კოლხეთი 2
სალხინო 0:6 ლაზიკა
ინტერი 2:0 სამეგრელო
სულორი 0:1 სქური
მზიური 3:1 დინამო 2 სოხუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 9 | 8 | 0 | 1 | 28:11 | 24 |
| ლაზიკა | 9 | 7 | 1 | 1 | 33:15 | 22 |
| სქური | 9 | 7 | 1 | 1 | 22:6 | 22 |
| ინტერი | 9 | 4 | 2 | 3 | 21:10 | 14 |
| კოლხეთი 2 | 9 | 4 | 1 | 4 | 17:11 | 13 |
| ბათუმი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 14:15 | 11 |
| დინამო 2 სოხუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 14:16 | 9 |
| მერცხალი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| სამეგრელო | 9 | 2 | 2 | 5 | 7:17 | 8 |
| გურია 2 | 9 | 2 | 2 | 5 | 15:29 | 8 |
| სალხინო | 9 | 1 | 3 | 5 | 13:23 | 6 |
| სულორი | 9 | 2 | 0 | 7 | 9:37 | 6 |

**ცენტრალური**

დინამო 2 4:0 მესხეთი
ოლიმპიკი 0:1 ს.ა.იბერია
საბურთალო 0:5 ვალენსია 83
ვიტ ჯორჯია 2 3:1 მრეტები
ამირანი — ვარძია
(მატჩი არ ჩატარდა, „ვარძიამ" დაიგვიანა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 9 | 6 | 1 | 2 | 27:9 | 19 |
| ამირანი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:9 | 18 |
| ს.ა.იბერია | 8 | 4 | 3 | 1 | 16:9 | 15 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 22:8 | 14 |
| ვალენსია 83 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 |
| მრეტები | 9 | 4 | 1 | 4 | 8:9 | 13 |
| მესხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 6:15 | 10 |
| ოლიმპიკი | 8 | 3 | 0 | 5 | 10:8 | 9 |
| ვარძია | 7 | 1 | 2 | 4 | 1:8 | 5 |
| დილა 2 | 8 | 0 | 4 | 4 | 6:19 | 4 |
| საბურთალო | 8 | 0 | 2 | 6 | 4:28 | 2 |

**აღმოსავლეთი**

ლოკომოტივი 3 3:2 ასკ
კავკასიონი 0:0 სამგორი
თბილისი 2 0:5 ჭაბუკიანი
ხალიბი 1:0 ზოოვეტი
ცხუმი 0:0 ალაზანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 3 | 8 | 7 | 1 | 0 | 21:5 | 22 |
| ჭაბუკიანი | 8 | 6 | 0 | 2 | 26:8 | 18 |
| აკადემია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:6 | 17 |
| ალაზანი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:14 | 14 |
| ცხუმი | 8 | 3 | 2 | 3 | 5:4 | 11 |
| ხალიბი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:8 | 11 |
| ზოოვეტი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| სამგორი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:16 | 8 |
| თბილისი 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:15 | 5 |
| კავკასიონი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:25 | 4 |
| ასკ | 8 | 1 | 0 | 7 | 9:23 | 3 |

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11, სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი წრე 12

13 ტური

# პრობლემის თავი და ბოლო

**წააგო** „ტორპედომ“, სხვათა შორის, პირველად ოთხი თვის მანძილზე. გადაასწრო ჩემპიონს თასის მფლობელმა. ლიდერობა დაიბრუნა „ლოკომოტივმა“. „დინამომ“ ძველი დრო გაიხსენა, ერთიმეორის მიყოლებით უსწორდება მეტოქეებს. ორი ქულა დაკარგა ბოლნისში „ვიტ ჯორჯიამ“, ჩამორჩა საპრიზო სამეულს. ძლივს მოიგო „კოლხეთმა“, თუმც სამ ქულას ნაჯაფარი არ შეტყობია. პირველად გაიმარჯვა აღმოსავლეთ საქართველოში „ბათუმმა“, ოთხი ქულით გაუსწრო მდევარს.

ესეც თქვენი ექვსეული და მეცამეტე ტურის თავი და ბოლო. ქომაგებს და სპეციალისტებს რომ ჰკითხოთ, ყველაფერი გაირკვა. „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „კოლხეთი“ და „ბათუმი“ საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ. „სიონს“, „მერანს“, თსუ-ს, „გორდას“ და „დილას“ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ თავგანწირვა. რაც შეეხება „იბერიას“, მისი ბედი სავალალო და გარკვეულია. მომავალ ჩემპიონატში სამტრედიული გუნდი, ალბათ, დაბალ ლიგაში ითამაშებს.

თითქმის თვეა, მსაჯებზე აუგი არავის წამოსცდენია. მშვიდად იყვნენ შავოსნები, მაგრამ სიწყნარეს ისეთი ქარიშხალი მოჰყვა, რომ მტერს არ უსურვებს კაცი. ტურის ექვსი მატჩიდან მხოლოდ „მერანი“ — „დილა“ დასრულდა უპრენტენზიოდ. სერგო კვარაცხელიას ბრიგადამ საქმეს უნაკლოდ გაართვა თავი. დანარჩენები კრიტიკისა და მუქარის ქარცეცხლში გაატარეს. სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოსაც გვარიანი ოფლისღვრა და ჯაფა დაადგება, რათა ყველა მომჩივანს დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს.

დროა, მეცამეტე ტურის მიმოხილვას შევუდგეთ. 11 ნოემბერი, ქუთაისი, პრინციპული მატჩი, აუარება მაყურებელი და „ტორპედო“ „დინამოს“ წინააღმდეგ. თამაშამდე ყველა სპეციალისტი თუ ქომაგი ერთ აზრზე იდგა — „ტორპედო“ არ წააგებს.

წააგო, თანაც ისე, მთელი თამაშის მანძილზე გამარჯვების ერთი შანსიც არ ჰქონია. აჯობა და იმძლავრა „დინამომ“. პენალტიც გააცუდეს თბილისელებმა. სიჭინავას ზოიძე მოერია, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დარტყმულის მოგერიება მეკარემ მეორე ცდაზეღა შეძლო. პირველი დარტყმით „დინამოს“ ნახევარმცველმა კი გაიტანა, მაგრამ მალალურაძემ რაღაც დარღვევა შენიშნა და სტუმარს დარტყმა გაამეორებინა. სწორედ მაშინ ივარგა მეკარემ.

თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადელიამ ის მოახერხა, რასაც „დინამო“ თითქმის ორი წელიწედი ელოდა. ჩემპიონმა ვერაფერი დაუპირისპირა ათგზის ჩემპიონს, სირცხვილნაჭამი დარჩა მასპინძელი.

ტაშით გააცილა ქუთაისელმა ქომაგმა „დინამო“. ქვები დააყარეს თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს, ოთხი წუთით შეწყდა თამაში. საყვედურები და შიგადაშიგ გინებაც გაურიეს თავისიანების მისამართით.

აშკარა ჩავარდნა აქვს ქუთაისურ კლუბს, საქმე და პრობლემა წაგებაში როდია, ვერ თამაშობს გუნდი, საკადრის ფეხბურთს ვერ აჩვენებს და ეს აღიზიანებს ქომაგს, თორემ წაგებით ვის არ წაუგია. ერთი-მეორეს მიყოლებით სამი ურთულესი მატჩი ელით ქუთაისელებს. ორი სტუმრად „ბათუმთან“ და „კოლხეთთან“ და ერთიც შინ პირველადგილოსან „ლოკომოტივთან“. ვინ იძლევა წარმატებული თამაშის გარანტიას? ვერავინ. სწორედ ეს აკარგვინებს გულშემატკივრებს წონასწორობას.

„ტორპედოს“ შეფუცხუნება უნდა, რაღაც შესაცვლელია, თორემ მავანთა მიერ დოდილიას რესტორანში ნათქვამი სადღეგრძელოები რომ საქმეს ვერ შველის, ფაქტია.

რევაზ არველაძემ კი პირველად მოიგო სერიოზული და პრინციპული მატჩი. მწვრთნელის უმაღლესი მიზანიც — ჩემპიონობა — არცთუ არარეალური ჩანს. თუმც იქამდე ისევ შორია. არველაძეს და „დინამოს“ კიდევ არაერთი დაძაბული ბრძოლა გამოსცდის.

„ლოკომოტივმა“ „გორდას“ ერთი კინკილა გოლით მოუგო და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა რკინიგზელთა აღზევებისთვის. გუნდს გამარჯვება კვარაცხელიას თავურმა მოუტანა, მაგრამ მანამდე შეიძლებოდა, თამაში ჩაშლილიყო.

მსაჯი მთვრალიაო, იყვირეს რუსთაველმა ფეხბურთელებმა. რკინიგზელებმა ხელი გაშალეს, გაეცინათ. მასპინძელთა მწვრთნელი და პრეზიდენტი მხრებს იჩეჩდნენ, ასეთი აქამდე არაფერი გვინახავს და გაგვიგიაო.

შესვენებისას მსაჯის შემოწმება გადაწყვიტეს, მაგრამ დებულებით ეს აკრძალული ყოფილა. ისე, დასაშვები რომც ყოფილიყო, სტადიონზე ამას ვერც მოახერხებდნენ თურმე.

მერე „გორდას“ წარმომადგენელი სამსაჯო ოთახში დაიბარეს და რაზე ილაპარაკეს, ღმერთმა უწყის. მსაჯის სიმთვრალე აღარავის გახსენებია. ბუნებრივია, ყველა ნორმალურ ადამიანს გაუჩნდებოდა კითხვა, რა ხდება?

საქართველოში თუ ვინმეს პატიოსან და მართალ მსაჯად მივიჩნევთ, ერთ-ერთი მათგანი ზურაბ ანიაშვილია და რუსთავში რაღა დაეტაკა, ძნელი სათქმელია. იქნებ არ იყო მთვრალი? მაშინ ფეხბურთელებს (შინაურს და სტუმარსაც) რა მოელანდათ?

რა უთხრეს რუსთაველთა წარმომადგენელს სამსაჯოში, როგორ მოახერხეს მასპინძელთა გაჩუმება? აი, კითხვები, რომელზეც პასუხები, თანაც მართალი, უპირველესად ქართულ ფეხბურთს სჭირდება.

თამაშის შემდეგ, ვითომც არაფერიო, ყველა თავის გზას ეწია.

„ვიტ ჯორჯიას“ ქულა შესძინა ბოლნისურმა თამაშმა, მაგრამ საბოლოოდ დანაკლისი აუნაზღაურებელი გამოვიდა. შემდეგ ტურში ვიტელებს დეკანოსიძე, მელქაძე, ნოზაძე, მუჯირი და საჯაია გამოაკლდებათ. დეკანოსიძეს, მელქაძეს და ნოზაძეს სამ-სამი გაფრთხილება დაუგროვდათ. მუჯირი ბოლნისში გააძევეს (ორი გაფრთხილების გამო), ხოლო საჯაიას სამონაწილეო ბარათი ფედერაციაშია დატუსაღებული.

მოკლედ, განახევრდა „ვიტ ჯორჯია“. 17 ნოემბერს კი პრინციპული საშინაო მატჩია „მერანთან“. ბოლნისურ შეხვედრაში ძირითადი საქმე საწყის ათ წუთში მოთავდა. ჯერ მასპინძლებმა იხეირეს საეჭვო პენალტით, მერე სტუმრებმა გაქვითეს.

მინდორზე მსაჯია განმსჯელი, ის უფრო უკეთ ხედავს მოვლენებს და მისი გასარჩევია (პირველ რიგში) მტყუან-მართალი. არც ახალგაზრდა ვიტელებს ვამართლებთ, არბიტრის გადაწყვეტილების საჯაროდ გარჩევა შედეგს ვერ მოიტანს, ეს კარგად უნდა იცოდნენ ახალგაზრდულისა და თვრამეტწლამდელთა ნაკრებების ფეხბურთელებმა. მაინც უჭირთ მოზღვავებული ემოციების მოთოკვა და ამითი ჯერ გუნდს, მერე საკუთარ თავს აყენებენ ზიანს.

ახლა მსაჯებზე და მათ თავკაცებზე ვთქვათ. ბევრ მომენტში მოიქცა სწორად შილაკაძე, მაგრამ როცა ორი ფეხბურთელი უკვე წითელი ბარათით გყავს დაჯილდოებული, რამდენიმე გაფრთხილებული და სტუმარი მოთამაშის მონაწილის ბარათიც თან მიგაქვს, მიდი, ბოლომდე გაიტანე, მაშინ ვერავინ შეგედავება. საჯაიას ბარათს მასპინძელი ვოლკოვისაც დაუმშვენებდა გვერდს, ხოლო ბარნოვს წითელი თუ არა, ყვითელი მაინც ეკუთვნოდა, მელქაძეს უკნიდან რომ ეუხეშა და თამაშიდან გამოთიშა.

არაფერი დაუშავებია ზურაბ დოლიძეს ბოლნისში, მაგრამ ყველას ახსოვს „ლოკომოტივ“ — „ვიტ ჯორჯიას“ სათასო, მეოთხედფინალური მატჩი და იქ დატრიალებული ამბები. ჰოდა, სამსაჯო კომიტეტი რომ ხარ და ყველაფერი ეს კარგად მოგეხსენება, რაღა მაინცდამაინც „ვიტ ჯორჯიას“ თამაშზე უშვებ იმ მსაჯს, ადრე კლუბთან კონფლიქტი რომ ჰქონია?!

მერე სადავიდარაბო ხდება ყველაფერი, არადა, ერთი ხელის მოსმით შეიძლება პრობლემათა უმეტესი ნაწილის მოსპობა.

„სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ ფრედ დასრულდა, ქულა იქით, ქულა აქეთ, არც ერთისთვის იყო შედეგი მაინცდამაინც სასურველი და სანუგეშო.

„როგორ ჩავხედო ჩემს ფეხბურთელებს თვალებში, რითი ვანუგეშო“ — ამას ჩიოდა ორი მწვრთნელი თითქმ… ერთდროულად, ოღონდ ერთი მცხეთ… ში, მეორე კი ზესტაფონში. თენგ… კაცია და სოსო ფრუიძე ის ხალხ… ახალგაზრდებთან რომ უწევთ მუშა… ბა. რცხვენოდა შაბათს ორივე მწვრთ… ელს, რა ვუთხრათ ფეხბურთელებს… ჩიოდნენ.

მიზეზი ისევ მსაჯი გამოვიდა. … დიდი ფიცი-მტკიცი ამას უნდა, დღ… „ბათუმი“ და „კოლხეთი“ შესაბამის… თსუ-სა და „იბერიაზე“ ძლიერები არი… მაგრამ იმ სიძლიერეს მინდორზე უნ… გამოჩენა და არა სადმე გუდაში გად… მალვა.

საეჭვო პენალტი ერთის საზიანო… არდანიშნული ასპროცენტიანი თერ… მეტმეტრიანი მეორეს გასახარად, გ… ტარებული თუ არ დაფიქსირებულ… თამაშგარეები...

მსაჯი, მსაჯი, მსაჯი... შეცდომა, უნ… ბლიე თუ წინასწარი განზრახვით? არ… ეს მართლაც მეტისმეტია. სამსაჯო კ… მიტეტმა კეთილი ინებოს და ეჭვე… გააქარწყლოს, ანაც ასე გაგრძელე… აღარ შეიძლება.

„რაღა ჩვენ შეცდომებს ითვლით, ვე… ხედავთ, რა ქნა კოლინამ“? — გვ… თხრა ერთხელ ერთმა ქართველმა მსა… ჯმა: ის არ უხსენებია, რამდენ უპრი… ციპულეს თამაშს მსაჯობს კოლინა… ერთ სეზონში. არც ის დაუკონკრეტ… ბია, რატომ უნდა ვიტიროთ იტალი… ლის შეცდომები ქართველმა ჟურნა… ლისტებმა.

განტევების ვაცად მარტო მსაჯებ… რომ არ ვაქციოთ, ცოტას ჩვენებურ… კლუბების მწვრთნელებს და პრეზიდე… ნტებს ვუსაყვედურებთ: თქვე კაი ხა… ლხო, ცალ-ცალკე რომ აყვირდებით ხო… ლმე, იქნებ ერთად და საჯაროდ გ… თქვათ სიმართლე, მაგრამ არც თქვენ… შორისაა ერთი აზრი. დღეს ზოგი ტ… რის, ზოგიც იცინის. ცოტა ხანში რო… ლები შეიცვლება, მაგრამ ამით საე… რთო ვითარება არ გამოსწორდება.

სიწყნარე იყო „მერანი“ — „დილა“ მატჩში. გორელთა პრობლემები ცნო… ბილია, მაგრამ რა სჭირს „მერანს“, გ… უგებარია. ავჭალელებს მწვრთნელ… გაეცალათ, დავიღალეო, თქვა სერგ… გაბელაიამ. არადა, ნუთუ ასე ადვილა… შეელევიან პატიოსან, ნაამაგარ და ნ… ჯაფარ მწვრთნელს ავჭალელები?

მართლაც უმადური პროფესიაა მწ… ვრთნელობა. დავით ჯიშკარიანს მძიმ… ტვირთი აჰკიდეს. უფროსობა ექვსეუ… ლში მოხვედრას მოითხოვს, „მერანს“ კი ამის მიღწევა ძალიან გაუჭირდე…

ექვს მატჩში 2 ქულა აიღო მასპი… ნძელმა და მეცამეტე ტურში სტუმრე… ბმა იმძლავრეს. ათი გოლიც ძალია… ცოტაა, მაგრამ დაძაბულობამ პიკს უწ… და მხოლოდ ეს თუა სასიხარულო.

მომდევნო ტური პარასკევს იწყება… უფრო დაიძაბება და ჩაიხლართება ჩე… მპიონატი. ეს ურიგო როდია, იქნებ დ… იწყოს ადმავლობა.

**მამუკა ძგანტალი…**



დინამოელთა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა ქუთაისში უშეცდომოდ ითამაშა



მამუკა დანჩიას ფოტო

ტორპედოელი ზურაბ იონანიძე (მარჯვნივ) და დინამოელი გიორგი შაშიაშვილი

საქართველოს 12 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი წრე

# 13 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 13 |
| მატჩი | 77 |
| გოლი | 181 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,35 |
| მასპინძელთა მოგება | 38 (50%) |
| ფრეები | 14 (18%) |
| სტუმართა მოგება | 25 (32%) |
| საერთო დასწრება | 108 850 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 413 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII: 12 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 93 | 15,50 |
| სტუმარი | 124 | 20,65 |
| სულ | 217 | 36,15 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 18 | 3,00 |
| სტუმარი | 32 | 5,30 |
| სულ | 50 | 8,30 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 25 | 4,15 |
| სტუმარი | 29 | 4,85 |
| სულ | 54 | 9,00 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 3,50 |
| სტუმარი | 30 | 5,00 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 34 | 5,65 |
| სტუმარი | 18 | 3,00 |
| სულ | 52 | 8,65 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 7 - იონანიძე | ტორპედო |
| 6 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ზირაქიშვილი | დინამო |
| აფხაზავა | ბათუმი |
| 5 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |
| 4 - მოსეშვილი | სიონი |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

### გორდა 0:1 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 24 |
| 3 | კუთხური | 9 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 5 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### ტორპედო 0:1 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 24 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### თსუ 1:2 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 21 |
| 7 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 6 |

### სიონი 1:1 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 23 |
| 0 | კუთხური | 8 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 5 |
| 7 | თამაშგარე | 5 |

### მერანი 0:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 16 |
| 3 | კუთხური | 0 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 1 |
| 7 | თამაშგარე | 3 |

### იბერია 1:2 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 16 |
| 0 | კუთხური | 7 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 1 | კარში დარტყმა | 12 |
| 8 | თამაშგარე | 2 |



ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

მერანელ დავით ბოლქვაძეს სტუმართა კარისკენ გზა გორელმა დავით გრიგალაშვილმა მოუჭრა

რუსთავი
11 ნოემბერი
15 საათი
ფოლადი
3 500 (ტევადობა 10 700)

### გორდა 0:1 ლოკომოტივი

0:1 კვარაცხელია (78)

გორდა: ნიკურაძე, ბერიძე, მჭედლიძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ა. ბუკია (კიტეიშვილი 57), მელაძე, ზ. ლაბაძე (ლ. კაპანაძე 83), ალადაშვილი, მიშველიძე, იველიანი

სათადარიგონი: გონგაძე, ბაჩილავა, მ. სახვაძე, გ. გ. მიქაძე

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიჟვეიშვილი, ხიზანიშვილი, გ. შენგელია (გილაური 59), გონჩაროვი, რუსია (პარამონოვი 64)

სათადარიგონი: ძალანაძე, დავითაშვილი, დ. არჩვაძე, ძოძუაშვილი, თ. ბეცაური

გაფრთხილება: ლაბაძე (12), თოდუა (25), ნიკურაძე (38), მჭედლიძე (43), რუსია (43), კიტეიშვილი (70)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი); ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

ქუთაისი
11 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
12 000 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 0:1 დინამო

0:1 გადელია (87)

სიჭინავამ ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)

ტორპედო: ზოიძე, თურმანიძე, ზ. არჩვაძე, ხვადაგიანი, ჩხაიძე, აბულაძეიანი, კ. კვეტენაძე (ბობოხიძე 82), გუჩუა, ძაათიანი, იონანიძე, იმედაძე (ჯანაშია 69)

სათადარიგონი: ქანტურია; მახვილაძე, შეკრილაძე, ვაჩიბერაძე, თავბერიძე

დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 89), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათუაძე (მაზიაშვილი 84), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი (გოგოლაძე 88), ჯინჭარაძე

სათადარიგონი: ჩიხრაძე; გ.ვ. მიქაძე, რუხაძე, ბურდული

გაფრთხილება: ქემოკლიძე (62), სახვაძე (63), აბულაძეიანი (63)

მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

მცხეთა
11 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

### თსუ 1:2 ბათუმი

0:1 აფხაზავა (5), 0:2 მუჯირი (24 პ), 1:2 ადამია (66)

თსუ: გუგუნავა, ებრალიძე, ხარებავა (კვიციანი 81), ე. ალადაშვილი, სვანიძე, ახალაძე, რ. გოცირიძე, მესხი, ერაძე, ადამია, წუწუნავა

სათადარიგონი: მამარდაშვილი; არეშიძე, მორჩილაძე, ვადაჭკორია

ბათუმი: ბედიაშვილი, გველესიანი, პაპიძე, მინდაძე, მეავანაძე, დარჩიძე (ბაჩილავა 75), გელა ქორიძე, ლლონტი, ა. მუჯირი, რომანაძე (სიამაშვილი 89), აფხაზავა (სიხარულიძე 88)

სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, ყულეჯიშვილი, ბეჟანიძე

გაფრთხილება: ალადაშვილი (5), ახალაძე (28), მეავანაძე (33), ერაძე (48), ებრალიძე (58), პაპიძე (70)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

ბოლნისი
11 ნოემბერი
15 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 ისიანი (3 პ) 1:1 ქორიძე (10)

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, გამცემლიძე (მ. გოგოლაძე 46), მოსეშვილი (კ. მეტრეველი 65), სოლოლაშვილი, ბარნოვი, ისიანი, წიწნიძე

სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჯაფარიძე, დიმიტრიშვილი, ჩაგელიშვილი

ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, დეკანოსიძე, გიორგი ქორიძე, დ. დოლიძე (სულთანიშვილი 55), ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 79)

სათადარიგონი: სტურუა; ზ. გვაზავა, თაყაძე

გაფრთხილება: დეკანოსიძე (14), სოლოლაშვილი (17), ნოზაძე (40), მელქაძე (43), მუჯირი (75)

გაძევება: სოლოლაშვილი (35), მუჯირი (77)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

თბილისი
11 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
250 (ტევადობა 3 000)

### მერანი 0:0 დილა

მერანი: დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (თოლორდავა 83), პოდლესნი, გ. კვეტენაძე (ბაჟელიძე 62), კობესაშვილი (ბოლქვაძე 46), დ. გოდერძიშვილი, ჭინჭარაული, მინაშვილი, მუხინი

სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. ილურიძე, ხორხელი, კაკუბავა

დილა: თ. ილურიძე, ბკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ფეზუაშვილი, ეჯოშვილი, დ. მაისურაძე (ციცქიშვილი 60), კოტორაშვილი, ა. ხმალაძე (ხორგუაშვილი 71)

სათადარიგონი: სოლოლაშვილი; ხოხობაშვილი, ტულუში

გაფრთხილება: გოდერძიშვილი (5), მაისურაძე (22), ცქიფურიშვილი (66), ბკოფიანი (70), ფეზუაშვილი (86)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ზესტაფონი
11 ნოემბერი
15 საათი
მეტალურგი
200 (ტევადობა 10 000)

### იბერია 1:2 კოლხეთი

1:0 ნოზაძე (23), 1:1, 1:2 ე. გვასალია (33, 85)

იბერია: ჩომახიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, სანიკიძე, ყურაშვილი, ოდიკაძე, ბიწაძე, მუმლაძე

სათადარიგონი: ვარდანიძე; ჭოლაძე, ონიანი

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ახალკაცი (კრასოვსკი 46), გოგიაშვილი, ლალანიძე (შავგულიძე 70), კიკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, კვირკველია (ქანტურიძე 85)

სათადარიგონი: ბერაია; ქუნთელია, პაპავა, გ. ჩიტაია

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

### სიმბოლური ნაკრები

შალვა აფხაზავა — ბათუმი
გია გადელია — დინამო
გიორგი ნოზაძე — იბერია
ვალტერ გუჩუა — ტორპედო
თენგიზ სიჭინავა — დინამო
დავით დათუაძე — დინამო
ნუკრი მინდიაშვილი — სიონი
გივი კვარაცხელია — ლოკომოტივი
თენგიზ კობიაშვილი — ვიტ ჯორჯია
ზურაბ ხიზანიშვილი — ლოკომოტივი
გიორგი ლომაია — ლოკომოტივი

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: რევაზ არველაძე



ლოკომოტიველ გიორგი შენგელიას რუსთაველთა მეკარე გიორგი ნიკურაძემ დაასწრო

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 13 | 11 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 33 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 13 | 15 | 7 | 6 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 18 |
| 2 ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 20:5 | 15 | 32 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 16 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 9 | 16 |
| 3 დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 26:13 | 13 | 28 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 9 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 13 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 4 | 2 | 20:7 | 13 | 25 | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 4 | 12 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 9 | 13 |
| 5 ბათუმი | 13 | 6 | 1 | 6 | 17:15 | 2 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | -7 | 4 |
| 6 კოლხეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 14:14 | 0 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | -3 | 6 |
| 7 სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:12 | -1 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 0 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 8 მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:16 | -4 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 9 თსუ | 13 | 4 | 1 | 8 | 15:25 | -10 | 13 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | -7 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 7 |
| 10 გორდა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:20 | -10 | 11 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 2 |
| 11 დილა | 13 | 2 | 3 | 8 | 8:22 | -14 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:12 | -10 | 4 |
| 12 იბერია | 13 | 0 | 1 | 12 | 3:28 | -25 | 1 | 7 | 0 | 1 | 6 | 1:15 | -14 | 1 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 0 |



წლეულს ალანიელი მიხეილ აშვეთია (მარჯვნივ) რუსეთში მოთამაშე ქართველებში ყველაზე შედეგიანია

# ქართველების თავგადასავალი რუსეთში

**რუსეთში** ჩემპიონატი დამთავრდა და ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მხოლოდ მესამეადგილოსნის ამბავი გამოდგა სააყალმაყალო. მოსკოვის „ტორპედომ" ბოლო ტურში საეჭვო პენალტის წყალობით წაართვა ბრინჯაო მახაჩყალის „ანჟის".

„რუსი" ქართველები სხვადასხვა ამოცანებს წყვეტდნენ. ხიზანეიშვილის „სპარტაკი" მერვედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა ოთარმა წარმატებული დებიუტის შემდეგ ძირითადში ადგილი დაკარგა და ბოლო თვეებში მინდორზე აღარ გამოჩენილა.

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი" ისევ ვერ გახდა ჩემპიონი, სამაგიეროდ კვლავ მოიგო ქვეყნის თასი — მესამედ ბოლო ხუთ წელიწადში. ამდენჯერ რუსეთის თასი არავის მოუგია. ამბობენ, საფეხბურთო კავშირის შეკვეთით ახალ თასს ამზადებენ, ძველს კი „ლოკომოტივს" სამუდამოდ დაუტოვებენო.

რკინიგზელები მესამე წელიწადია „სპარტაკს" პირველობისთვის ებრძვიან, მაგრამ ამაოდ. შარშანწინ მესამეზე გავიდნენ, შარშან მეორეზე და წლეულსაც ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდნენ. „ლოკომოტივმა" რუსეთის ჩემპიონატის რეკორდიც დაამყარა, გაჭირვებულ ელისტის „ურალანს" 9:0 მოუგო და 1994 წლის თავისივე მიღწევა („ტორპედოსთან" 8:0) გააუმჯობესა.

ზაზამ წლეულს 22 თამაშში 5 ბურთი გაიტანა და რუსეთის ჩემპიონატების 127 მატჩში ჯამში 31 გოლი მოუგროვდა.

„ალანია" ნელ-ნელა დაიცალა ქართველებისგან. თავად განსაჯეთ, სეზონის დასაწყისში, როცა მწვრთნელი ასევე ჩვენებური ვლადიმერ გუცაევი იყო, „ალანიაში" ოთხნი: წერეთელი, სილაგაძე, აშვეთია და ფოცხვერია ირიცხებოდნენ. დღეს ამათგან ძირითადის მოთამაშედ მხოლოდ აშვეთიაა დარჩენილი. სხვათა შორის, მიშამ „ქართველ რუსთა" შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. 20 მატჩში მოწინაალმდეგის კარი 7-ჯერ დალაშქრა. ახლა მას 38 თამაშში 12 გოლი აქვს გატანილი.

გვარამაძეს იშვიათად ათამაშებდნენ და ბოლო ტურში „ურალანთან" არაფრისმთქმელ მატჩში მონაწილეობა დიდი შეღავათი არ უნდა იყოს. ახალგაზრდა ხმელიძემაც სეზონი ისე ჩაამთავრა, ძირითადში საერთოდ არ გამოჩენილა. ზურაბ ფოფხაძე კი, ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან" ერთად პირველ ლიგაში დაქვეითდა. აი, ასეთი იყო ქართველებისთვის რუსეთის ჩემპიონატის წლევანდელი უმაღლესი ლიგა.

რუბრიკის წინა წერილში ვწერდით: ჩვენი ციურიხელები ბოლო დროს სტაბილურად ათამაშდნენ. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ციურიხის" ბედი დიდადაა დამოკიდებული ჯამარაულისა და ყაველაშვილის მზადყოფნა-განწყობაზეო. ერთი კვირის შემდეგ თითქმის იგივე დაწერეს ჩვენმა შვეიცარიელმა კოლეგებმაც: „ციურიხი" მაშინ იგებს, როცა გოჩა ჯამარაული თამაშის ხასიათზეაო.

გოჩამ ისევ გაიტანა, ისევ ცხრიანში. ამ დროს ანგარიში 1:1 იყო და მისი გოლი ერთგვარად გადამწყვეტიც აღმოჩნდა. ამის მერე ციურიხელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და მალევე გოჩას პასით შასომ მესამე შეაგდო.

ამ გოლით ჯამარაული ქართველ შვეიცარიელთა შორის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ლამაზი გოლი გაიტანა „შოტლანდიელმა" ნემსაძემაც. დანდურ დერბიში „დანდიმ" „იუნაიტედს" არგენტინელი კანიჯასა და ჩვენებურის გოლებით მოუგო. ნემსაძეს ბურთი მეკარისთვის თავზე ოსტატურად გადაუტარებია და იქაურთა აღფრთოვანებაც გამოუწვევია.

ჩვენებურთ ლატვიაშიც აქებენ. ჩემპიონატი იქაც დამთავრდა და რიგის „სკონტომ" პირველობა კვლავ არავის დაუთმო. ალეკო რეხვიაშვილი საუკეთესო ფეხბურთელად დაუსახელებიათ, ზურაბ მენთეშაშვილს კი საუკეთესო ნახევარმცველის ნომინაციაში გაუმარჯვია.

გიორგი ქინქლაძის „დერბი", როგორც იქნა, ბოლო ადგილს მოსცილდა. მართალია, ინგლისურ პრემიერლიგაში კვლავაც ერთადერთად რჩება, ვისაც ჯერ თამაში არ მოუგია, მაგრამ „არსენალთან" ფრე, თანაც რამდენიმე კარგი საგოლე მომენტის შექმნა, უკვე საქმეა.

აზერბაიჯანში კი ქართველებს არცთუ კარგი ტური ჰქონდათ. კილასონიებისა და წიკლაურის „თურანს" „ყარაბაღი" არ ესტუმრა. ხუნდაძის „ქიაფაზი" ახალგაზრდულ „შაფასთან" დამარცხდა. სუმგაითში ამ მატჩის ბედი ვინმე ავთანდილ გაჯიევის დამატებულ დროში გატანილს გადაუწყვეტია. ძებისაშვილისა და თვალაბეიშვილის „ხაზარმა" კი „ვილიაშთან" წააგო. ძებისაშვილს აუცილებლად უნდა გაეტანა, როცა პირველ ტაიმში მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კარის დარაჯის მოტყუება გადაწყვიტა და მომენტი გაუცუდდა. ვილიაშელებს მხსნელად ბელარუსი რუსლან აზარენკო მოევლინათ. მისმა ზუსტმა დარტყმამ მასპინძლებს სამი ქულა მოაპოვებინა.

უიმედოდ დამარცხდა წიტაიშვილის რიშონ ლე-ციონის „ირონიც". ისრაელის ჩემპიონატის წინა ტურში კობამ თავი გამოიჩინა, „ირონმა" თელ ავივის „ბნეი იეჰუდას" 2:0 მოუგო და ერთი წიტაიშვილმა გაიტანა. ამჯერად კი, ჰაიფას „ჰაპოელს" ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონია და სტუმრებს ერთი ხეირიანი მომენტიც ვერ შეუქმნიათ.

ახლა წიტაიშვილს 3 გოლი აქვს გატანილი და მთავარ მეგოლეს, ფეთახთიკველ მოტი განონის ხუთით ჩამორჩება.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:1 | 76 | შეცვალეს | 11 | 2 | 16 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 1 | 16 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ლევერკუზენი 0:1 | 71 | შეცვალეს | 11 | 0 | 16 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ჰამბურგი 4:2 | 0 | სათადარიგო | 8 | 1 | 10 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ფიურტი 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 6 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | არსენალი 0:0 | 83 | შეცვალეს | 9 | 1 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ლიდსი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | კრ. პალასი 1:3 | 0 | | 11 | 3 | 20 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | დანდი იუნ. 2:0 | 90 | 1 გოლი | 14 | 1 | 6 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | გრააფსხაპი 4:1 | 0 | | 6 | 2 | 5 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ფეიენოორდი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 3 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლოკერენი 0:2 | 45 | შეცვალეს | 8 | 1 | 7 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | სტ. ტრუიდენი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლოზანა 3:1 | 83 | შეცვალეს, 1 გოლი, საგოლე პასი | 17 | 7 | 7 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლოზანა 3:1 | 90 | | 15 | 6 | 7 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | | ტური გამოტოვა | | | 16 | 6 | 9 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ცსკა 3:4 | 0 | სათადარიგო | 22 | 5 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | ალანია 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | სპარტაკი 1:2 | 85 | შეცვალეს | 20 | 7 | 10 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | სპარტაკი 1:2 | 0 | | 16 | 0 | 10 |
| დავით გვარამაძე | კრილია | ს | ურალანი 1:0 | 90 | | 7 | -11 | 14 |
| ზურაბ ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | ს | ჩერნომორეცი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 10 | 1 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ფაკელი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | მეტ.დონეცკი 0:0 | 90 | | 7 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | მეტ.დონეცკი 0:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 8 | 2 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | ჰაპ. ჰაიფა 0:2 | 90 | | ? | 3 | 9 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | რაძიონკოვი 1:2 | 89 | შეცვალეს | 6 | 0 | 15 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ვარლამ კილასონია | თურანი | შ | ყარაბაღი არ გამოცხადდა | | | 8 | 4 | 6 |
| გია კილასონია | თურანი | შ | ყარაბაღი არ გამოცხადდა | | | 10 | 8 | 6 |
| ჯაბა წიკლაური | თურანი | შ | ყარაბაღი არ გამოცხადდა | | | 7 | 2 | 6 |
| მამუკა ხუნდაძე | ქიაფაზი | ს | შაფა 0:1 | 62 | შეცვალეს | 8 | 2 | 5 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | ვილიაში 0:1 | 90 | | 10 | 6 | 8 |
| გიორგი თვალაბეიშვილი | ხაზარი | ს | ვილიაში 0:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



არსენალი — დერბი 0:0. გიორგი ქინქლაძე, დერეკ პაუელი და მეთოფე პატრიკ ვიეირა



ხელებიც ამიწევიაო, თქვა „ბარსელონას“ პრეზიდენტმა

# გასპარის ბოდიში

ᲬᲘᲜᲐ ოთხშაბათს „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა ჩემპიონთა ლიგაში „მილანი“ — „ლიდსის“ შეხვედრის შედეგი რომ გაიგო, საჯაროდ განაცხადა, მილანელებს „ლიდსის“ დამარცხება თუ არ შეეძლოთ, მთელი ორი კვირა რატომ ლაყბობდნენ, მოვიგებთ, მოვიგებთო.

„მილანის“ და მეტადრე პენალტის ვერგამტან ანდრეი შევჩენკოს მისამართით კატალონიელი ქომაგები ბევრად უხამს ფრაზებს ისროდნენ, მაგრამ პრეზიდენტის ნებისმიერი, ოდნავ არაკორექტული ნათქვამი მაინც სხვანაირად ჟღერს.

გუშინ გასპარმა „მილანს“ ბოდიში მოუხადა: „ისევე, როგორც „ბარსელონას“ ყველა გულშემატკივარი, გაოგნებული და დაღონებული ვიყავი, ცხელ გულზე კი კაცს შეიძლება რაღაც ზედმეტი წამოსცდეს. თუმცა ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ — „ბარსელონას“ პრეზიდენტი არ უნდა ამბობდეს ყველაფერს, რასაც ფიქრობს. ეს შემთხვევა ჩემთვის კარგი გაკვეთილი იქნება და სამომავლოდ საკუთარ ქცევას მეტად გავაკონტროლებ“.

# ვან გაალი ფიგუზე ოცნებობს

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ესპანური „მარკას“ რეპორტიორმა „ბარსელონას“ ყოფილ და ჰოლანდიის ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ ლუის ვან გაალს ინტერვიუ ჩამოართვა. ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: რომელ უცხოელს ისურვებდით ჰოლანდიის ნაკრებში? ვან გაალი არც დაფიქრებულა: „უპირველესად ლუიშ ფიგუს. ის უდიდესი ფეხბურთელია, ბრწყინვალე პიროვნული თვისებებით და გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვით. დღეს ევროპაში ძალიან ცოტაა ისეთი მოთამაშე, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებში არაა მოქცეული, ფიგუ კი ერთ-ერთი მათგანია“.

ვან გაალს, ცხადია, „ბარსელონას“ ჩავარდნაზეც ჰკითხეს. „მართალია, წილისყრის მერე თქვეს, ეს „სიკვდილის ჯგუფიაო“, დარწმუნებული ვიყავი, რომ „ბარსა“ უპრობლემოდ გავიდოდა, თუმცა ფეხბურთში ასეთი რამეები ხდება და უძლიერესი ყოველთვის ვერ იმარჯვებს. იქ მუშაობისას ასეთი რამ მეც შემემთხვა“.

# ფიფა ჩვენ რას დაგვაკლებს

## პერუჯაში დაჩაგრული ბლატერი სამართალს ლონდონში ეძებს

ᲡᲔᲠᲘᲐ A-ს წინა ტურის „პერუჯა“ — „ნაპოლის“ მატჩის ოქმში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ მასპინძლებს 52-ე წუთზე დავიდე ბაიოკოს ნაცვლად პაბლო გინაზუ შეუყვანიათ. ამ თითქოსდა უმნიშვნელო ამბავს თავისი ისტორია აქვს...

პერუჯელებმა გინაზუ არგენტინული „ოლდ ბოიზიდან“ წაიყვანეს და კონფლიქტიც აქ დაიწყო. არგენტინელები ფეხბურთელში რვა მილიონ დოლარს ითხოვდნენ, „პერუჯამ“ კი შეუთვალა — გნებავთ, საკომპენსაციოდ 750 ათასი? ინებეთ, თუ არადა, მაგასაც არ გადაგიხდითო.

„ოლდ ბოიზმა“ ფიფაში იჩივლა და ამ უკანასკნელმა ტრანსფერს ვეტო დაადო, თან კლუბებს მოუწოდა, 29 ნოემბრამდე თავად გაარკვიეთ ურთიერთობა, თორემ მერე ჩემებურად განვსჯიო. „პერუჯამ“ ფიფას ვეტო და გაფრთხილება არად ჩააგდო, უმბრიის ოლქის სასამართლოში უჩივლა და, როგორც თავში ვთქვით, გინაზუ ოფიციალურ მატჩში ათამაშა.

და ფიფას რეაქცია? ამ ორგანიზაციის პრეს-მდივანმა ანდრეას ჰარენმა საკმაოდ ფრთხილი განცხადება გააკეთა: „სასამართლოში სარჩელის შეტანის გამო ფიფა „პერუჯას“ წინააღმდეგ სანქციებს არ გამოიყენებს. რაც შეეხება არგენტინელი ფეხბურთელის „პერუჯას“ რიგებში თამაშს, კვლავაც ვიმეორებთ, რომ ეს უკანონოდ მიგვაჩნია, მაგრამ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრება გვმართებს“.

მოგეხსენებათ, ფიფას ურჩობა არ უყვარს და მის წინააღმდეგ გალაშქრებულებს დაუნდობლად სჯის, მაგრამ ბოლოდროინდელ ამბებს თუ გავიხსენებთ, ფიფას ასეთ თავშეკავებულ პასუხში გასაოცარი არაფერია. ფიფას სერიოზულ დათმობებზე წასვლა მოუხდა ევროკავშირის წინაშე სატრანსფერო საკითხებთან დაკავშირებით და იძულებულია, რადიკალურ გადაწყვეტილებებს მოერიდოს — რამდენიმე თვეში არსებული სატრანსფერო ბაზარი ისედაც გაუქმდება და საქმის გამწვავებას რა აზრი აქვს.

ისე, ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს პერუჯელთა მისახედად არც სცალიათ — ევროკავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად მეგობრებს აგროვებენ.

ადრე ვწერდით, რომ ფიფას მხარს უჭერენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი.

ორშაბათს მსოფლიო ფეხბურთის ორი უმთავრესი ჩინოსანი ლონდონს, დაუნინგ სტრიტის ათ ნომერს სტუმრობდა და ბრიტანელი პრემიერისგან მხარდაჭერის აღთქმას ისმენდა.

პროტოკოლით აუდიენცია ნახევარ საათს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სრულ ერთ საათს გასტანა. ბლერის რეზიდენციიდან გამოსულმა იუჰანსონმა ჟურნალისტებს განუცხადა: „შეხვედრით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მისტერ ბლერი ჩვენი უბრალოდ მხარდამჭერი როდია, ეს ბრწყინვალედ ერკვევა საკითხში და სრულად გრძნობს იმ უდიდეს საშიშროებას, რასაც ევროკავშირის გადაწყვეტილება ფეხბურთს მოუტანს. მისტერ ბლერი დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდება“.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირში ჯერაც აანალიზებენ ახალი სატრანსფერო სისტემის ალტერნატიულ ვარიანტს, რომელიც ფიფამ ევროკავშირს 31 ოქტომბერს წარუდგინა.

# ფოგთსის სამწვრთნელო რევოლუცია

## „ლევერკუზენის“ ახალ თავკაცს გუნდშიც ჰყავს და გარეთაც ეძებს

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ბერტი ფოგთსმა ლევერკუზენის „ბაიერი“ ოფიციალურად ორშაბათს ჩაიბარა, მანამდე კი კლუბის მენეჯერ რაინერ კალმუნდს გაესაუბრა და მომავლის გეგმები უფრო კონკრეტულად გააცნო. გეგმები კი ისეთი ჰქონია, გერმანიაში უმალ ფოგთსის სამწვრთნელო რევოლუციად მონათლეს.

„ის კონცეფცია, რომელიც ფოგთსმა წარმოგვიდგინა, მეტი რომ არ ვთქვა, სენსაციურია. მას გუნდში მუშაობის ახალი მეთოდები შეუმუშავებია. ვგონებ, ბევრი მისი კოლეგა დაინტერესდება და მიბაძავს კიდეც“ — ასე შეაფასა ახალი მწვრთნელის გეგმა რაინერ კალმუნდმა.

ახლა კი ფოგთსის მეთოდებზეც ვთქვათ, რომელშიც დიდად უცხო და უჩვეულო, თითქოს, არაფერია. კონცეფციის უცნაურობა, გერმანელთა აზრით, ძირითადად სამ პუნქტს ემყარება.

1. ფოგთსი „ლევერკუზენის“ საშინაო მატჩებისას თავიდან ტრიბუნაზე იჯდება, სათადარიგოთა სკამზე კი დაახლოებით ნახევარ საათში გადაინაცვლებს. ამ გადაწყვეტილებას ავტორი ასე ხსნის: „ზემოდან მინდორი და იქ ფეხბურთელთა განლაგება ბევრად უკეთესად ჩანს. მეც თავიდან იქ დავჯდები, მეტოქის ტაქტიკაზე წარმოდგენას უცებ შევიქმნი და სათადარიგოთა სკამზეც მერე მოვკალათდები.“

მწვრთნელი აღიარებს, რომ ეს მეთოდი ინგლისელებისგან გადმოიღო, კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც ალექს ფერგიუსონისგან. შოტლანდიელი თავისი კლუბის საშინაო შეხვედრებისას სწორედ ასე იქცევა. „ალექსთან ამ მეთოდის დადებით და უარყოფით მომენტებზე ბევრი ვისაუბრე. მე სხვა აზრზე გახლდით, მაგრამ მან დამარწმუნა, რომ ისე უკეთესია“ — თქვა ფოგთსმა.

სხვათა შორის, ინგლისში ფერგიუსონის გარდა კიდევ რამდენიმე მწვრთნელი იქცევა ასე, თუნდაც „ტოტენჰემის“ თავკაცი ჯორჯ გრემი.

ახლა ის ვთქვათ, რატომ აპირებს ფოგთსი ამგვარად მოქცევას მხოლოდ კლუბის საშინაო თამაშისას.

„ბაიარენა“ სწორედ რომ მისწრებაა ასეთი მეთოდისთვის. ეს სტადიონი სხვებთან შედარებით უფრო ვიწროა, თანაც ტრიბუნები მინდორთან ახლოა. გერმანიაში კიდევ რამდენიმე ასეთი სარბიელი მეგულება“ — ხსნის ფოგთსი, რომელიც თავის განზრახვას ხორცს პირველად, ალბათ, მომავალ შაბათს, „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგის“ მატჩისას შეასხამს.

2. ეს მეთოდი კი კალმუნდსა და გუნდის ფინანსურ მენეჯერ ჰოლცჰოიზერს, ვეჭვობთ, მოსწონებოდათ, თუმცა ახალ მწვრთნელს უარი მაინც ვერ შეჰკადრეს. მისი მიხედვით, ფოგთსს გუნდის გაწვრთნაში ხუთი კაცი დაეხმარება, რაც, ცხადია, დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული. აქედან ოთხი მწვრთნელმა უკვე იპოვა და გუნდშიც მიიყვანა, ერთს კი ჯერაც ეძებს. ფოგთსი გუნდში ფუნქციების დანაწილებას აპირებს და ხუთი კაციც ამისთვის სჭირდება.



REUTERS

ბერტი ფოგთსი თავის პირველ ლევერკუზენულ ვარჯიშზე

ფოგთსს წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელები — პიერ ლიტბარსკი, ვოლფგანგ როლფი და ტონი შუმახერი დაეხმარებიან, მეოთხე პეტერ ჰერმანია, მეხუთეს ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

ახლა იმას გეტყვით, ვის რა ფუნქცია ექნება:

ლიტბარსკი თავდამსხმელებზე და გუნდის ტექნიკური არსენალის დახვეწაზე იზრუნებს, როლფი ფეხბურთელებს ორთაბრძოლებისთვის მოამზადებს და დაცვაზეც იქნება პასუხისმგებელი, შუმახერი მეკარეებს გაწვრთნის. ჰერმანი კი გუნდს ფიზიკურად გააძლიერებს. ის მეხუთე რაღას გააკეთებსო, იკითხავთ. რას და გუნდს ფსიქოლოგიურ განწყობას აუმაღლებს. შეიძლება ისიც იკითხოთ, ფოგთსი რაღა საჭიროაო. რა საჭიროა და იგი დრო და დრო თათბირებს მოაწყობს. რა თქმა უნდა, გუნდის ტაქტიკასა და შედეგზეც აგებს პასუხს.

ერთი სიტყვით, ფოგთსს საქმე საათივით აუწყვია (ქაღალდზე მაინც).

უჩვეულოა, ძალიან უჩვეულო, ამბობენ გერმანიაში.

რა არის უჩვეულო? — კითხულობს ფოგთსი და იქვე დასძენს — „დღეს ფეხბურთელები ძალიან გაძვირდნენ. კარგი მოთამაშეების შეძენას დიდძალი ფული სჭირდება. არადა, ფეხბურთელების ხშირი ყიდვა-გაყიდვა სულაც არ არის აუცილებელი. უბრალოდ, მოთამაშეს, როგორც მასალას, ისე უნდა შევხედოთ, რომელსაც დამუშავება სჭირდება. იგი ერთ დონეზე არ უნდა დარჩეს, ამის უფლება არ აქვს. ბევრი მწვრთნელი რომ იქნება, ფეხბურთელიც უკეთ განვითარდება. დიახ, მე მჭირდება ეს პერსონალი. თანაც გუნდში 28-30 კაცია. ყველას უნდა ყურადღება, თვალყურის დევნა.“

3. მესამე მეთოდი ეგრეთწოდებული „მომავლის გუნდის“ შექმნაა. ეს გუნდი იქნება მოყვარული, პერსპექტიული და ყმაწვილი ფეხბურთელების ნარევი, რომელსაც გასასინჯად ჩასულებიც დაემატებიან.

აი, ამით ყოფილა გამორჩეული ფოგთსის კონცეფცია, რომლითაც კალმუნდი აღფრთოვანებულია. „ბერტის გეგმები გუნდს იმ წარმატებებს მოუტანს, რომელზეც ამდენი ხანია, ვოცნებობთ“ — ამბობს იგი. ფოგთსი და მისი თანაშემწეებიც დარწმუნებულნი არიან მომავალ წარმატებაში...

მაგრამ ნათქვამია, ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახეო.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ



# მიდის, მოდის, იქავეა

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში მოსკოვის „დინამომ“ „სატურნთან“ 0:1 წააგო და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა... ვალერი გაზაევმა თქვა, „დინამოს“ მწვრთნელის პოსტს ვტოვებო... შემდეგ ვალერი გაზაევმა თქვა, „დინამოში“ ვრჩები და გუნდთან ერთად მუშაობას ვაგრძელებო...

გაზეთ „სპორტ ექსპრესს“ გაზაევმა გაუმხილა: „სატურნთან“ შეხვედრამდე გუნდიდან წასვლას არ ვაპირებდი, მესამე ადგილზე გასვლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსი გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდით. თამაშის შემდეგვე განვაცხადე, რომ გუნდიდან მივდიოდი“.

„აზრი რატომღა შეიცვალეთ?“ — ჰკითხეს გაზაევს. მან ნათელი მოჰფინა ვითარებას: „ორშაბათს „დინამოს“ პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხს ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ კლუბში დავრჩებოდი“.

აღსანიშნავია, რომ გაზაევი მოსკოვის კლუბს ადრეც წვრთნიდა, თუმც 1993 წელს, როცა „დინამო“ უეფას თასზე ფრანკფურტის „აინტრახტთან“ 1:6 განადგურდა, გადადგა. მერე იგი ვლადიკავკაზის „ალანიას“ ჩაუდგა სათავეში და 1995 წელს გუნდი რუსეთის ჩემპიონი გახადა.

ᲜᲘᲙᲐ ᲨᲣᲒᲚᲐᲫᲔ

# იხსენ ნაპოლი!



ემილიანო მონდონიკო

არც ერთი მოგებული მატჩი, ორი ფრე, ოთხი წაგება, 18 უძლიერეს იტალიურ კლუბს შორის ყველაზე უარესი ბურთების შეფარდება, ხოლო სერია A-ს ცხრილში „საპატიო" ბოლო ადგილი — ასეთია წლეულს „ნაპოლის" მიღწევები. მწვრთნელია უპირველესი დამნაშავე, მიიჩნია ნეაპოლური კლუბის მმართველთა საბჭომ და 53 წლის ჩეხი ზდენეკ ზემანი თანამდებობიდან გაათავისუფლა, გუნდის სადავეები კი სეზონის ბოლომდე ემილიანო მონდონიკოს ჩააბარა.

ახალი მწვრთნელი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. მისი დებიუტი მომავალ კვირას შედგება, როცა ახალჩაბარებული გუნდით თავის ძველ კლუბ „ატალანტას" დაუპირისპირდება. მონდონიკო ზემანის თანატოლია და ბერგამოულ კლუბში სხვადასხვა დროით და ვადით ორჯერ უმუშავია, ამდენჯერვე „ტორინოც" გაუწვრთნია. ბოლო ორი სეზონი მისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა: 1998 წელს „ატლანტას" თავკაცობდა და გუნდი სერია A-დან გავარდა, მერე „ტორინოს" ჩაუდგა სათავეში და მართალია, სერია B-დან უმაღლეს დივიზიონში ალაზევა, მაგრამ იქ ადგილი ვერ შეინარჩუნა და იგივე სეზონის ბოლოს კვლავ ქვედა ლიგაში აღმოჩნდა.

მონდონიკო „ტორინოს" პირველად 90-იან წლებში ხელმძღვანელობდა და კარიერის საუკეთესო შედეგს სწორედ მაშინ მიაწია — ტურინული კლუბი 1992 წელს სერია A-ში მესამე ადგილზე გაიყვანა.

„ახალი მწვრთნელისგან თამაშის ხარისხისა და შედეგის გაუმჯობესებას მოვითხოვთ და რაც შეიძლება სწრაფად. ჩვენ გვაქვს დრო საიმისოდ, რომ სერია A-ში ადგილი შევინარჩუნოთ. ახლა მთავარია, იგი არ გავფლანგოთ" — განაცხადა ნეაპოლელთა პრეზიდენტმა ჯორჯო კორბელიმ.

ნიკა შუბლაძე

## პორტუგალია

XI ტური

**ფერეირა 0:1 კამპომაიორენსე**

0:1 დეტინიუ სანტუში (30)

**ლეირია 2:0 ალვერკა**

1:0, 2:0 პაულუ ალვეში (24, 55)

**ბეირა მარი 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 რიკარდუ სოუზა (74)

**ბრაგა 2:0 ავეში**

1:0 ბაროსო (11), 2:0 მ. ფეპერი (76)

**ბენფიკა 2:1 ფარენსე**

0:1 ნუნუ (73), 1:1 ვან ჰოიდონკი (83პ), 2:1 ტომასი (90)

**ბელენენსეში 1:0 მარიტიმუ**

1:0 არლინდუ კაფუ (77)

**ამადორა 1:2 სპორტინგი**

0:1 ჟოაუ პინტუ (39), 0:2 ბეტუ სევერუ (63), 1:2 ჯალმა სანტუში (71)

**პორტუ 5:1 სალგეირუში**

1:0 ნუნუ კაპუშუ (10), 2:0 პენა (25), 2:1 პედრო (54), 3:1 პენა (55), 4:1 დრულოვიჩი (60), 5:1 ალენიჩევი (65)

**ბოავიშტა — გიმარაეში**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 9 | 1 | 1 | 29:7 | 28 |
| სპორტინგი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:10 | 25 |
| ბრაგა | 11 | 7 | 2 | 2 | 20:13 | 23 |
| ბელენენსეში | 11 | 6 | 4 | 1 | 14:7 | 22 |
| სალგეირუში | 11 | 7 | 0 | 4 | 15:15 | 21 |
| ბოავიშტა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:9 | 19 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| ფერეირა | 11 | 5 | 2 | 4 | 18:11 | 17 |
| მარიტიმუ | 11 | 5 | 1 | 5 | 11:9 | 16 |
| ფარენსე | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| ლეირია | 11 | 3 | 5 | 3 | 11:17 | 14 |
| გიმარაეში | 10 | 3 | 3 | 4 | 16:15 | 12 |
| ბეირა მარი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:19 | 9 |
| ალვერკა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:20 | 9 |
| ავეში | 11 | 2 | 2 | 7 | 14:23 | 8 |
| კამპომაიორენსე | 11 | 1 | 5 | 5 | 7:19 | 8 |
| ამადორა | 11 | 1 | 1 | 9 | 8:21 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 0 | 3 | 8 | 5:18 | 3 |

## საბერძნეთი

მე-6 ტური: ოფი — ქსანტი 0:1; ათინაიკოსი — პანიონიოსი 2:0; აეკ — პანაჰაიკი 2:1; არისი — ირაკლისი 0:2; ეთნიკოსი — იანინა 2:1; იონიკოსი — კალამატა 4:1; პანილიაკოსი — პაოკ 1:1; პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 2 | 0 | 18:5 | 14 |
| აეკ | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 |
| ქსანტი | 6 | 3 | 3 | 0 | 6:3 | 12 |
| ირაკლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| ეთნიკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:12 | 11 |
| არისი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| იონიკოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| პაოკ | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| ათინაიკოსი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 6 |
| იანინა | 6 | 1 | 1 | 4 | 8:11 | 4 |
| პანიონიოსი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| პანაჰაიკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | 4 |
| კალამატა | 6 | 0 | 3 | 3 | 6:11 | 3 |
| პანილიაკოსი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:8 | 3 |
| ოფი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 2 |

# აურზაური ვულვერჰემპტონში

მულტიმილიონერმა მეპატრონემ, სერ ჯეკ ჰეივორდმა შესაძლოა კლუბს ზურგი აქციოს და ამიერიდან ფინანსურად აღარ დაეხმაროს, შიშობენ ვულვერჰემპტონში.

შორეულ საქართველოში კი ეს ინფორმაცია იმითაა საინტერესო, რომ ამ ქალაქის გუნდის ღირსებას თემურ ქეცბაია იცავს.

ცხრა წელია, სერ ჯეკი „ვულვერჰემპტონს" ფლობს. მას შემდეგ არაერთი მილიონი დოლარი ჩადო გუნდის განვითარებაში, განაახლა „მოლინოს" სტადიონი, რომელიც ახლა 28 ათას ქომაგს იტევს.

უჭირს ახლა „ვულვზს", გათამაშების ცხრილში უფრო დაბლა და დაბლა ეშვება, ბოლო ტურშიც თავის სტადიონზე „კრისტალ პალასთან" 1:3 წააგო (აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი ვულვერჰემპტონს" მათმა ყოფილმა მოთამაშემ დაგი ფრიდმანმა გაუტანა). იქაურ გულშემატკივარსაც მოთმინების ფიალა აევსო. ხუთასამდე ადამიანმა თავი ვერ შეიკავა და აურზაური ატეხა — ხელმძღვანელობამ აგვიხსნას, რა დაემართა გუნდს, რატომ მიექანება ცხრილის ფსკერისკენ.

სერ ჯეკ ჰეივორდმა აღმასრულებელ შეფ ჯებ მოქსისთან ერთად აღშფოთებულ ფანებთან შეხვედრა და მოლაპარაკება გადაწყვიტა, თუმცა მას ურჩიეს, თქვენივე უსაფრთხოებისთვის ასე არ მოიქცეთო.

„კლუბში მილიონობით გირვანქა ჩამიდია — აღშფოთდა სერ ჯეკი — ვერ გავიგე, გულშემატკივრები რა პასუხს მთხოვენ. თითქოს მე მადანაშაულებენ. მინდოდა მათ გავსაუბრებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა."

მოკლედ, კლუბის 77 წლის მფლობელმა ბრიტანეთი დატოვა და ორშაბათს ბაჰამის კუნძულებზე გაემგზავრა, „ვულვზის" ოფისში კი შემდეგი შეტყობინება დატოვა: — ვარჩიე, ბაჰამებზე გავემგზავრო, რათა ბოლო ხანს მომხდარი ამბები გავანაალიზო. ამისთვის, ალბათ, დრო დამჭირდება."

რეიჩელ ფლინტი, რომელიც სერ ჯეკს 30 წელიწადია იცნობს და „ვულვზის" დირექტორთა საბჭოში მოღვაწეობს, ახლა შეეცდება, ძველი მეგობარი უკან დაბრუნებაზე დაიყოლიოს. „ჯეკმა გამიმხილა, რომ ძალიან ეწყინა, როცა ზოგიერთებმა იგი შემოსავლების დამალვაშიც დაადანაშაულეს" — განაცხადა ქალბატონმა ფლინტმა.

...„ვულვზი" კი ამასობაში, თავის ქართველიანად, ქვემოთ მიექანება.

ნიკა შუბლაძე



# გერმანია შოკშია

## ჰაიკო ჰერლიხს მძიმე დაავადება აღმოაჩნდა

დორტმუნდის „ბორუსიის" ხელმძღვანელობის მიერ გუშინ გავრცელებულმა ცნობამ გერმანული საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო: ამ გუნდის თავდამსხმელს, 28 წლის ჰაიკო ჰერლიხს ექიმებმა ტვინის სიმსივნე აღმოუჩინეს.

...პარასკევს „დორტმუნდმა" მორიგ ტურში ბერლინის „ჰერტა" მიიღო. მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა მათიას ზამერმა მატჩის წინ ძირითადი შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც ჰერლიხიც იყო. ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო — წლევანდელ ჩემპიონატში უკვე შვიდი გოლის გატანა მოესწრო და ბუნდესლიგის ბომბარდირთა შორისაც გახლდათ. შემადგენლობის გამოცხადებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ჰერლიხი ცუდად გახდა. მას უეცრად თვალები ასტკივდა და მხედველობა გაუფუჭდა... ზამერმა ჰერლიხი იკპებათი შეცვალა და ფეხბურთელს დასვენება ურჩია.

ორშაბათს „დორტმუნდის" ექიმმა მიხაელ პროისმა ჰერლიხს ანალიზი გააკეთებინა, რომლის პასუხიც უმძიმესი გამოდგა: ფეხბურთელს სასწრაფოდ ოპერაცია სჭირდება, რომლის შემდეგაც ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, სიმსივნე კეთილთვისებიანი იქნება, თუ ავთვისებიანი. ერთი რამ კი უკვე ცნობილია — ფეხბურთელი, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება, ფეხბურთს ვეღარასოდეს ითამაშებს.

„ჰერლიხი ახლა უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ სპორტსმენებს ყოველთვის გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. ამას არც ჩვენ ვკარგავთ" — „დორტმუნდის" მენეჯერმა მიხაელ მაიერმა ეს სიტყვები ფეხბურთელის გულის გასაკეთებლად უფრო თქვა, ვიდრე საზოგადოებისთვის მდგომარეობის გასაცნობად.

დღეს კოპენჰაგენში დანიის ნაკრები გერმანიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს, მაგრამ გერმანელებს სულაც არ ეფეხბურთებათ — ნაკრები შოკშია. ის კი არა, გუშინ ზოგიერთმა ფეხბურთელმა თამაშის გადადებაზეც კი დაიწყო საუბარი, თუმცა გერმანელები დანიას მაინც გაემგზავრნენ.

„ეს იყო ყველაზე ცუდი ამბავი, რომელიც შეიძლებოდა, გაგვეგო. ძნელია, ესაუბრო ფეხბურთელებს მომავალ მატჩზე და ტაქტიკაზე, როცა მათი გონება სხვაგან ტრიალებს. უხერხულია, ახლა იერემისის თუ სხვა დაშავებულების შესახებ ვისაუბროთ. ძალიან ცუდ ხასიათზე მივდივართ — თქვა ეროვნული გუნდის თავკაცმა რუდი ფიოლერმა კოპენჰაგენში გაფრენის წინ და იქვე დაამატა — ჰერლიხი ის ფეხბურთელია, რომელიც ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას ეკუთვნის. არ მინდა, რწმენა დავკარგო და ცუდი ვიფიქრო. იმედი მაქვს, მასზე მხოლოდ კარგ ამბებს გავიგებ და გუნდში გამოძახების შესაძლებლობაც მექნება."

„მინდა, ჰაიკომ იცოდეს, რომ ჩვენ მის გვერდით ვართ ყველგან და ყოველთვის" — ნაკრების წევრების აზრი კაპიტანმა ოლივერ ბირჰოფმა გამოხატა.

## იტალია

სერია B. XI ტური

**კალიარი 1:1 კოზენცა**

0:1 სავოლდი (1), 1:1 მოდესტო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 11 | 7 | 2 | 2 | 17:10 | 23 |
| ვენეცია | 11 | 5 | 6 | 0 | 17:10 | 21 |
| კიევო | 11 | 6 | 3 | 2 | 14:8 | 21 |
| კალიარი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 19 |
| სამპდორია | 11 | 5 | 4 | 2 | 16:11 | 19 |
| ტერნანა | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| პიაჩენცა | 11 | 5 | 2 | 4 | 14:10 | 17 |
| ანკონა | 11 | 5 | 2 | 4 | 15:13 | 17 |
| ემპოლი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| კროტონე | 11 | 5 | 2 | 4 | 14:15 | 17 |
| სიენა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:15 | 16 |
| სალერნიტანა | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ჩიტადელა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:15 | 14 |
| პისტოიეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| ჯენოა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:12 | 11 |
| ტრევიზო | 11 | 3 | 2 | 6 | 10:16 | 11 |
| ტორინო | 11 | 2 | 4 | 5 | 12:18 | 10 |
| მონცა | 11 | 3 | 0 | 8 | 11:19 | 9 |
| პესკარა | 11 | 0 | 6 | 5 | 9:15 | 6 |
| რავენა | 11 | 0 | 5 | 6 | 10:23 | 5 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

**ნიურნბერგი 3:1 ოსნაბრუკი**

1:0 შტოილასი (19), 2:0 დრილერი (33), 3:0 მიკელი (49), 3:1 კლაასენი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 12 | 9 | 3 | 0 | 26:9 | 30 |
| ჰანოვერი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:10 | 22 |
| ზანქტ პაული | 12 | 6 | 3 | 3 | 29:19 | 21 |
| ობერჰაუზენი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:14 | 20 |
| ალემანია | 12 | 5 | 3 | 4 | 18:16 | 18 |
| როიტლინგენი | 12 | 5 | 3 | 4 | 23:24 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:19 | 18 |
| ფიურტი | 12 | 4 | 4 | 4 | 20:16 | 16 |
| არმინია | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| ვალდჰოფი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| გლადბახი | 12 | 3 | 6 | 3 | 19:16 | 15 |
| დუისბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:16 | 15 |
| ულმი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:19 | 14 |
| ალენი | 12 | 3 | 5 | 4 | 19:24 | 14 |
| მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:18 | 12 |
| კიკერსი | 12 | 1 | 6 | 5 | 7:17 | 9 |
| ოსნაბრუკი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |
| ქემნიცი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:25 | 9 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ფეხბურთის რუკასთან



რუმინელმა მეკარემ ფლორინ პრუნიამ ბულგარეთის ჩემპიონ „ლიტექსთან" კონტრაქტი შეწყვიტა და თავის ყოფილ კლუბს, ბუქარესტის „დინამოს" დაუბრუნდა. მან ბულგარეთში ნახევარი სეზონი გაატარა, ახლა კი რუმინულ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. პრუნიას რუმინეთის ნაკრებში 37 შეხვედრა ჩაუტარებია, „დინამოში" კი 1992-დან 1998 წლამდე თამაშობდა.

**პორტუგალიელი ნახევარმცველი ჟოზე დომინგუში „კაიზერსლაუტერნმა" „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" გადაიბირა. ფეხბურთელი ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ბოლოს იშვიათად ხვდებოდა. მაგალითად, წლეულს მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა, ისიც შეცვლაზე — ორჯერ პრემიერლიგაში და ორჯერაც ლიგის თასზე. „ტოტენჰემმა" იგი 1997 წელს ლისაბონის „სპორტინგიდან" 1,6 მილიონ გირვანქად შეიძინა. დომინგუშს მანამდე „ბენფიკასა" და „ბირმინგემ სიტიშიც" უთამაშია.**

შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ქოვენთრის" მეკარე მაგნუს ჰედმანი დაასახელეს და საპატიო ჯილდო ორშაბათს გამართულ საზეიმო ცერემონიალზე გადასცეს. აღსანიშნავია, რომ შარშან იგივე გამოკითხვაში ჰედმანს მხოლოდ სტეფან შვარცმა აჯობა.

**ნიგერიელმა ტარიბო ვესტმა ბრიტანეთში მუშაობის უფლება მოიპოვა და „დერბიში" სადებიუტო მატჩს სავარაუდოდ მომავალ ტურში ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ მცველი პრემიერლიგელებმა სამი თვით „მილანიდან" ინათხოვრეს. ვესტი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია, „მილანში" ჩარიცხვამდე კი ფრანგულ „ოსერსა" და „ინტერში" უთამაშია.**

ბულგარულმა კლუბმა „შუმენმა", რომელიც ქვეყნის მეორე დივიზიონში 1998-99 წლების სეზონში დაქვეითდა, თავი ბანკროტად გამოაცხადა. „ფეხბურთის ფედერაციას ვაცნობეთ, რომ ფინანსური სირთულეების გამო მეორე დივიზიონში ვეღარ ვითამაშებთ" — განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა.

რუმინეთში საუკუნის ფეხბურთელად დასახელებული გეორგე ჰაჯის პატივსაცემად მომავალი წლის 25 აპრილს ბუქარესტში ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარდეს: რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს ვარსკვლავებისგან შემდგარ გუნდს შეხვდება. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში ვარსკვლავებს 90-იან წლებში მოთამაშე რუმინელები გაეჯიბრებიან, ხოლო მეორე ტაიმში ახალგაზრდები. თავად ჰაჯი ორივე ტაიმს ჩაატარებს.

**ნიგერიელი ნახევარმცველი ტიჯანი ბაბანგიდა „აიაქსმა" სეზონის ბოლომდე „გენჩლერბირლიგიში" გაანათხოვრა. 27 წლის ფეხბურთელმა განაცხადა: „ბოლო დროს თურქული ფეხბურთი საგრძნობლად მოძლიერდა, ჩემი ახალი გუნდიც შეტევი სტილის მიმდევარია და ვიმედოვნებ, რომ მათ ტაქტიკას მოვერგები". არ გამორიცხავენ, რომ ბაბანგიდა თურქეთში სეზონის დასრულების შემდეგაც დარჩეს.**

ჩეხი პატრიკ ბერგერი ცოტა ხნის წინ მძიმედ დაშავდა და შიშობდნენ, რომ ამ სეზონში ვეღარ ითამაშებდა, თუმცა ექიმთა ბოლო ცნობა ოდნავ დამაიმედებელია. „პატრიკს ოპერაცია გაუკეთეს. მკურნალობის კურსმა წარმატებით ჩაიარა. ვიმედოვნებთ, რომ იგი თებერვლისთვის გუნდს დაუბრუნდება" — განაცხადა „ლივერპულის" მწვრთნელმა ჟერარ ულიემ.

**ინგლისური „ბრედფორდის" ნახევარმცველი დევიდ ჰოპკინი მუხლის ტრავმის გამო ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. სექტემბერში დაშავებულ ფეხბურთელს ხელახალი ოპერაცია გაუკეთეს. „დევიდმა ვარჯიში დაიწყო, თუმცა ტრავმა გაუმიზეზდა" — განაცხადა გუნდის ამჟამინდელმა მოთამაშე მწვრთნელმა სტიუარტ მაკკოლმა. აღსანიშნავია, რომ 30 წლის ჰოპკინი „ბრედფორდის" ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშეა. იგი გუნდში „ლიდს იუნაიტედიდან" ჩაირიცხა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

*ერთი უნიჭო რეკლამისა არ იყოს, ოთხშაბათი ფეხბურთის გარეშე წარმოუდგენელია. აგერ, თითქოს არც ლიგაა და არც შესარჩევები (ევროპაში), მაგრამ ამხელა ხელფასებს იღებენ და მაგათ ვინ მოასვენებს? ჰოდა, ამხანაგურ-საწვრთნელი მატჩები დაუგეგმეს. დღეს ევროპაში 13 შეხვედრაა, მათგან რამდენიმე ჩვენს გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს.*



რუდი ფიოლერი: ცუდი ამბავი გავიგეთ

### დანია — გერმანია

რუდი ფიოლერი მეოთხედ გაუძღვება ნაკრებს და ზედიზედ მეოთხე გამარჯვების მოპოვებასაც შეეცდება. მატჩი ამხანაგური კია, მაგრამ მხარეები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს განსაკუთრებით გერმანელებზე ითქმის.

„ჩემთვის ამხანაგური მატჩი არ არსებობს. როცა გუნდი მინდორზე გადის, ყველაფერი უნდა დაივიწყო და თამაშში სული და გული ჩააქსოვო. მით უმეტეს, თუ საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება. უკვე ათ შეხვედრაში ვუხელმძღვანელე გუნდს — სამჯერ ნაკრებს, შვიდჯერ კი „ლევერკუზენს“ და არც ერთხელ წამიგია. ეს მიმდინარე სეზონში ჩემი ბოლო მატჩია და ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ იგი ნაკრებისთვის წარმატებული აღმოჩნდეს“ — უთხრა გუშინ ჟურნალისტებს ფიოლერმა.

აბა, ახლა მეტოქეს ჰკითხონ. წლეულს, რაც ამ ქვეყნის ნაკრებს მორტენ ოლსენი ჩაუდგა სათავეში, დანიელებმა ოთხი მატჩი გამართეს და დაუმარცხებელნი არიან. ოლსენსა და მის თანაშემწე მიქაელ ლაუდრუპს სულაც არ უნდათ წაგების სიმწარე იწვნიონ. თანაც, ოლსენს ფიოლერისგან „ბრიყვული“ წყენა ჯერაც არ დავიწყებია: 1991 წელს, როცა სამწვრთნელო საქმე ახალდაწყებული ჰქონდა, მისი „ბრონდბიუ“ უეფას თასის ნახევარფინალში იტალიურ „რომას“ შეხვდა, სადაც იმ დროს რუდი ფიოლერი თამაშობდა. „პირველი დიდი დარტყმა, როგორც მწვრთნელს, სწორედ რუდიმ მომაყენა. საპასუხო მატჩის 89-ე წუთამდე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ იყო, ბოლოსწინა წუთზე კი რუდიმ გოლი გაგვიტანა და ფინალში „რომა“ გაიყვანა“ — იხსენებს მორტენ ოლსენი.

ამ საღამოს გერმანიისა და დანიის ნაკრებები 23-ედ ხვდებიან ერთმანეთს. ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება მათ შორის 1992 წელს შედგა. მაშინ, გეხსომებათ, დანიელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში 2:0 მოუგეს გერმანელებს. იმ ევროპის ჩემპიონატზე ფიოლერმაც ითამაშა, მაგრამ მხოლოდ პირველი მატჩი.

დღევანდელი მატჩის წინ გერმანელთა თავკაცს დიდი პრობლემები შეექმნა. თავიდან ფიოლერმა 22 ფეხბურთელი გამოიძახა, მაგრამ გასულ უქმეებზე ბუნდესლიგის ჩემპიონატში „ბაიერნის“ ნახევარმცველი იენს იერემისი და „ჰერტას“ მცველი მარკო რემერი დაშავდნენ და ნაკრებსაც გამოაკლდნენ. ამათ გარდა, საეჭვოა დარიუშ ვოშის, შტეფან ბაინლიხისა და ეროვნული გუნდის დებიუტანტ ინგო ჰერჩის თამაშიც. მათაც მცირე ტრავმები აწუხებთ და ამიტომ, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევთ.

მიუხედავად ამისა, მორტენ ოლსენი ამბობს: „ფიოლერის ხელმძღვანელობით გამართული გერმანიის ნაკრების სამივე მატჩი ვნახე და ქების მეტი რუდის მიმართ არაფერი მეთქმის. რა შემადგენლობითაც არ უნდა გამოვიდნენ გერმანელები ჩვენს წინააღმდეგ, ვიცი, ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვექნება საქმე. ამ გუნდს მსოფლიოს ფეხბურთის მწვერვალზე ასვლა ძალუძს.“

### იტალია — ინგლისი

ჯოვანი ტრაპატონიმ ამ მატჩისთვის მიწვეულთა სია პარასკევს გამოაცხადა, თუმცა უქმეებზე გამართულმა სერია A-ს მეექვსე ტურმა წინასწარ განაცხადში ორი ცვლილება გამოიწვია — დაშავდნენ რომაელი ფრანჩესკო ტოტი და იუვენტუსელი მარკ იულიანო. ამ უკანასკნელის შემცვლელად მწვრთნელმა „ფიორენტინას“ მცველი დანიელ ადანი იხმო, ხოლო ტოტის მაგივრობის გამწევი დღეს გამოჩნდება.

ასევე ორი კაცი გამოაკლდა ბოლოჟამს ინგლისელთა დროებით მწვრთნელ პიტერ ტეილორს, რომლის რჩეულთა ვინაობა ჯერ კიდევ პარასკევის „სარბიელში“ გამცნეთ — ორშაბათის ვარჯიშზე ახლახან მომჯობინებულმა მაიკლ ოუენმა ზურგი იტკინა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა პოლ სქოულზმა კი თეძოს მცირე ტრავმა მიიღო და შინ დაბრუნდა. ტურინში ვერც კიდევ ერთი მანჩესტერელი, მცველი უესლი ბრაუნი ითამაშებს (მუხლის ტრავმა) და ვერც ლიდსელი ალან სმიტი, რომელიც თავისი კლუბის ბოლოდროინდელმა მნიშვნელოვანმა თამაშებმა ერთობ გადაღალა. ამის მიუხედავად, „ლესტერის“ თავკაცი მაინც ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშს აპირებს, კაპიტნად კი, როგორც იცით, 25 წლის დევიდ ბექემი ეყოლება. „ეს ჩემს კარიერაში ყველაზე საამაყო მომენტია“ — თქვა ნახევარმცველმა, ვისაც ინგლისის ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული, გოლი კი... მხოლოდ ერთხელ გაუტანია: ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიელთა კარში.

**სავარაუდო შემადგენლობები**

იტალია: ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ანჯელო დი ლივიო, დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი, ფრანჩესკო კოკო, სტეფანო ფიორე, მარკო დელვეკიო, ფილიპო ინძაგი.

ინგლისი: დევიდ ჯეიმსი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, გარეთ საუთგეიტი, რეი პარლოუ, ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, კირონ დაიერი, გარეთ ბერი, ემილ ჰესკი, ნიკ ბარმბი.

მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)

### რუმინეთი — იუგოსლავია

საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე იუგოსლავიას ექსპერიმენტული შემადგენლობით დაუხვდება. რუმინეთის ეროვნულ გუნდში რომ თაობათა ცვლის პროცესია, კარგად მოგეხსენებათ, თუმცა ამას წამყვანი მოთამაშეების ტრავმებიც დაერთო. მწვრთნელ ლადისლაუ ბოლონის განკარგულებაში არ იქნებიან გერმანული „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი დორინელ მუნტიანუ, „ვალენსიას“ ფორვარდი ადრიან ილიე და აიაქსელი მცველი კრისტიან კივუ, ვინც კვირას, „გრააფსხაპთან“ 4:1 მოგებულ შეხვედრაში დაშავდა. აი, „ბრედფორდის“ ნახევარმცველი, გამოცდილი დან პეტრესკუ კი ჯანმრთელია, მაგრამ ბოლონიმ არ გამოიძახა — ცუდ ფორმაშიაო. სამაგიეროდ, მწვრთნელმა იხმო ნახევარმცველი დენის სერბანი ესპანეთის მეორე დივიზიონის „ლეჩედან“ და ბოლო ხანს თავგამოჩენილი ახალგაზრდა ალან სტოიკა „ანდერლეხტიდან“. როგორც ვარაუდობენ, ეს ორი ნუმანსიელ ლაურენტიუ როსუსთან (ამას წინათ მადრიდის „რეალთან“ ჰეთ-თრიქი შეასრულა) და ესპანიოლელ კონსტანტინ გალკასთან ერთად ნახევარდაცვაში ითამაშებს, წინ კი ადრიან მუტუ და მარიუს ნიკულაე იქნებიან.

სტუმარი იუგოსლაველებიც, თუ მათ მწვრთნელ ილია პეტკოვიჩს დავუჯერებთ, ახალ ცხოვრებას იწყებენ, თუმცა ვეტერანების თავიდან მოცილებას ჯერ არ აპირებენ. „ეს თამაში ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. გარწმუნებთ, რომ თავს არ დავწოგავთ“ — ეს სწორედ პეტკოვიჩის სიტყვებია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

რუმინეთი: ბოგდან სტელია, კოსმინ კონტრა, ლივიუ ჩობოტარიუ, იულიან ფილიპესკუ, ადრიან იეჩი, ფლორენტინ დუმიტრუ, დენის სერბანი, კონსტანტინ გალკა, ლაურენტიუ როსუ, ადრიან მუტუ, მარიუს ნიკულაე.

იუგოსლავია: ალექსანდრ კოციჩი, ზორან მირკოვიჩი, სინიშა მიხაილოვიჩი, ნენად საკიჩი, მილან ობრადოვიჩი, დეიან სტანკოვიჩი, ლუბინკო დრულოვიჩი, პრედრაგ ჯორჯევიჩი, საშა ილიჩი, სავო მილოშევიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი.

### ესპანეთი — ჰოლანდია

ამ მატჩს ასეც შეგვიძლია ვუწოდოთ: „ბარსელონა“ „ბარსელონას“ წინააღმდეგ. ლუის ვან გაალი ოთხი ბარსელონელის დაყენებას აპირებს სასტარტო შემადგენლობაში და ერთიც, პატრიკ კლუივერტი, სათადარიგოდ ეყოლება. მისმა ესპანელმა კოლეგამ, ხოსე ანტონიო კამაჩომაც ხუთი ბარსელონელი მიიწვია და ყველას სასტარტო შემადგენლობისთვის ამზადებს.

„ამ თამაშმა გულშემატკივრებს სიამოვნება უნდა მოჰგვაროს — ამბობს კამაჩო — ეს ბუნებრივია, მატჩს ხომ ანგარიშის თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ გახსნილ, შემტევ ფეხბურთს გპირდებით“.

კამაჩო ახალგაზრდული შემადგენლობით აპირებს თამაშს: იკერ კასილიასი 20 წლისაა, გუტი — 23-ის, 20 წლისაა ხავი, 22-ის პუიოლი. „ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა და ამასთანავე ვალდებული ვარ, წინაც ვიყურო და ახალგაზრდებს გზა გავუხსნა“ — თქვა მწვრთნელმა.

ლუის ვან გაალის საქმე განსხვავებულია. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ირლანდიასთან ფრის და პორტუგალიასთან წაგების მერე მწვრთნელისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ, თუნდაც ამხანაგურ მატჩში. მაგრამ ვან გაალმა ამ შეხვედრისთვის უძლიერესი ფეხბურთელების შეკრება ვერ შეძლო. მიზეზი ტრავმებია. იაპ სტამის პოზიციაზე ეინდჰოვენელი კევინ ჰოფლანდი ითამაშებს, რომლისთვისაც ეს სანაკრებო დებიუტი იქნება. ნაკრებში ასევე პირველადაა მიწვეული ფეიენოორდელი პატრიკ პაავვე, ხოლო ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს თავდასხმაში არნოლდ ბრუგინკი შეუწყვილდება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

ესპანეთი: იკერ კასილიასი, კარლეს პუიოლი, აბელარდო, ფერნანდო იერო, სერხი, ხავი, რუბენ ბარახა, გაისკა მენდიეტა, ლუის ენრიკე, რაული, ისმაელ ურსაისი.

ჰოლანდია: ედვინ ვან დერ სარი, მიხაელ რაიციგერი, კევინ ჰოფლანდი, ფრანკ დე ბური, უინსტონ ბოგარდი, პოლ ბოსველტი, კლარენს ზეედორფი, ედგარ დავიდსი, ფილიპ კოკუ, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, არნოლდ ბრუგინკი.



ლუის ვან გაალი პატრიკ კლუივერტს: ალბათ, შეცვლაზე გთამაშებ

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. X ტური.

# ეკვადორი და სხვები ეკვატორზე

**სამხრეთამერიკელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ნახევარი განვლეს და დღეს მეორე წრის პირველ მატჩებს გამართავენ. რას ველოდოთ? თეორიულ შანსებზე თუ ვიმსჯელებთ, კორეა-იაპონიაში გამგზავრება ვენესუელელებსაც შეუძლიათ, ისევე როგორც არგენტინას — ჯგუფში ჩარჩენა. თუმცა რეალისტები თუ ვიქნებით, ვენესუელას უნდა გაუჭირდეს ოთხეულში მოხვედრის მოსურნე ეკვადორთან გამკლავება; არგენტინაც არაფერს დაუთმობს იოლად ჩილელებს; ბრაზილია შეეცდება, არ გადაასწრებინოს კოლუმბიას, კოლუმბია კი — პირიქით; ურუგვაის ახლანდელი მეხუთე ადგილი არ აკმაყოფილებს და ბოლივიასთან პაექრობა წინ წაწევის კარგ შესაძლებლობას აძლევს; პერუს, ფაქტობრივად, ბოლო შანსი აქვს შელახული რეპუტაციის აღსადგენად, მაგრამ როგორი საქმეა პარაგვაისთან სტუმრად თამაში...**

### ჩილე — არგენტინა

ახლახან ვწერდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩილეს ნაკრებთან მატჩის წინ არგენტინელებს ბლომად პრობლემა აქვთ. ტრავმირებულები არიან ხავიერ ძანეტი და კლაუდიო ლოპესი, ხოლო დიეგო სიმეონე დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

ახლა ახალი თავსატეხიც — ერთდროულად დაშავდნენ რივერპლეიტელი პაბლო აიმარი, ლაციოელი ერნან კრესპო და რომაელი გაბრიელ ბატისტუტა. მწვრთნელი მარსელო ბიელსა საჩქაროდ დაფაცურდა და ფეხმტკივან ვარსკვლავებს შემცვლელები გამოუძებნა. აიმარს ბოკახუნიორსელი გილიერმო ბაროს ჩელოტო შეცვლის, ერნან კრესპოს — ბოლონიელი ხულიო კრუზი, რომელიც იტალიაში ამ ზაფხულს „ფეიენოორდიდან“ 11,4 მილიონ დოლარად გადავიდა, ბატიგოლის შემცვლელად კი მწვრთნელმა მარტინ პალერმო შეიგულა.

გავიხსენოთ, რომ სამშობლოში მოთამაშე არგენტინელთაგან პალერმო ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება, თუმცა წინა სეზონში მიღებულმა მუხლის უმძიმესმა ტრავმამ თამაშს შვიდი თვით ჩამოაცილა და არცთუ დიდი ხანია, რაც მოედანს დაუბრუნდა. მარტინ პალერმო კიდევ ის კაცია, რომელმაც წინა „კოპა ამერიკაზე“ ერთ შეხვედრაში სამი პენალტი გააფუჭა.

გასულ უქმეებზე სერია A-ში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ მატჩში ერთი ლაციოელიც, მარსელო სალასიც დაშავდა — ჩილელი ურუგვაელ პაოლო მონტეროს ძალიან ძლიერად შეეჯახა. მაგრამ, როგორც ჩანს, ტრავმა უმნიშვნელოა, რაკი სალასი სანტიაგოში ჩავიდა და ომახიან განცხადებებს აკეთებს: „ჩილეს არგენტინის დამარცხება შეუძლია, მე კი — თამაში. ნაკრების ექიმებს გავესინჯე და საგანგაშო ვერაფერი აღმომიჩინეს. ტკივილსაც აღარ ვგრძნობ. მოკლედ, მზად ვარ.“

### ბრაზილია — კოლუმბია

ორშაბათის ვარჯიშზე კუნთი იტკინა და კოლუმბიასთან თამაშს გამოაკლდება რომარიო. გავიხსენოთ, რომ იგი ორწლიანი შესვენების შემდეგ ახლახან დაუბრუნდა ნაკრებს და ორ თამაშში შვიდი გოლი გაიტანა. მისი უთამაშებლობის მიზეზი კი ჯერ ტრავმა გახლდათ, ხოლო მერე ის, რომ ვანდერლეი ლუქსემბურგომ აითვალისწუნა. „რომარიო, სავარაუდოდ, კარგა ხანს ვერ შეძლებს თამაშს“ — განაცხადა ნაკრების ექიმმა ჟოზე ლუიშ რუნკომ, ხოლო ახალმა მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ მის ნაცვლად ედმუნდოს უხმო.

რომარიოს მსგავსად, ედმუნდოც დიდი ხანი იყო ნაკრებიდან მოკვეთილი — საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, რადგან ავი ზნის გამო ვერავის ეგუებოდა. მხოლოდ ერთხელ მიიწვიეს იგი ამ შესარჩევ ეტაპზე — აპრილში, როცა ბრაზილია პერუს შეხვდა და ჭირვეულმა ვარსკვლავმა მაშინაც წითელი ბარათი დაიმსახურა.

თითქოს ბედის ირონიაა, რომ რომარიო სწორედ ედმუნდომ შეცვალა. საქვეყნოდ ცნობილია მათი არამეგობრული ურთიერთობის ამბავი. „ვასკუ და გამაში“ ერთად თამაშის დროს ისინი მინდორზეც არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ყველა წვრილმანის გამო ჩხუბობდნენ. საბოლოოდ ედმუნდო „სანტოსში“ გადავიდა.

ახლა რომარიო ამბობს: „როგორც გავიგე, ედმუნდო თურმე ჩემთან ერთად ნაკრებში თამაშზე ოცნებობს. ღმერთმა დამიფაროს, ოდესმე კვლავ ვიყო მისი თანაგუნდელი.“

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 9 | 7 | 1 | 1 | 20:8 | 22 |
| ბრაზილია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:9 | 17 |
| პარაგვაი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 17 |
| კოლუმბია | 9 | 4 | 3 | 2 | 8:6 | 15 |
| ურუგვაი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:7 | 14 |
| ეკვადორი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:13 | 13 |
| ჩილე | 9 | 3 | 1 | 5 | 11:11 | 10 |
| პერუ | 9 | 2 | 2 | 5 | 6:8 | 8 |
| ბოლივია | 9 | 2 | 2 | 5 | 5:14 | 8 |
| ვენესუელა | 9 | 1 | 0 | 8 | 5:26 | 3 |



მარტინ პალერმოსგან პენალტების გაფუჭებას ნუღარ ელით

## საბერძნეთი

IV ტური

აეკ — პანიონიოსი 81:71, ირაკლისი — მილონი 110:77, ნიარ ისტი — ოლიმპიაკოსი 75:82, პაოკ — პანათინაიკოსი 63:80

მაკედონიკოსი — პერისტერი, დაფნი — არისი, მარუსი — ირაკლიონი გადაიდო და გაიმართება 27 ნოემბერს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 4 | 4 | 0 | 344:284 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | 0 | 357:308 | 8 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 1 | 338:287 | 7 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 2 | 346:328 | 6 |
| პერისტერი | 3 | 3 | 0 | 248:225 | 6 |
| პანიონიოსი | 4 | 2 | 2 | 362:348 | 6 |
| პაოკ | 4 | 2 | 2 | 281:288 | 6 |
| მილონი | 4 | 2 | 2 | 371:390 | 6 |
| მარუსი | 3 | 1 | 2 | 257:271 | 4 |
| ირაკლიონი | 3 | 1 | 2 | 244:259 | 4 |
| არისი | 3 | 1 | 2 | 249:272 | 4 |
| ნიარ ისტი | 4 | 0 | 4 | 308:348 | 4 |
| დაფნი | 3 | 0 | 3 | 232:274 | 3 |
| მაკედონიკოსი | 3 | 0 | 3 | 245:300 | 3 |

## ესპანეთი

V ტური

ბრეოგანი — ხირონა 79:68, კოსტაბლანკა — ესტუდიანტესი 87:88, პამესა — ფორუმი 97:88, ტაუ — ბარსელონა 91:98, კანარიასი — ორენსე 72:77, ფუენლაბრადა — კასერესი 94:60, უნიკახა — ხუვენტუდი 102:87, კანტაბრია — ხიხონი 80:77, რეალი — კახა სან ფერნანდო 77:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 5 | 5 | 0 | 424:372 | 10 |
| უნიკახა | 5 | 4 | 1 | 460:368 | 9 |
| ბრეოგანი | 5 | 3 | 2 | 410:411 | 8 |
| ფუენლაბრადა | 4 | 3 | 1 | 343:293 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 373:326 | 7 |
| ესტუდიანტესი | 4 | 3 | 1 | 355:337 | 7 |
| ფორუმი | 5 | 2 | 3 | 427:436 | 7 |
| სან ფერნანდო | 5 | 2 | 3 | 393:403 | 7 |
| ორენსე | 5 | 2 | 3 | 385:395 | 7 |
| კასერესი | 5 | 2 | 3 | 354:378 | 7 |
| ხუვენტუდი | 5 | 2 | 3 | 396:424 | 7 |
| კანარიასი | 5 | 2 | 3 | 366:405 | 7 |
| კანტაბრია | 5 | 2 | 3 | 377:427 | 7 |
| ტაუ | 4 | 2 | 2 | 346:338 | 6 |
| რეალი | 4 | 2 | 2 | 320:317 | 6 |
| ხირონა | 5 | 1 | 4 | 384:419 | 6 |
| კოსტაბლანკა | 5 | 1 | 4 | 367:416 | 6 |
| ხიხონი | 4 | 1 | 3 | 313:328 | 5 |

## იტალია

V ტური

ბენეტონი — ფორტიტუდო 72:79, კინდერი — აეროპორტი 89:87, რეჯანა — რიმინი 76:78, სიენა — იმოლა 94:87, ტრიესტი — კორდივარი 62:70, მონტეკატინი — ადეკო 80:74, სკავოლინი — მიულერი 94:101,ვარეზე — კანტუ 110:96, სნაიდერო — აველინო 78:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 5 | 5 | 0 | 407:336 | 10 |
| ბენეტონი | 5 | 4 | 1 | 422:359 | 9 |
| კინდერი | 5 | 4 | 1 | 434:373 | 9 |
| კორდივარი | 5 | 4 | 1 | 417:393 | 9 |
| სკავოლინი | 5 | 3 | 2 | 447:389 | 8 |
| მონტეკატინი | 5 | 3 | 2 | 426:416 | 8 |
| მიულერი | 5 | 3 | 2 | 475:466 | 8 |
| აეროპორტი | 5 | 3 | 2 | 415:425 | 8 |
| სიენა | 5 | 3 | 2 | 380:400 | 8 |
| რიმინი | 5 | 3 | 2 | 411:431 | 8 |
| აველინო | 5 | 2 | 3 | 420:409 | 7 |
| სნაიდერო | 5 | 2 | 3 | 419:428 | 7 |
| რეჯანა | 5 | 2 | 3 | 431:450 | 7 |
| იმოლა | 5 | 2 | 3 | 413:464 | 7 |
| ვარეზე | 5 | 1 | 4 | 428:456 | 6 |
| ტრიესტი | 5 | 1 | 4 | 382:410 | 6 |
| კანტუ | 5 | 0 | 5 | 396:448 | 5 |
| ადეკო | 5 | 0 | 5 | 354:442 | 5 |



დინამოელი თორნიკე ნინიაშვილი (ბურთით) და გიორგი ჩხეიძე

# შევარდენმა ბაზიერი დაკორტნა

**3 ტური**

14 ნოემბერი. ვერის ბაღი

**დინამო 71:79 შევარდენი**

17:18, 14:15, 19:29, 21:17

**დინამო:** თორთლაძე (13), ნინოშვილი (12), კუდია, ნინიაშვილი (15), შენგელია (20); ჩაველეიშვილი (9), ლ. აბულაძე (2)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (14), გ. ჩხეიძე (8), გიგაური (17), ქევხიშვილი (4), სუხიშვილი (19); ფრანგიშვილი (1), კაზანჯიანი, მაჭავარიანი (13), გოგუა (3)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**თავის** დროზე ეს შეხვედრა უშუქობის გამო გადაიდო. მესამე ტურში გასამართი მატჩი გუშინღა ჩატარდა, ამჯერად განათებულ ვერის ბაღის დარბაზში. სატურნირო თვალსაზრისითაც და ისედაც მატჩს გამორჩეული ინტრიგა ახლდა თან. გამარჯვების შემთხვევაში „დინამო" ერთ ქულამდე შეამცირებდა „შევარდენთან" ჩამორჩენას და ექვსეულში მოხვედრის პერსპექტივას ხელშესახებს გახდიდა. წაგებით კი ლევან მოსეშვილის გუნდი ურთულეს ვითარებაში ჩაიგდებდა თავს და ელიტარულ ექვსეულში შეღწევის შანსს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

რაკი მოსეშვილი ვახსენეთ, აქვე ისიც ვთქვათ, რომ „დინამოს" დამრიგებელს, ფაქტობრივად, თავის ყოფილ გუნდთან უწევდა ჭიდილი. ასე განსაჯეთ, „შევარდენის" ძირითადი ხუთეულის ოთხ წევრს — ნოზაძეს, ჩხეიძეს, ქევხიშვილს და სუხიშვილს შარშან სდასუ-ში წვრთნიდა მოსეშვილი. ასე რომ, მან მოწინააღმდეგე გუნდის ავანჩავანი კარგად იცოდა და საკითხავი ისღა იყო, რას დაუპირისპირებდა მოსეშვილი ყოფილ შეგირდებს.

შეხვედრის დებიუტში მეტოქეებმა ზონური დაცვა ირჩიეს. პირველი სროლა დინამოელმა დავით თორთლაძემ განახორციელა. მისმა შორეულმა სამქულიანმა მიზანს უწია და „დინამო" 3:0 დაწინაურდა. თორთლაძის, მოგვიანებით კი კახაბერ შენგელიას ჩაგდებულს „შევარდენის" მხრიდან ორჯერვე გიორგი ჩხეიძე გამოეხმაურა და მისი ზუსტი სამქულიანის შემდეგ ტაბლოზე თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა — 5:5.

ამის მერე დუნედ და ქულა-ქულაში გაგრძელდა თამაში, ნელ-ნელა ფარქვეშ „შევარდენი" გაბატონდა, რის შედეგადაც სერგო იშხნელის გუნდს სწრაფი პირველი შეტევების განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. შეირგეს კიდეც საავიაციოქარხნელებმა ეს შანსი, გამთამაშებელმა ნიკოლოზ ნოზაძემ ზედიზედ სამი სწრაფი შეტევა განავითარა და სამივე თავადვე დაასრულა. „შევარდენიც" ხუთი ქულით (13:8) გაექცა „დინამოს".

მოსეშვილის გუნდმა მდევრის როლში ყოფნა იუკადრისა, ფარქვეშ პოზიციები გაიმყარა და ნინიაშვილისა და შენგელიას ძალისხმევით მეტოქეს ანგარიში გაუთანაბრა, თუმც პირველი მეოთხედის მიწურულს საჯარიმოს ხაზიდან შევარდნებმა მეტად იყოჩაღეს და ორწუთიან შესვენებაზე ერთქულიანი უპირატესობით გაეშურნენ.

მეორე ათწუთეულის საწყისი წუთები ორივე მხრიდან გარბენების სიუხვით გამოირჩა, მატჩი კი კვლავინდებურად თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა. სერგო იშხნელმა წამყვანი მოთამაშეების ბოლომდე შენარჩუნების მიზნით შეცვლები განახორციელა, რამაც ერთხანს არეულობა შეიტანა „შევარდენის" ბანაკში. თითქმის მთლიანად მოიშალა ამ გუნდის უკანა ხაზი, რაც „დინამომ" სათავისოდ ვერ გამოიყენა და, ცხადია, ვერც საფუძვლიანად დაწინაურება შეძლო. მოგვიანებით გამოერკვა „შევარდენი", თამაში დაალაგა და პირველი მეოთხედის მსგავსად მეორეც მინიმალური სხვაობით დაასრულა თავის სასარგებლოდ, რაშიც ლომის წილი თამაზ გიგაურმა დაიდო.

მესამე ათწუთეულის გმირი შევარდენელი კახა მაჭავარიანი შეიქნა. მან ჯერ სამქულიანით დალაშქრა მეტოქის კალათი, შემდეგ სამი საჯარიმო მოათავსა, მოგვიანებით კი კვლავაც შორი მანძილიდან ივარგა. მალევე მორიგი სამქულიანი ჩაიწერა აქტივში მაჭავარიანის თანაგუნდელმა ნოზაძემ, თავისიანებს ვასილ გოგუამაც შეაშველა ხელი და „შევარდენი" 13 ქულით მოსწყდა მოწინააღმდეგეს.

ლევან მოსეშვილმა სასწრაფოდ მოხსნა ზონური დაცვა და კალათბურთელები პერსონალურ მეურვეობაზე გადააწყო. ამას უცბად ვერ აუღეს ალღო დინამოელებმა და ერთხანს 17 ქულითაც (45:62) ჩამორჩნენ „შევარდენს", თუმც ბოლო, მეოთხე ათწუთეულის დაწყებამდე ოდნავ გამოისწორა საქმე მოსეშვილის სამწყსომ და კალათბურთელებს მატჩის გადარჩენის იმედიც ჩაესახათ.

ამის მერე „დინამომ" ცენტრზე, კახაბერ შენგელიაზე გადაიტანა თამაში, რადგან გარედან არაფერი გამოსდიოდა. მეოთხე ათწუთეულის დაწყებიდან ლამის ოთხი წუთი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში დინამოელებმა ორადორი ქულის გაქვითვა შეძლეს, რამაც მოსეშვილი კიდევ ერთხელ აიძულა, დაცვითი ტაქტიკა შეეცვალა — მწვრთნელმა მთელ მოედანზე პრესინგი ბრძანა. ამან შედეგი გამოიღო, მატჩი „დინამოს" კარნახით გაგრძელდა, მომდევნო ოთხი წუთი ამ გუნდმა 11:2 მოიგო და დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მეტოქისგან 3 ქულაღა აშორებდა. იშხნელმა ერთ წუთში ორივე წუთშესვენება გამოიყენა, თუმც ამაზე მეტად მაჭავარიანის გარჯა დაფასდა — კახამ ძალიან რთული პოზიციიდან „შევარდენისთვის" მეტისმეტად საჭირო სამიანი ჩააგდო და თავისი გუნდი 6 ქულით გაიყვანა წინ. არანაკლებ დროული იყო ნიკოლოზ ნოზაძის სამქულიანიც, რამაც „დინამო" საბოლოოდ გატეხა წელში. მატჩის დასრულებამდე დარჩენილ ერთ წუთსა და 16 წამში 8-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა დინამოელთა ძალებს აღემატებოდა...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 8 | 0 | 823:539 | 16 |
| აზოტი | 7 | 6 | 1 | 566:454 | 13 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | 636:632 | 11 |
| შევარდენი | 8 | 4 | 4 | 641:683 | 11 |
| სტუ-ჯეოსელი | 6 | 4 | 2 | 595:549 | 10 |
| ვითა-სტუ 2 | 8 | 2 | 6 | 644:791 | 10 |
| მაკაბი | 6 | 3 | 3 | 546:504 | 9 |
| დინამო | 7 | 1 | 6 | 571:668 | 8 |
| სსუ | 7 | 0 | 7 | 492:694 | 7 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# მეთვალყურე პიპენი

13 ნოემბერი

**კლიპერსი 76:90 დალასი**

**კლიპერსი:** რიჩარდსონი (19), ოდომი (18)
**დალასი:** ბრედლი (22), ნოვიცკი (16)

**ნიუ ჯერსი 82:94 პორტლენდი**

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (24), მარტინი (18 ქულა, 5 დაფარება)
**პორტლენდი:** სმიტი (17), ვოლესი (16 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

ამ უქმეებზე ნაჯაფარი გუნდების უმრავლესობა ორშაბათს ისვენებდა. ამ დღეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა და ორივეგან სტუმრებმა იმარჯვეს.

ქვეყნის უკიდურესი დასავლეთის მკვიდრმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა" ათდღიანი და შვიდთამაშიანი აღმოსავლური ტურნე ისტ რეზერფორდში იქაური „ნიუ ჯერსი ნეთსის" ძლევით დაიწყო, თუმც კლუბის ხელმძღვანელები მაინც არ მალავენ უკმაყოფილებას ცუდი კალენდრის გამო. ცხადია, ზედიზედ შვიდი გასვლითი თამაშის ჩატარების პერსპექტივა, ისიც ი ათ დღეში, არავის ხიბლავს. „პორტლენდს" ამაზე ცუდი კალენდარი შორეულ 1977 წელს ჰქონდა, რვამატჩიანი ტურნე აღმოსავლეთში. სხვათა შორის, იმ წელს „ბლეიზერსი" პირველად და უკანასკნელად გახდა ასოციაციის ჩემპიონი.

„ბლეიზერსი" წლეულსაც ჩემპიონობისკენ იმზირება, თუმც წინა სეზონის ნახევარფინალისტს რეგულარული ჩემპიონატის სტარტი ვერ გამოუვიდა ისეთი, როგორსაც ისურვებდა. როგორც ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სკოტი პიპენი ამბობს, მათ აკლიათ მკვლელის ინსტიქტი და ამის გამო წლეულს უკვე სამჯერ მოასწრეს დამარცხება.

„პორტლენდს" „ნიუ ჯერსისთანაც" აკლდა საბრძოლო შემართება, თუმც ამან სტუმრებს ხელი ვერ შეუშალა, თამაში დამაჯერებლად მოეგოთ.

შეხვედრა სტუმართა აშკარა უპირატესობით დაიწყო, ნიუჯერსელი „ბადეები" სწრაფ პირველ შეტევებზე არიან ორიენტირებულნი, რისთვისაც დაცვაში სიფხიზლე მართებთ, ამ შეხვედრაში კი მეტოქე ადვილად უძვრებოდა მათ მოქსოვილ ბადეს და ბურთს ბურთზე უგდებდა. უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს სხვაობამ 17 ქულას უწია. მეორე თორმეტწუთეულში მასპინძლებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. გუნდის ლიდერი სტივენ მარბერი პირველი პერიოდის თვლემის შემდეგ გამოფხიზლდა და მეურვის, დეიმონ სტუდემაიერის ჩაგვრას მიჰყო ხელი. 178-სანტიმეტრიანი სტუდემაიერი აშკარად ვერ უმკლავდებოდა ათი სანტიმეტრით მაღალ მარბერის და მისი გუნდი თვალსა და ხელს შუა ფლანგავდა უპირატესობას. მარბერის ბენეფისი იქამდე გაგრძელდა, სანამ მეურვე არ გამოუცვალეს და „მეთვალყურედ" სკოტი პიპენი არ დაუნიშნეს. პიპენს იმ დღეს შეტევაში თავი არ გამოუდვია, სულ რვა ქულას დასჯერდა, სამაგიეროდ, საკუთარ ნახევარზე სანაქებოდ ირჩებოდა. პიპენი ამპლუით ფრთაა, მაგრამ ცენტრის გარდა ნებისმიერ პოზიციაზე თავს მშვენივრად გრძნობს და ყველას მეურვეობაც შეუძლია. მან მარდ და ტექნიკურ მარბერის ერთხელ დაუფარა და ორჯერაც ბურთი მოჰპარა. მას შემდეგ, რაც პიპენი „მიამაგრეს", მარბერის ნაყოფიერება მკვეთრად დაეცა და ამან „ნიუ ჯერსის" თამაშის ხარისხზეც იმოქმედა. მარბერიმ შეწყვიტა ხუთმატჩიანი სერია, რომლებშიც ოცდაათზე მეტი ქულა მოჰქონდა თავისიანთათვის და რომლის წყალობითაც იგი მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირთა სიის სათავეში მოექცა. ამას ისიც დაერთო, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოთამაშემ, აწ კი „ნიუ ჯერსის" ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა მსაჯებთან გაუთავებელი კამათისა და პრეტენზიების ერთობ ხმამაღლა გამოთქმისთვის მესამე მეოთხედში მეორე ტექნიკური შენიშვნა მიიღო და სათადარიგოთა სკამიდან აბარგებამ მოუწია. მასპინძლები საბოლოოდ გატყდნენ და მარცხს ბოლო მეოთხედის დაწყებამდე შეეგუენენ.

ტექნიკურების გარეშე ვერც სტუმრები გადარჩნენ. რაღა თქმა უნდა, რაშიდ ვოლესი გამოირჩა. ერთ სეზონში მიღებული ტექნიკურების აბსოლუტურმა რეკორდსმენმა ჩვეულებას არც ამჯერად უღალატა, ერთხელ მსაჯს დაუღრიალა, რა ჯარიმას უსტვენო და ამ სეზონში მეექვსედ დაჯილდოვდა ტექნიკურით.

მეორე შეხვედრაში უსახური „ლოს ანჯელეს კლიპერსი" შინ კი თამაშობდა, მაგრამ ფავორიტად მაინც მეტოქე იყო შერაცხული. სტუმრებს იმედები გაუცრუა გუნდის ლიდერმა მაიკლ ფინლიმ, რომლისგანაც სულ მცირე 25 ქულას ელოდნენ, მან კი 19 სროლიდან მხოლოდ ოთხი ჩააგდო და ოდენ ცხრა ქულით შემოიფარგლა. სამაგიეროდ, უჩვეულოდ კარგად ითამაშა ფინლის თანაგუნდელმა, 229-სანტიმეტრიანმა აყლაყუდამ, შონ ბრედლიმ. ტეხასელთა ცენტრი სხვა შეხვედრებში მხოლოდ დაფარებებით იყო დაკავებული და მანამდე ერთ თამაშშიც ვერ მოეხერხებინა ათ ქულაზე მეტის დაგროვება. ლოს ანჯელესში იგი ამ მაჩვენებლით ჩამოვიდა — მატჩში საშუალოდ 5,6 ქულა და 6,9 მოხსნა. აქ კი მან ქულათა მოხვეჭის სალერღელი აუშალა და ბლომადაც ჩაუყარა მეტოქეს ნაცვლად იმისა, რომ თავისი ძირითადი საქმისთვის მიეხედა და მის კუთვნილ ტერიტორიაზე (ფარქვეშ) შემოჭრილი მომხდურებისთვის დაეფარებინა. ბრედლის თამაშის ეს სახესხვაობა გარკვეულწილად მეტოქის უსუსური თამაშმაც გამოიწვია. „კლიპერსში" ფაქტობრივად ვერ მოიძებნა უკანახაზელი, რომელიც გარღვევაზე ბურთს ჩააგდებდა და ბრედლიმ უქმად ყოფნას არჩია, ქულები მოეგროვებინა. მან თამაშში ცხრა ნასროლიდან რვა ჩააგდო და ექვსივე საჯარიმო გამოიყენა. „კლიპერსი" კი იოლად გატყდა, „დალასთან" ზედიზედ მეცხრედ წააგო და მომავალი გამარჯვებების იმედად დარჩა.

**ირაკლი ფირცხალავა**



ნიუ ჯერსი — პორტლენდი. კენიონ მარტინი პორტლენდელ დეილ დევისს უფარებს

## საფრანგეთი



ლე ავრი — ვილერბანი. მასპინძელი ემანუელ ლორენცი დავიდ ფრიგუს გაექცა

# პრეზიდენტმაც შემოსძახა

V ტური

**გრაველინი — მონპელიე 105:93, ლე ავრი — ვილერბანი 66:84, ანტიბი — დიჟონი 87:84, ბურგი — პო ორტეზი 79:83, შოლე — ბეზანსონი 83:78, ევრე — ლე მანი 89:90, ნანსი — სტრასბური 91:87, შალონი — რასინგი 67:70**

ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გუნდმა (საშუალო ასაკი 21 წელი) „რასინგმა“ გასულ კვირაში ორი საგარეო გამარჯვება მოიპოვა. პარიზელებმა ჯერ საპორტას თასზე ბელგრადში „ცრვენა ზვეზდას“ მოუგეს, მერე კი ჩემპიონატის მეხუთე ტურში მანამდე დაუმარცხებელ „შალონსაც“ აჯობეს. როდ სტიუარტი თავისი შეგირდებით უდავოდ კმაყოფილი უნდა იყოს.

მასპინძლები საშუალო დისტანციებიდან უხეიროდ ისროდნენ — ჯექსონის, ლისა და ოუენსის ტყორცნების უმეტესობა არაზუსტი იყო. „თუ შალონელები სროლებისას სცოდავდნენ, ეს ჩვენი კარგი დაცვის შედეგიცაა“ — განუცხადა ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპს“ პარიზელთა თავკაცმა. მართლაც, დაცვაში „რასინგი“ მშვენივრად ირჯებოდა, რისი დასტურიც ფარიდან ასხლეტილი 45 ბურთის მოხსნაა, ანუ „შალონზე“ ცხრით მეტის. თანაც დედაქალაქელები მეტად მშვიდად თამაშობდნენ და აღელვება მაშინაც არ დასტყობიათ, როცა საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე შალონელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

„ბრწყინვალეა!“ — დაიძახა მატჩის დამთავრებისთანავე „რასინგის“ პრეზიდენტმა რენე ლე გოფმა, რომელსაც ახლა საპორტას თასზე ვილნიუსში მოგების იმედიც მიეცა. პარიზელებმა თამაში კარგად დაიწყეს. ლიდერობა მათმა გამთამაშებელმა პარკერმა იკისრა და თავისი გუნდის პირველი ექვსი ქულაც მოიხვეჭა. პირველი მეოთხედი სტუმრებმა 19:15 მოიგეს, ტაიმის ბოლოს კი ანგარიშში სხვაობა გაორმაგდა — 40:32. შესვენების შემდეგ მასპინძლები გამოცოცხლდნენ, განსაკუთრებით მათი ცენტრი გულიაში (17 ქულა) გამოირჩეოდა და, როგორც უკვე ვთქვით, 38-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა — 63:63. თუმცა მერე კინგის (21 ქულა) ჯერი დადგა და ლე გოფმაც შესძახა, ბრწყინვალეაო.

ამ მოგებით „რასინგი“ თავისივე ძლეულ შალონს“ მიეწია. მათსავით 9 ქულა აქვს ლოტარინგიულ „ნანსისაც“, რომელმაც „სტრასბური“ დაამარცხა.

გათამაშების ცხრილის სათავეში კი „ვილერბანი“ და „ლე მანი“ დარჩნენ. მათ ჯერჯერობით ერთი მატჩიც კი არ წაუგიათ. ამ ტურში ძალიან გაუჭირდა „ლე მანს“, რომელიც „ევრეს“ სტუმრობდა.

შეხვედრის ბოლო წამები ილეოდა. წინ მასპინძლები იყვნენ, ბურთს კი სტუმრები ფლობდნენ და გამარჯვებულის ბედიც მათ შეტევას უნდა გადაეწყვიტა. ბოლო სროლის შესრულება მანამდე 28 ქულის ჩამგდებ კრის კინგს დაევალა, მაგრამ მისი სამქულიანი ამჯერად არაზუსტი გამოდგა. ფარიდან ასხლეტილ ბურთს კი ფრანკ მერიგე დაეუფლა და თავის გუნდს ორი ქულა მოუტანა. არადა, მოხსნებში „ევრემ“ აშკარად დაჯაბნა მეტოქე (48:30).

„ლე მანის“ სნაიპერი როჯერსი იმ დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარიყო, თორემ სტუმრებს მანამდე მხოლოდ ერთმოგებიანი „ევრეს“ დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდათ. როჯერსმა პირველ ტაიმში ერთი სამქულიანიც ვერ ჩააგდო მრავალი ცდიდან და ამიტომ მისი გუნდი მუდამ მდევრის როლში იმყოფებოდა. თუმცა შესვენების შემდეგ კინგმა და ლოუერსმა (19 ქულა) ითავეს ლიდერობა და ანგარიში მინიმუმამდეც შემცირდა. ბოლო სროლის შესახებ კი უკვე გითხარით.

„ლე მანი“ ჰავრში იოლად მომგებ „ვილერბანს“ კვლავინდებურად ბურთების უარესი შეფარდების გამო ჩამორჩება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 5 | 5 | 0 | 394:316 | 10 |
| ლე მანი | 5 | 5 | 0 | 445:411 | 10 |
| ნანსი | 5 | 4 | 1 | 423:371 | 9 |
| შალონი | 5 | 4 | 1 | 403:361 | 9 |
| რასინგი | 5 | 4 | 1 | 398:364 | 9 |
| შოლე | 5 | 3 | 2 | 387:356 | 8 |
| დიჟონი | 5 | 3 | 2 | 394:367 | 8 |
| ანტიბი | 5 | 3 | 2 | 403:391 | 8 |
| პო ორტეზი | 5 | 3 | 2 | 403:409 | 8 |
| ლე ავრი | 5 | 2 | 3 | 344:394 | 7 |
| სტრასბური | 5 | 1 | 4 | 368:377 | 6 |
| გრაველინი | 5 | 1 | 4 | 403:432 | 6 |
| ევრე | 5 | 1 | 4 | 408:438 | 6 |
| ბეზანსონი | 5 | 1 | 4 | 371:416 | 6 |
| ბურგი | 5 | 0 | 5 | 385:430 | 5 |
| მონპელიე | 5 | 0 | 5 | 388:484 | 5 |

## სლოვენია

# ცქიტიშვილი მარტო დარჩა

VIII ტური

**ლოკა კავა — კრაშკი ზიდარი 68:69, როგლა — ჰელიოსი 90:82, კრკა — კემოპლასტი 94:79, ზაგორიე — სავინსკი 75:87, პივოვარნა — ოლიმპია 78:82**

**სლოვანი 71:67 ტრიგლავი**

**სლოვანი: ნოვაკი (12), ლაკოვიჩი (12), ტაკელი (5), გრბეშიჩი (2), უგრეხელიძე (11), ჯურკოვიჩი (6), პავიჩი (2), მარავიჩი (12), კოკალი (2), ცქიტიშვილი (7)**

**ტრიგლავი: იანკოვიჩი (2), სტავროვი, ოჟბოლტი (27), კრეიჩი (13), ჩუმიჩი (6), პერკოვიჩი (8), შარე, მილიჩევიჩი (2), ტროპანი (9)**

კრანის „ტრიგლავთან“ საშინაო მატჩის მე-15 წუთზე ლიუბლიანის „სლოვანს“ ერთადერთი ჯანმრთელი ქართველი, ნიკა ცქიტიშვილი შემორჩა. დავით უგრეხელიძემ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, კარგად თამაშობდა, მაგრამ მეორე მეოთხედის შუაწელში კოჭი ამოიბრუნა და სათადარიგოებში გადაინაცვლა. ამ დროისთვის უგრეხელიძეს 11 ქულა და ორი მოხსნა ჰქონდა გაკეთებული. ტრავმა კი არცთუ ხელწამოსაკრავია — ქართველ ცენტრს კოჭი ჯერ კიდევ გასიებული აქვს, ექიმებმა სულ მცირე ერთი კვირა ვარჯიში აუკრძალეს.

ვლადიმერ ბოისას საერთოდ არ უთამაშია — ზაფხულში მიღებულმა და თითქოს მორჩენილმა მარცხენა მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი. ამჟამად ვლადიმერი არ ვარჯიშობს, დღე-დღეზე მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა ჩაუტარდება და ექიმები საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მიიღებენ. არ არის გამორიცხული, რომ ქართველი ფორვარდი საოპერაციო გახდეს. თუმცა, მედიკოსებმა დააიმედეს, ოპერაციის შემთხვევაშიც კი სამი კვირის შემდეგ თამაში შეგეძლებაო.

ტრავმამოძალებულ „სლოვანს“ ძალიან გაუჭირდა „ტრიგლავთან“. უგრეხელიძე პაველ ჯურკოვიჩმა შეცვალა. ეს მოთამაშე ლიუბლიანელთა ძირითადი ცენტრია, მაგრამ სერიოზული ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა მოედანზე და რვა წუთზე მეტი ვერ გაძლო. დამტვრეულია ფორვარდი ბოიან კოვაჩიც, რომელსაც კრიტიკულ მომენტებში არაერთხელ უტვირთია ლიდერობა. „ტრიგლავმა“ კარგად ისარგებლა მეტოქის რიგების შეთხელებით და მეორე მეოთხედშივე დაწინაურდა. კრანელები მუდმივად ათი ქულით იყვნენ წინ და მათი გამარჯვება საეჭვო აღარ უნდა ყოფილიყო.



პივოვარნა — ოლიმპია. პივოვარნელი ზორან მაროევიჩი უოლშ ჯორდანის (ბურთით) წინააღმდეგ

დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „სლოვანი“ კვლავ ათი ქულით აგებდა. ლიუბლიანელებმა ბოლო ძალა მოიკრიბეს და დაცვა გაამკაცრეს, რაშიც ლომის წილი დაიდო ნიკა ცქიტიშვილმა. მან ორი მნიშვნელოვანი ბურთი მოხსნა (სულ მატჩში — ოთხი) და თანაგუნდელებს სწრაფი შეტევების საშუალება მისცა. „სლოვანის“ ყველაზე გამოცდილმა წევრმა ერნესტ ნოვაკმა და მარკო მარავიჩმა სამიზნე გაისწორეს და „ტრიგლავის“ კალათი ამოავსეს. ლიუბლიანელებმა მეტად რთული გამარჯვება მოიპოვეს და ახლა მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფენ ლაშკოს „პივოვარნასთან“ და სეჟანას „კრაშკი ზიდართან“.

მომდევნო ტურში „სლოვანს“ ძალიან გაუჭირდება, იგი ბოისას და უგრეხელიძის გარეშე პოლზელას „სავინსკის“ ესტუმრება. ეს გუნდი კი მესამე-მეხუთე ადგილებზე განთავსებულ სამეულს ერთადერთი ქულით ჩამორჩება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 8 | 8 | 0 | 727:599 | 16 |
| ოლიმპია | 8 | 7 | 1 | 734:533 | 15 |
| პივოვარნა | 8 | 5 | 3 | 711:622 | 13 |
| სლოვანი | 8 | 5 | 3 | 635:605 | 13 |
| კრაშკი ზიდარი | 8 | 5 | 3 | 606:634 | 13 |
| სავინსკი | 8 | 4 | 4 | 652:699 | 12 |
| ჰელიოსი | 8 | 3 | 5 | 653:702 | 11 |
| როგლა | 8 | 3 | 5 | 617:700 | 11 |
| კემოპლასტი | 8 | 2 | 6 | 689:680 | 10 |
| ტრიგლავი | 8 | 2 | 6 | 617:655 | 10 |
| ზაგორიე | 8 | 2 | 6 | 607:702 | 10 |
| ლოკა კავა | 8 | 2 | 6 | 596:713 | 10 |

## თურქეთი

# სტამბოლელები ერთმანეთს დაერივნენ

V ტური

**ტელეკომი — ანტბირლიკი 106:57, გალათასარაი — დარუშაფაკა 75:84, ქომბასანი — ალთაი 77:65, მაიდენოსი — ქარშიაქა 75:88, ტროი — ბუიუქ კოლეჯი 87:82, ბეშიქთაში — ეფესი 73:77**

**ფენერბაჰჩე 81:74 ულქერი**

**ფენერბაჰჩე: ფარსი (6), ბერდი (19), აბი (9), ენდენი (4), ქუჩე (2), თექინალფი (2), ევლიაოღლუ (17), მილზი (15), ლუკოვსკი (7)**

**ულქერი: ლოლისი (2), ერდოგანი (10), ჰენდლოგტენი (8), გოლიოვიჩი (31), ერდენაი (11), გიულერი (3), გონლუმი (4), ილდირიმი (5), სარიჯა**

თურქეთის ლიგაში სტამბოლის ექვსი გუნდია. მეხუთე ტურში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მათ პაექრობაში ბევრი რამ გაირკვა.

უმთავრესი მატჩი დაუმარცხებელ გუნდებს შორის გაიმართა — „ფენერბაჰჩემ“ „ულქერს“ უმასპინძლა. შეხვედრის ბედი ერთმა კაცმა, „ფენერბაჰჩეს“ ამერიკელმა ცენტრმა ტანოკა ბერდმა გადაწყვიტა. მართალია, მას შედეგიანობით ორი თანაგუნდელი, მურათ ევლიაოღლუ და ამერიკელი საილას მილზი დიდად არ ჩამორჩნენ, სამაგიეროდ ბერდმა ფარზე გასწია განუზომლად დიდი სამუშაო. მან 21 ბურთი მოხსნა, ზუსტად იმდენი, რამდენიც „ულქერის“ მაღლებმა, ბენჯამინ ჰენდლოგტენმა (8 მოხსნა), კვადრე ლოლისმა (8) და ქერემ გონლუმმა (5) ერთად აღებულმა. ბერდის წყალობით „ფენერბაჰჩემ“ ფარი 40:30 მოიგო, რაც, საბოლოოდ, უმთავრესი აღმოჩნდა. „ულქერს“ ერთადერთი ნომინალური ცენტრი, ჰენდლოგტენი ჰყავდა, რომელიც აშკარად ვერ გაუმკლავდა ბერდს. დამარცხებულთა მეორე ცენტრი, 16 წლის ქართველი ზაზა ფაჩულია განაცხადშიც არ ყოფილა. ულქერელთა სლოვენიელ-იუგოსლავიელმა მილან გოლიოვიჩმა 31 ქულა კი გააკეთა, მაგრამ ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ფენერბაჰჩე“ ერთპიროვნულად გალიდერდა, „ულქერი“ მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ მოზიარეები გაუჩნდა — „ეფესმა“ და „დარუშაფაკამ“ თავ-თავიანთი შეხვედრები მოიგეს და ფაჩულიას გუნდს წამოეწივნენ. „ეფესი“ მეზობელ უბანში ეწვია „ბეშიქთაშს“ და დამირ მულაომეროვიჩის (23 ქულა) სანაქებო გარჯით ორი ქულა წამოიღო. „ბეშიქთაშის“ რიგებში პირველად ითამაშა ამერიკელმა ანდრე ვულრიჯმა, რომელმაც 24 ქულას მოუყარა თავი.

ზედიზედ მეოთხედ მოიგო „დარუშაფაკამ“ — სტამბოლურ გუნდებში ყველაზე წყალწაღებული „გალათასარაი“ იმსხვერპლა. გამარჯვებულთა შორის გამოირჩა 18 წლის ემრე ექიმი. მან 17 ქულა გააკეთა, რაც მატჩის საუკეთესო შედეგია.

ტურს კი ერთბაშად სამი ბომბარდირი ჰყავდა. ულქერელი გოლიოვიჩის დარად 31-31 ქულა მიითვალეს „ტელეკომის“ სლოვენიელმა რომან ჰორვატმა და „ქარშიაქას“ შემსეთინ ბაშმა. პირველმა ანთალიის „ანტბირლიკი“ დაამწუხრა, მეორემ — ანკარის „მაიდენოსი“.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 5 | 5 | 0 | 442:394 | 10 |
| ულქერი | 5 | 4 | 1 | 408:349 | 9 |
| დარუშაფაკა | 5 | 4 | 1 | 434:377 | 9 |
| ეფესი | 5 | 4 | 1 | 387:371 | 9 |
| ბეშიქთაში | 5 | 3 | 2 | 428:397 | 8 |
| ტროი | 5 | 3 | 2 | 423:400 | 8 |
| ტელეკომი | 5 | 2 | 3 | 412:374 | 7 |
| ქარშიაქა | 5 | 2 | 3 | 434:450 | 7 |
| ანტბირლიკი | 5 | 2 | 3 | 363:453 | 7 |
| ქომბასანი | 5 | 2 | 3 | 354:419 | 7 |
| მაიდენოსი | 5 | 2 | 3 | 395:404 | 7 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 4 | 385:413 | 6 |
| ალთაი | 5 | 1 | 4 | 388:433 | 6 |
| ბუიუქ კოლეჯი | 5 | 0 | 5 | 387:406 | 5 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 23.30 | 003 | ნაიმეგენი-სპარტა | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **დანია. თასი** | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 22.00 | 004 | მიდტიულანდი-ჰერფიოლგე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები** | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 501 | კვიპროსი-ანდორა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 502 | ბრაზილია-კოლუმბია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 503 | გვატემალა-კოსტა რიკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 504 | ბარბადოსი-აშშ | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| 23.30 | 505 | სან მარინო-ლატვია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 23.30 | 506 | პანამა-ტრინიდადი | 3,5 | 3,2 | 1,7 |
| 23.30 | 507 | სენტ ვინსენტი-ჰონდურასი | 4,7 | 3,5 | 1,4 |
| 24.00 | 508 | ბოლივია-ურუგვაი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 02.45 | 509 | პარაგვაი-პერუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 03.30 | 510 | ვენესუელა-ეკვადორი | 3,6 | 3,2 | 1,6 |
| 04.00 | 511 | კანადა-მექსიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 04.40 | 512 | ჩილე-არგენტინა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 05.30 | 513 | სალვადორი-იამაიკა | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (21 წლამდე)** | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 15.30 | 514 | ბოსნია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 20.00 | 515 | რუმინეთი-იუგოსლავია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 516 | საბერძნეთი-სლოვაკეთი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.30 | 517 | ალბანეთი-მალტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 518 | პოლონეთი-ისლანდია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 21.00 | 519 | მაკედონია-უნგრეთი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 520 | ტუნისი-შვეიცარია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.15 | 521 | დანია-გერმანია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 522 | ირლანდია-ფინეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 523 | თურქეთი-საფრანგეთი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 524 | იტალია-ინგლისი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.00 | 525 | შოტლანდია-ავსტრალია | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 00.30 | 526 | ესპანეთი-ჰოლანდია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 01.00 | 527 | პორტუგალია-ისრაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | **კალათბურთი. სუპერლიგა** | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 801 | რაანანა-სპლიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 802 | ოსტენდე-ირაკლისი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 803 | სიენა-ცეპტერი | 1,4 | 12,0 | 1,9 |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 804 | პლანია-პარტიზანი | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 21.00 | 805 | ცსკა-ულქერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 21.00 | 806 | ეფესი-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 807 | სკავოლინი-კრკა | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 808 | ვილერბანი-ალბა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 809 | პანათინაიკოსი-ლ.რიტასი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.30 | 810 | ბაიერი-მაკაბი | 4,0 | 12,0 | 1,1 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 21.00 | 811 | ჟალგირისი-ზადარი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 812 | ესტუდიანტესი-ლუგანო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 21.00 | 813 | პერისტერი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 21.00 | 814 | კინდერი-პეტერბურგი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 815 | ტაუ-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 21.00 | 816 | ციბონა-შარლერუა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 817 | ოლიმპია-რეალი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 21.00 | 818 | ოლიმპიაკოსი-ჰაპოელი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 819 | ბენეტონი-ოვარენსე | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 21.00 | 820 | ბარსელონა-სკაილაინერსი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 21.00 | 821 | პაოკ-ლონდონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 822 | მიულერი-ბუდუჩნოსტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 04.00 | 831 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.00 | 832 | ფილადელფია-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 833 | დეტროიტი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.00 | 834 | მილუოკი-ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 835 | მინესოტა-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 836 | ნიუ ჯერსი-მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 837 | ფინიქსი-დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 838 | კლიპერსი-ნიუ იორკი | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 04.00 | 839 | ვაშინგტონი-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 05.00 | 840 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 841 | ჰიუსტონი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 842 | დენვერი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 843 | იუტა-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 844 | ტორონტო-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 07.00 | 845 | ვანკუვერი-კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | |
| 04.00 | 901 | ვაშინგტონი-ფინიქსი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 902 | კოლუმბუსი-დალასი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 903 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 904 | ნიუ ჯერსი-სან ხოსე | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.30 | 905 | ედმონტონი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 906 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| | | **15 ნოემბერი** | | | |
| 04.00 | 907 | კაროლინა-ფლორიდა | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 909 | ატლანტა-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | დეტროიტი-სან ხოსე | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 911 | ანაჰაიმი-კოლორადო | 2,9 | 4,0 | 1,6 |
| 05.00 | 912 | ბუფალო-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 913 | მინესოტა-რეინჯერსი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| | | **16 ნოემბერი** | | | |
| 04.00 | 914 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 915 | ოტავა-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 917 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 06.00 | 918 | კალგარი-ჩიკაგო | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.00 | 919 | ფინიქსი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 920 | ლოს ანჯელესი-აილენდერსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## ქუთაისში

**ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე**

**პუშკინის №16 (ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში)**

## ბათუმში

**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

**მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75**


მაიკ ტაისონს ლუისის შიში დასწამეს


ლენოქს ლუისი ახლაც ფრენკ მელოუნის რჩევას უგდებს ყურს

# ეგრე ვინ გაჩხუბებს?!

## ლუისი ტაისონის სიტყვას და გაზაფხულს ელის

**შაბათს** მოპოვებული კიდევ ერთი გამარჯვების შემდეგ ლენოქს ლუისმა ღიად გამოიწვია მორიგ ბრძოლაში მაიკ ტაისონი. ლუისის ბანაკს სურს ეს ბრძოლა. ამ შერკინებას ელის ხალხიც. როგორც საკრივო ისტორია ადასტურებს, თუ ბრძოლა დიდია, წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცა ბოლო დროს საკრივო ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ დიდი საკრივო შერკინების მოწყობა ბევრად ძნელი საქმეა, ვიდრე ფლორიდის შტატში ამომრჩეველთა ხმების ხელახლა დათვლა.

ტაისონ — ლუისის შემთხვევაში მთავარ სირთულედ ის მოჩანს, რომ ამ ორ მოკრივეთა ჩხუბების ტელერეპორტაჟი მოშუღარ ფასიან ტელეარხებს უპყრიათ: ლუისის ბრძოლებს „ჰოუმ ბოქს ოფისი" გადასცემს, ტაისონისას „შოუთაიმი".

ამათ ორივეს სურთ თავიანთი მოკრივის ჩხუბის ჩვენება და მორიგება ჯერჯერობით გამორიცხული ჩანს. თუმცაღა ტელევეშაპების მორიგებას ჯერ აზრი არა აქვს, რადგან მაიკ ტაისონს არაფერი უთქვამს შესაძლო დიდი ორთაბრძოლის შესახებ.

მთელი წლის განმავლობაში ტაისონი იმუქრებოდა, ლუისსაც შევჭამ და მის შვილებსაც, დროზე გამოიყვანეთო, მაგრამ თავისი ბოლო ბრძოლის წინ, პოლონელ ანჯეი გოლოტასთან რომ გამართა და მორიგი ტაკიმასხარაობა იყო, ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა: ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლააო.

მაშინ ტაისონის ნათქვამი ბრძოლისწინა ეშმაკობად ჩათვალეს. ამის ახლა არავის სჯერა, მაგრამ მედიამ დღესდა იეჭვა — ტაისონმა ასე იმიტომ განაცხადა, რომ ლუისს დამალვოდაო. საიდუმლო არ არის, რომ რკინის მაიკი ჩრდილიც კი აღარ არის საკუთარი თავისა და ლუისის შემხედვარეს, გარისკვა და რინგიდან საკაცით წასვლა არ უნდა.

ტაისონს ჭკვიანი მენეჯერი შელი ფინკელი პატრონობს. როგორც ამბობენ, მაიკი იმას იზამს, რასაც მასზე ჭკვიანი კაცი გადაწყვეტს. მეორეს მხრივ კი, ყველას მობეზრდა მისი გაუთავებელი ლაპარაკი უხეშობაზე, მისი კანიბალიზმი, ხულიგნობა რინგზე და მთელი საკრივო სამყარო ელის, რომ ლუისის მუშტი სამუდამოდ მოაშორებს კრივს მსოფლიოს ყველაზე ცუდ ბიჭს.

ლუისი კი ახლა მართლაც საუკეთესოა. კრივზე მწერლები და მესვეტეები აღიარებენ: ის თავისი ამჟამინდელი დონით წარსულის დიად სახელებს უტოლდება. 35 წლისა ახლა კარიერის და შესაძლებლობის პიკზეა. ჯერჯერობით არსად ჩანს მძიმეწონოსანი, მას რომ რაიმეთი გაუტოლდესო.

ამასობაში ლუისმა საკუთარი კომპანია დაარსა და საკრივო ურთიერთობებს თავადვე განაგებს. პანოს ელიადისი აღარ არის მისი პრომოუტერი, ფრენკ მელოუნი კი მენეჯერი. ესენი მეგობრებად და მრჩევლებლად დარჩნენ. მელოუნი მკვლებურად თან ახლავს ჩემპიონს.

მომქანცველი წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც სამჯერ დაიცვა ტიტული, ლუისმა დასვენება გადაწყვიტა, გაის სექტემბრამდე ბრძოლა არ უწევს (ამბობენ, უკრაინელ კლიჩკოს უნდა შეხვდესო). თუ, რა თქმა უნდა, ტაისონთან შებრძოლების მომგვარებელი კომიტეტი არ უხმობს — გაემზადეო. ეს თუ მოხდა, გაზაფხულზე მოხდება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ქალებში სისხლი დაიღვარა

**წინა** უქმეებზე ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშება დაიწყო.

პირველივე მატჩში დაკარგა ქულა ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ბარსელონამ". კატალონიელებმა საფრანგეთში „მონპელიეს" ტაიმი კი მოუგეს — 13:11, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და ფრეს დასჯერდნენ. „ბარსას" შემადგენლობაში რვა გოლით ყველაზე შედეგიანი გუიხოსა იყო, მასპინძელთაგან საუკეთესო ფერნანდესი მას ერთი ბურთით ჩამორჩა.

ყველაზე მძიმე ბრძოლა „C" ჯგუფის ბინადართ გადახდათ — ორივე შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. ორივე განთესილმა სტუმრად ქულები დაკარგა და ცხრილსაც სათავეში აუტსაიდერები მოექცნენ, თუმცა ალბათ დროებით. ჯგუფიდან გასვლის უკეთეი შანსი მაინც „კილსა" და „გუდმეს" აქვთ.

**A ჯგუფი: „ანკარა" (თურქეთი) — „პივოვარნა" (სლოვენია) — 25:32; „რედბერგსლიდსი" (შვედეთი) — „ბადელ ზაგრები" (ხორვატია) — 23:25.**

**B ჯგუფი: „მონპელიე" (საფრანგეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი) — 25:25; „გდანსკი" (პოლონეთი) — „დუნაფერი" (უნგრეთი) — 21:25.**

**C ჯგუფი: „პალამანო" (იტალია) — „კილი" (გერმანია) — 28:28; „ბრაგა" (პორტუგალია) — „გოგ გუდმე" (დანია) — 26:25.**

**D ჯგუფი: „ბანიკი" (ჩეხეთი) — „პორტლენდ სან ანტონიო" (ესპანეთი) — 30:33; „ლოვჩენი" (იუგოსლავია) — „რუნარ სანდეფიორდი" (ნორვეგია) — 25:22.**

ბევრად მეტი სისხლი დაიღვარა ქალთა შესარჩევ თამაშებში. რეიტინგით რვა უფრო მაღლა მდგომი კლუბიდან სამი ლიგაზე ოცნებას დაემშვიდობა. საფრანგეთის „მეცმა", როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთა ჩემპიონ „აკვასთან" პირველ მატჩში მარცხისთვის შური იძია აილო — 16:15, მაგრამ ხუთბურთიანი დეფიციტის დაძლევა ვერ მოახერხა. ვოლგოგრადელთაგან ამჯერადაც ვოლკოვამ გამოიჩინა თავი — საფრანგეთში საუკეთესო დაცვას ისევ შვიდი გოლი გაუტანა. მასპინძელთა შორის მუარომ იყოჩაღა, მის ანგარიშზე მთელი გუნდის მონაგარის ზუსტად ნახევარი მოდის.

ყველაზე მოულოდნელი კი გერმანიის ჩემპიონ „ლაიპციგის" მარცხი აღმოჩნდა. ლეგენდარულ ცოლქმარ ტურჩინების ერთ დროს უძლეველი, სადღეისოდ კი ბევრად დასუსტებული კიევის „სპარტაკის" შინ ექვსი ბურთით დამარცხების შემდეგ გერმანელები არხეინად ესტუმრნენ უკრაინას. მაგრამ წინასწარ განწირულმა სპარტაკელებმა პრაქტიკულად შეუძლებელი შეძლეს, ზუსტად თავის გადასარჩენად აუცილებელი სხვაობით სძლიეს მოწინააღმდეგეს და ლიგის საგზურიც გაინაღდეს.

ამ ბოლო შესარჩევ ეტაპზე გამარჯვებული გუნდები წინასწარ ადგილდაბევებულ უფრო მაღალ რეიტინგიან რვა კლუბს დაემატებიან და იანვარში გააგრძელებენ ბრძოლას.

**„აკვა" (რუსეთი) — „მეცი" (საფრანეგთი) — 25:20, 15:16; „ფრედერიკსბერგი" (დანია) — „სლოვანი" (სლოვაკეთი) — 27:29, 28:24; „ბაეკელაგეტსი" (ნორვეგია) — „მადეირა" (პორტუგალია) — 31:22, 37:17; „სპარტაკი" (უკრაინა) — „ლაიპციგი" (გერმანია) — 27:33, 35:28; „არტასი" (საბერძნეთი) — „ოლიმპია" (სლოვენია) — 27:31, 25:20; „ფერობუსი" (ესპანეთი) — „ეგლე" (ლიტვა) — 31:23, 30:22; „ვალცეა" (რუმინეთი) — „პოდრავკა" (ხორვატია) — 19:18, 21:19; „გრაბოპლასტი" (უნგრეთი) — „მონტექსი" (პოლონეთი) — 23:19, 22:25.**

**გია ახალაძე**



# შუმახერს ამოუღეს და შინ გაუშვეს



**პარიზის** ერთ-ერთ კერძო კლინიკაში ფორმულა 1-ის სამგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს ოპერაცია გაუკეთეს ფეხიდან პლატინის ღეროს ამოსაღებად.

შეგახსენებთ, რომ გერმანელ მრბოლს შარშან სილვერსტოუნის ავტოდრომზე ავარიის შედეგად მარჯვენა ფეხი ორ ადგილას გადაუტყდა და ლითონიც სწორედ ძვლების შესაერთებლად გამოიყენეს. უცხო სხეულის მოსაცილებელი ოპერაცია არც ისე რთული პროცედურაა, ამიტომაც გართულების გარეშე ჩაიარა. აღდგენა-დასვენების პერიოდს შუმი ჯერ შვეიცარიაში, თავის სასახლეში, მერე კი დუბაიში გაატარებს, ხოლო იანვრიდან საგაისო, 52-ე ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგება.





# საფრანგეთიდან საფრანგეთში

## მარტოკაცები და მარტოქალები


კატრინ შაბო:
პირველი ქალი ნონ-სტოპი

**„BT ჩელენჯისა"** და „ტაიმს კლიპერის" რიგებს 5 ნოემბერს მესამე რეგატაც შეემატა, სახელად „ვენდი გლოუბი", რომელმაც სტარტი ბისკაის ყურის ნაპირას, ფრანგული ლე საბლ დოლონიდან აიღო. 24 პირველი კლასის ცალკორპუსიანი იახტის ამოცანა ურთულესია — მათზე ეულად მდგომმა ზღვაოსნებმა დედამიწას შეუსვენებლად უნდა შემოუარონ და, ასე სამ თვეში ლე საბლ დოლონსვე დაუბრუნდნენ. აფროსნობის ქომაგთ „სარბიელიდან" შეეძლებათ, კიდევ ერთი დიდი ამბის თანამგზავრნი იყვნენ.

„ვენდი გლოუბის" ისტორია მოკლეა. იგი მხოლოდ მეოთხედ იმართება და ტრადიციულად, ოკეანეში უძლიერეს ეულად მოხეტიალეებს უყრის თავს. გაზაფხულზე გამართული ტრანსატლანტიკური „იერეფ უან ნიუ მენ სტარიდან" მრავალი ჩვენი ნაცნობი ამ რეგატაშიც მონაწილეობს. პირველი კლასის ცალკორპუსათა გამარჯვებულ ელენ მაკარტურის დასახელება შეიძლება, ან კიდევ როლან ჟურდენისა, ამერიკულ ნიუპორტში მაკარტურის კვალად რომ შევიდა. არიან კიდევ მიშელ დეჟუაიე, კატრინ შაბო, ტიერი დიუბუა, დომინიკ ვავრი, სხვები და ბრიტანელი მაიკ გოლდინგიც, რომელსაც რეგატის დაწყებისთანავე საწყენი ამბავი შეხვდა და უკანვე, საწყის ნავსადგურში შებრუნდა. ამაზე ცოტა ქვემოთ.

რეგატის გზა თითქმის სულ სამხრეთ ნახევარსფეროში გადის, თუმცა ახლა აღარაა მე-16 ან მე-18 საუკუნე, აფრიკას სუეცის არხი ჭრის, ამერიკას — პანამისა და დედამიწის შემოვლა ჩრდილოეთ ნახევარსფეროშიც კომფორტულად შეიძლება. თუმცა „ვენდი გლოუბის" მონაწილენი უყოყმანოდ დაიძრნენ სამხრეთისკენ, რეგატის განაწესი მათ ასე უბრძანებს. იახტებმა უნდა ჩაუარონ კანარის კუნძულებს, გადაჭრან ატლანტის ოკეანე გრძივად ორ მესამედზე და მხოლოდ თითქმის ანტარქტიკამდე მისულებმა გაუხვიონ აღმოსავლეთით. ინდოეთის ოკეანეში თავიანთი ყოფნა უნდა დაადასტურონ ორგან: ჰერდის უდაბურ კუნძულთან (ავსტრალიას ეკუთვნის) და სამხრეთის 50-ე პარალელისა და აღმოსავლეთის 90-ე მერიდიანის გადაკვეთაზე. პაწია კუნძულებით მოფენილ რაიონში რეგატა წყნარ ოკეანეში გავა და ვიდრე ჰორნის კონცხამდე მივიდოდეს, კიდევ ორ პუნქტში გამოჩნდება — გრინვიჩის საპირისპირო 180-ე და 120-ე მერიდიანების გადაკვეთისას, ამერიკის უკიდურესი სამხრეთი წერტილის შემოვლისთანავე რეგატა კვლავ ჩრდილოეთით აუხვევს და ლე საბლ დოლონისკენ გასწევს. ყოველივე ეს, როგორც აღვნიშნეთ, სამიოდე თვის ამბავია.

უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისისთვის ამინდს არა უშავს. ქარი ხან სამხრეთით ქრის, ხან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზომიერად ღონივრად, ამიტომ აფროსნებმა ესპანეთის ნაპირამდე ლაღად იარეს და ბისკაის ყურიდან ოკეანეში გასულები იღბალს არ უჩივიან. მხოლოდ გოლდინგს უმტყუნა ბედმა, პორტიდან ექვსი საათის გასული იყო, როცა ანძა კინაღამ თავზე დაემხო. რა უნდა ექნა, ნავსადგურში შებრუნდა და ახლა სათადარიგო ანძის დადგმას ლამობს, რადგან რეგატის რეგლამენტით სტარტიდან მაქსიმუმ 10 დღეში ხელახალი სტარტის უფლება აქვს. წინ კი ჯერ ფრანგი ივ პარლეა, იგი მდევრებს უმნიშვნელოდ უსწრებს.

**დავით გულუა**

**14 ნოემბრის ვითარება**

1. ივ პარლე („აქვიტან ინოვასიონს", საფრანგეთი) 23168
2. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანეგთი) 23177
3. როლან ჟურდენი („სილი", საფრანგეთი) 23230
4. კატრინ შაბო („ვირლპული", საფრანგეთი) 23238
5. მარკ თიერსელინი („ეჯტივ ვეარი") 23240

გვარების გასწვრივ ფინიშამდე მანძილია მოცემული (საზღვაო მილებში)

# კონტექსტი: კონტინენტური ტესტების კონტექსტი — ოზები ევროპას, ევროპა აზიას

**ტესტი**

როვიგო. 11 ნოემბერი
4 000 მაყურებელი

**იტალია 17(9):22(12) კანადა**

**იტალია:** ბარონი, მარტინი, სტოიკა (კაპ.), მ. დალანი, მაძარიოლი (პეცი 59), ფრატი, ონგარო (დე როსი 50), კაიონე, ბერგამასკო, ვისერი (მასტროდომენიკო 78), გრიტი, მურარო (პაოლეტი 66), მოსკარდი, ლო ჩიჩერო
1 ლ — მ. დალანი (70); 4 ს — მაძარიოლი (14, 36, 40), პეცი (79)
**კანადა:** სტიუარტი, ფაუტი, ვიტკოვსკი, ნიკოლსი, სტენლი, ბარკერი, უილიამსი, ჩარონი (კაპ.), ბენქსი, ბაუგი (დიქსონი 70), ტეიტი, ჯეიმსი, სნოუ, ტოევსი, ტკაჩუკი (სტოიკოსი 47)
1 ლ — სტოიკოსი (62); 1 გ. და 4 ს — ბარკერი (10, 22, 30, 33); 1 ა — ბარკერი (41)
**გაფრთხილება:** დ. დალანი (59); ბაუგი (58), ბენქსი (69), ჩარონი (80)
**მსაჯი:** მენე (საფრანგეთი)

აპენინელებმა ამ შემოდგომაზე დაგეგმილი სამი ტესტიდან პირველი გამართეს და გაცილებით გამოცდილ კანადელებთან დამარცხდნენ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან იტალიას ძირითადი შემადგენლობის ორივე ნახევარმცველი აკლდა. ალესანდრო ტრონკონმა და დიეგო დომინგესმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა ამ მატჩში, არადა ისინი ნამდვილად დიდ ძალას წარმოადგენდნენ.

ამ დანაკლისის მიუხედავად, შეხვედრა მასპინძლების უპირატესობით დაიწყო და ჩრდილოამერიკელები კარგა ხნის განმავლობაში მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდნენ, თუმცა ანგარიში მაინც სტუმრებმა გახსნეს. ჯეირედ ბარკერმა საჯარიმო ზუსტად შეასრულა, რასაც რამდენიმე წუთში ფრანჩესკო მაძარიოლიმ ასევე ზუსტად უპასუხა. ამის მერე იტალიელები უფრო ხშირად ჯარიმდებოდნენ და ბარკერიც შეუცდომლად ურტყამდა. ასე რომ, შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე კანადა 12:3 დაწინაურდა. ტაიმის ბოლო წუთები „სკუადრა აძურასი“ იყო და მისი ტერიტორიული უპირატესობა მაძარიოლიმ ექვს ქულად აქცია.

მეორე ორმოცწუთეული კანადელთა შეტევით დაიწყო და ბარკერმა არეკნიც მიითვალა. მერე ერთმანეთის მიყოლებით ბაუგი და დიეგო დალანი გააძევა მსაჯმა ათ-ათი წუთით და მეტოქეებმა თამაში რიცხვნაკლულებმა განაგრძეს. ეს სტუმრებს უფრო წაადგათ და შეცვლაზე შესულმა სტოიკოსმა ლელო გაიტანა, რომელიც ბარკერმა გარდასახა და საკუთარი მონაგარი 17 ქულამდე გაზარდა. კანადელებმა მატჩი, ფაქტობრივად, 14 კაცით ჩაამთავრეს, რადგან მათ ბაუგის მერე ბენქსი და კაპიტანი ელ ჩარონიც გაუგდო ფრანგმა არბიტრმა. თუმცა მათ იტალიას მხოლოდ რვა ქულა დაანებეს, რაც მანუელ დალანის ლელომ და რამირო პეცის საჯარიმომ მოიტანა და გამარჯვება მაინც შეინარჩუნეს.



მარიო პეციმ კაილ ნიკოლსი ჩამოიტოვა

**ტესტი**

კარდიფი. 11 ნოემბერი
60 000 მაყურებელი

**უელსი 50(19):6(3) სამოა**

**უელსი:** რ. უილიამსი, ბეიტმანი, ტეილორი (კაპ.), გიბსი, შ. უილიამსი, ა. ტომასი, ჰოული, ჩარვისი, ქვინელი, ლუისი, ჯონსი, გოუ. ევანსი, გ. ჯენკინსი, ტომასი
6 ლ — შ. უილიამსი (2), ტეილორი, გოუ, ბეიტმანი, საჯარიმო; 4 გ. და 4 ს — ა. ტომასი
**სამოა:** პატუ, ფაასუა, სოოლეფაი, ტუილაგი, ტოალა, სანფი, სოიალო, მეალამუ, მალაიგი, ვაელუაგა, პოაჩინგი, პალეპოი, ასი, მატოიო (კაპ.), ვეირუ
2 ს — პატუ
**მსაჯი:** დიკინსონი (ავსტრალია)

უელსს ბოლო სამ შეხვედრაში სამოასთან სამჯერვე მარცხი ეწვნია და ამჯერად უცილობელ რევანშს გეგმავდა. მის ამოცანას ისიც აადვილებდა, რომ თავიანთ რაგბის კავშირსაც ფინანსური პრობლემების გამო უთანხმოება მოუვიდათ წყნარი ოკეანის ამ პატარა კუნძულის წამყვან მორაგბეებს, რომელთაც ნაკრებში თამაშზე უარი თქვეს. ასე რომ, „მილენიუმის“ სტადიონზე თავმოყრილმა 60 ათასმა ქომაგმა თავისიანებისგან სამოელთა, ფაქტობრივად, მეორე ნაკრების განადგურება იხილა.

უელსში ეს დღეებია ძლიერად წვიმს, მაგრამ შარშანდელი მსოფლიოს თასისთვის აშენებული სტადიონის მინდორს სახურავი იცავს, ამიტომ იგი მშვენიერ მდგომარეობაში იყო. მასპინძლებმა კი მოსალოდნელი ლელოების წვიმა არ დაატეხეს თავს სტუმრებს და მხოლოდ ექვსი ლელოთი დაკმაყოფილდნენ. პირველად თავი კაპიტანმა მარკ ტეილორმა გამოიჩინა, მერე სხვებმაც ივარგეს. მორკინალმა იან გოუმ კი საერთაშორისო მატჩებში პირველი ლელო მიითვალა.

20 ქულა დააგროვა არველ ტომასმაც, რომელიც ნაკრების სათავეში გრეჰემ ჰენრის მისვლის შემდეგ ორ წელიწადსა და ექვს თვეს არ გამოჩენილა უელსის უმთავრეს გუნდში. ახლა კი ჰენრიმ, როგორც იქნა, მისცა მას თავის გამოჩენის შესაძლებლობა და მორაგბემაც კარგად გამოიყენა იგი. მატჩის ბოლოს ტომასი საერთაშორისო მატჩებში ყველაზე შედეგიანმა (მსოფლიოში) ნილ ჯენკინსმა შეცვალა, მაგრამ იგი უქულოდ დარჩა, რადგან ბოლო, ბეიტმანის ლელო ვერ გარდასახა.

ასეა თუ ისე, 1988 წლიდან მოყოლებული უელსელებმა პირველად შეძლეს სამოელთა ძლევა და ძლიერაც გაიხარეს.



ირლანდიელებმა პიტერ სტრინჯერმა (მარცხნივ) და ენტონი ფოლიმ ტაკეომი იტოს გასაქანი არ მისცეს

**ტესტი**

დუბლინი. 11 ნოემბერი
15 000 მაყურებელი

**ირლანდია 78(29):9(9) იაპონია**

**ირლანდია:** მერფი, ჰიკი, ჰორგანი, ოდრისკოლი, ჰოუი, ოგარა, სტრინჯერი, დოუსონი, ფოლი, უარდი, ოკელი, ჯონსი, შეიესი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი
11 ლ — ჰიკი (3), ჰოუი (2), ოდრისკოლი (2), მერფი, სტრინჯერი, კლოჰესი, ჰენდერსონი; 10 გ. და 1 ს — ოგარა
**იაპონია:** ოჰატა, ოდა, კავაი, ნამბა, ტუიდრაკი, ჰიროსე, ოჰარა (კაპ.), კუბო, იტო, სუგავარა, ტანუმა, ტოდი, ნაკამურა, იასუდა, ფუჰიმარა
3 ს — ჰიროსე
**მსაჯი:** ვაიტჰაუზი (უელსი)

ირლანდიამ ძალიან იოლად დაამარცხა იაპონია. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. კელტების დამრტყმელმა რონან ოგარამ თითქმის უზადოდ ურტყა და პირად ანგარიშზე 23 ქულაც ჩაიწერა. იაპონელთაგან ამ ამპლუაში მოთამაშე კეიჯი ჰიროსემ კი მხოლოდ 9 ქულა მიითვალა, რაც მაინც კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ ჰიროსეს სიზუსტის წყალობით ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრები ერთი ხანობა 6:3-იც დაწინაურდა.

თუმცა ამან ირლანდიელები ერთობ გააშმაგა და მათაც უმოწყალოდ ააწიოკეს აზიელები. შედეგად კუნძულელთა ტესტში 11 ლელო გავიდა და ყველა მასპინძლების ანგარიშზეა. პირველმა თავი მცველმა ჯორდან მერფიმ გამოიჩინა, შემდეგ მშვენიერი კომბინაციის დასრულება შერკინების ნახევარმცველმა პიტერ სტრინჯერმა ითავა. შესვენებამდე კი ფრთა დენის ჰიკიმ თავისი სამი ლელოდან ორი გაიტანა, რომელთაგან პირველი მხოლოდ მისი ინდივიდუალური ოსტატობის ნაყოფი იყო. ტაიმი 29:9 დასრულდა, რაც იაპონელთათვის საკმაოდ მისაღები ანგარიში იყო.

ოღონდ სტუმრებმა მეორე ნახევარში ცუნამივით მოვარდნილ ირლანდიელთა შეტევებს ვერაფერი დაუპირისპირეს და მათი დაცვაც მთლიანად წაილეკა. ამ სტიქიურ უბედურებას იაპონიის შვიდგზის დალელოვება მოჰყვა, რასაც ოგარამ ამდენივე გარდასახვა დაამატა და სტუმრებმაც ყურებჩამოყრილებმა დატოვეს მინდორი. თუმცა ირლანდიის ნაკრებმა იაპონელთ იმხელა სხვაობით დამარცხება მაინც ვერ შეძლო, როგორითაც 25-წლამდელმა „სამყურებმა“ — გასულ შაბათს აზიელებმა 13:83 წააგეს. მთლიანად თავიანთ ევროპულ ტურნეში კი იაპონელები სამიდან სამჯერ დამარცხდნენ (საფრანგეთის „A“ ნაკრებთან 23:40), 28 ლელო და 201 ქულა გაუშვეს და მათ მთავარ მწვრთნელს სანუგეშოდ ტურნეს დაწყებამდე ნათქვამი დაუტოვეს. „ამ ტურნეს დროს მატჩების შედეგებს არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებო“ — უთქვამს რამდენიმე დღის წინ სეიჯი ჰირაოს.

**ტესტი**

ედინბურგი. 11 ნოემბერი
64 103 მაყურებელი

**შოტლანდია 9(9):30(9) ავსტრალია**

**შოტლანდია:** პატერსონი, კ. მიურეი, ბალოკი, ლესლი, სტიილი, თაუნსენდი, რედპეთი, ტეილორი, პაუნტნი (კაპ.), პეტრი (ვაიტი 64), გრიმზი (მეტკალფი 64), ს. მიურეი, გრეჰემი (მაკილვემი 54), ბრადერსტოუნი, სმიტი
3 ს — თაუნსენდი (15, 23, 30)
**ავსტრალია:** ლეითემი, ბარკი, ჰერბერტი, მორტლოკი (გრეი 72), როფი, კაფერი (ფლეტლი 55), კორდინგლი (ვიტაკერი 77), სმიტი, კეფუ (კონორსი 67), კოკბეინი (უილიამსი 41), ილზი (კაპ.), გიფინი, დაისონი (პანოჰო 48), ფოლი (ჰოლი 41), იანგი
3 ლ — ლეითემი (50), როფი (63), ბარკი (70); 3გ. და 3 ს — ბარკი (9, 25, 28)
**გაფრთხილება:** მაკილვემი (80)
**მსაჯი:** ვაიტი (ინგლისი)

მსოფლიოს ჩემპიონმა ავსტრალიამ საფრანგეთის მერე შოტლანდიაც დაამარცხა და თავისი უძლეველობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. პირველ ტაიმში სამხრეთელებმა მეტოქეს თამაშის საშუალება მისცეს, მეორეში კი იგი მეთოდურად მოახრჩვეს. ამის მოწმე „მარიფილდის“ სტადიონზე შეკრებილი სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი გახდა.

შესვენებამდე თამაში დამრტყმელთა დუელს ჰგავდა. ანგარიში მეტ ბარკმა გახსნა, რასაც გრეგორ თაუნსენდმა ორი საჯარიმოთი უპასუხა. მერე სამ წუთში, ბარკმა ისევ თავისიანები დააწინაურა, თაუნსენდმა კი 30-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. შოტლანდიელს კიდევ ორჯერ შეეძლო ქულების მოხვეჭა, მაგრამ მე-11 წუთზე არეკნი გააცუდა, ტაიმის მიწურულს კი მისი საკმაოდ შორიდან დარტყმული საჯარიმოს შემდეგ ბურთი ავსტრალიელთა ძელს მოხვდა.

მეორე ორმოცწუთეულის დასაწყისში თაუნსენდმა ერთი არეკნიც არაზუსტად დაარტყა, ამის მერე კი მინდორზე სიტუაციის ბატონ-პატრონნი სტუმრები გახდნენ. ჯერ კრის ლეითემმა ისარგებლა როდ კაფერის პასით, შემდეგ ავსტრალიელთა მცველმა თანაგუნდელს სიკეთე სიკეთით გადაუხადა და სალელოე პასიც მისცა. მესამე ლელო კი იმავე კაფერის ბრწყინვალე თამაშს მოჰყვა. მან სკოტთა მთელი დაცვა მშრალზე დატოვა და ბარკს დაალელოვებინა მასპინძლები. ბარკმა მესამე გარდასახვაც ზუსტად შეასრულა და პირადი მონაგარი 20 ქულამდე გაზარდა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი უდავოდ კაფერი შეიქნა, რომლისთვისაც ეს მე-60 (აქედან ბოლო 50 ზედიზედ) კეპი იყო.

მატჩის ბოლოს შოტლანდიას პრესტიჟის ლელოს გატანა შეეძლო, როცა მეტოქის სალელოე მოედნის სიახლოვეს დანიშნული საჯარიმო გაითამაშა, მაგრამ ავსტრალიას არაფრის დათმობა არ სურდა.

**გაიოზ თალაკვაძე**



კრის ლეითემი სეხნია პატერსონსაც დაუსხლტა...



...და შეხვედრის პირველი ლელოც გაიტანა

ნახევარფინალი
ბათუმი. ანგისა
15 ნოემბერი

**დათვები — სტუ-ყოჩები**

# დათვი უფრო ღონიერია თუ ყოჩი?

**დიდი მატჩია** დღეს ბათუმში. ნუ გაიკვირვებთ, მატჩის მნიშვნელობას ვგულისხმობთ, თორემ ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს, გნებავთ, ჩვენი საუკეთესო გუნდების მონაწილეობითაც, ეს სიტყვები რომ არ შეეფერება, ყველამ კარგად იცის. მოკლედ, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს ბათუმის „დათვები" და თბილისის „სტუ-ყოჩები" ხვდებიან. დღეს გამოჩნდება, თუ რომელ გუნდს შემორჩა საჩემპიონო ამბიცია. წლევანდელ გათამაშებაში ავტორიტეტშელახულ „სტუ-ყოჩებს" თასზე განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანშის აღების წყურვილი ჰკლავს. თბილისელთა მესაჭეს, მალხაზ ჭეიშვილს კი იმის დამტკიცება მართებს, რომ გუნდის წაფორხილება დროებითი იყო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ბათუმის „დათვები" კვლავაც საჩემპიონოდ არიან შემართულნი და სანუკვარი მიზნის მეორედ მისაღწევად არაფერს დაზოგავენ, რაშიც სოლიდური შემადგენლობა და საკუთარი მოედნის ფაქტორიც დაეხმარება. არ ვიცი, იქნებ ვცდები, მაგრამ ვერ ვიხსენებ, გათამაშების რომელიმე მატჩისთვის გუნდები ასე საგულდაგულოდ მომზადებულიყვნენ.

აქამდე დედაქალაქური კლუბები ზღვისპირა ქალაქს თამაშის დღეს სტუმრობდნენ, ამჯერად კი ეს ტრადიცია „სტუ-ყოჩებმა" დაარღვია. 9 ნოემბერს, ბათუმში ჩატარებული საქართველოს თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ დრო უქმად არ დაკარგოთო, დამღლელ მგზავრობას თავი აარიდეს, ბათუმში დარჩნენ და ნაყოფიერი შეკრებაც გაახერხეს. ეს ერთობ წაადგებათ ვიცე-ჩემპიონებს, რადგან ანგისას სტადიონს, სადაც დღევანდელი მატჩი გაიმართება, ფეხს შეაჩვევენ და უცხო გარემოს ასე თუ ისე შეეგუებიან. მართალია, ჭეიშვილის შეგირდები ძველებურად ველარ დანავარდობენ მეტოქის მცველთა შორის, მაგრამ ერთ მატჩში მობილიზება და გადამწყვეტ მომენტში გამარჯვებისთვის საჭირო ძალების მოძიება არ უნდა გაუჭირდეთ. თბილისელებს ზღვისპირელთა წინააღმდეგ რუსეთიდან მობრუნებული რატი ურუშაძე დაეხმარება, სრულ მზადყოფნაშია გუნდის ერთ-ერთი ლიდერი კახა კობახიძეც, მაგრამ მალხაზ ჭეიშვილს საფიქრალი მაინც არ ელევა. გუნდისა და საქართველოს ნაკრების მცველ ნიკოლოზ იურინს საქართველოზე გული ასცრუებია და კვლავ რუსეთს სწვევია. მის პოზიციაზე მოთამაშის შერჩევისას ჭეიშვილს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, თამაზ ფხაკაძის გუნდი ყოველმხრივ მზადაა, ზღვისპირელთა ბანაკში სიმშვიდეა. ემზადებიან „დათვები" მეტოქის დასახვედრად — ბათუმში ხომ ქვეყნის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩავიდა საომრად, რომელსაც ამჟამინდელი ჩემპიონის ბეჭებზე გაკვრა და ძველი დიდების დაბრუნება სურს. ამაზე მეტი სტიმული რა უნდა იყოს ზღვისპირელებისთვის, თანაც გაჭირვების დროსაც „სტუ-ყოჩები" მაინც გუნდად რჩება, მასთან პაექრობისას ბევრი წინასწარვე განწირულია დღესაც. ახლა კი, ამ გუნდების შეხვედრების ისტორიასაც გადავხედოთ.

„დათვები" — ყოჩების" დაპირისპირება სათავეს 1996-97 წლებიდან იღებს. იმ სეზონში „ყოჩებმა" პლეი ოფლის ორრაუნდიან ფინალში ჩემპიონატის დებიუტანტებს, ბათუმის „დათვებს" სძლია და საქართველოს პირველი გუნდიც გახდა, მომდევნო გათამაშებაში კი ზღვისპირელებმა ბოლოსწინა ტურში „ყოჩების" დამარცხებით ჩემპიონობა დაიბევეს. ამ მატჩს თან დიდი აყალმაყალი მოჰყვა. მას თბილისელი არბიტრი ნოდარ რობიტაშვილი სჯიდა. საფინალო სასტვენის შემდეგ, როცა ბათუმელი მორაგბეები გამარჯვებას ზეიმობდნენ, „ყოჩების" მობურთალებმა მსაჯის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით დაიამეს მარცხით გამოწვეული იარები. ნოდარ რობიტაშვილი დღევანდელ მატჩსაც გაუძღვება და იმედია, თავის მოვალეობას კარგად შეასრულებს, რადგან მსაჯის ერთმა შეცდომამაც კი შეიძლება ცეცხლზე ნავთი დაასხას. წლევანდელ ჩემპიონატში „დათვები" — „სტუ-ყოჩები" ოთხჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, სამჯერ ზღვისპირელებმა იმარჯვეს, ერთხელ — თბილისელებმა. რა მოხდება დღეს, კაცმა არ იცის, მცირე მოდუნებაც კი გუნდებს ძვირად დაუჯდებათ, ვინაიდან მდგომარეობის გამოსწორების მეტი შანსი აღარ მიეცემათ, ფინალისტის ვინაობა სწორედ ამ ერთ მატჩში გადაწყდება, რომელსაც „დათვები" შინაურ სარბიელზე გამართავენ. ეს უპირატესობა მათ იმიტომ ერგოთ, რომ გათამაშების ცხრილში თავიანთ დღევანდელ მოწინააღმდეგეზე მაღალი ადგილი დაიკავეს, ეგ კი არა, წარმატების შემთხვევაში ფინალური მატჩის ჩატარებაც აჭარაში შეეძლოთ, მაგრამ „ლოკომოტივი"-მა წინ არავინ გაუშვა და ფინალიც თბილისში გაიმართება.

მეტოქეთა შანსები? ძალიან რთულია ამ თამაშის შედეგის გამოცნობა, მაგრამ გავრისკავთ და ვიტყვით, რომ მცირედი უპირატესობა მაინც მასპინძელთა მხარესაა, იმის თქმა კი, თუ რომელი გუნდი გავა ფინალში, ნამდვილად გამიჭირდება. ერთი კია — დაიწყება თუ არა მატჩი, ჰაერი დენთის სუნით გაიჟღინთება და იქნება ბრძოლა, ნამდვილი ბრძოლა....

**ბაჩო სვანიძე**




დათვებთან ბრძოლაში ყოჩებს რუსეთიდან დაბრუნებული რატი ურუშაძე (ბურთით) დაეხმარება





კოლორადოელი ადამ ფუტი (52) და პიტსბურგელი იოზეფ ბერანეკი მსაჯებმა გააშველეს

# საკიკი — იაგრი 2:2

NHL

13 ნოემბერი

**ბუფალო — კალგარი 3:2**

1:1 0:1 1:0 1:0

0:1 იგინლა 7' 56 (7); 1:1 აფინოგენოვი 10'13 (3); 1:2 კოუენი 25'15 (3); 2:2 აფინოგენოვი 49'28 (4); 3:2 დიუმონი 61'29 (6)

**ფლორიდა — ატლანტა 1:4**

1:1 0:2 0:1

1:0 პ. ბურე 3'59 (9); 1:1 დომენიჩელი 5'08 (4); 1:2 ოდეტი 26'49 (8); 1:3 ბრუნეტი 37'58 (5); დონოვანი 50'05 (2)

**კოლორადო — პიტსბურგი 3:2**

1:0 1:1 0:1 1:0

1:0 საკიკი 13'47 (6); 1:1 იაგრი 27'21 (12); 2:1 ჰეიდუკი 35'29 (9); 2:2 იაგრი 40'43 (13); 3:2 საკიკი 63'56 (7)

ჯო საკიკი, კოლორადოს უცვლელი კაპიტანი მრავალი წლის განმავლობაში, არც ყინულზე გეცემათ უმალ თვალში და არც გასახდელში ლაპარაკობს ბევრს. სამაგიეროდ, სწორედ მაშინ გამოიჩენს ხოლმე თავს, როცა გუნდს ყველაზე მეტად სჭირდება. სეზონის დასაწყისში „ეველანშის" დიდებული წინსვლა პირველ ყოვლისა პეტერ ფორსბერგის ჩინებულმა თამაშმა განაპირობა, მაგრამ უქმეებზე შვედი ანაჰაიმთან მატჩში დაშავდა და არავინ იცის, როდის დაუბრუნდება თავისიანებს. თუმც გუნდი ულიდეროდ როდი დარჩა. ახლა მას ჯო საკიკი წარუძღვა.

პიტსბურგთან უაღრესად მძიმე და თანაბარ ბრძოლაში, მატჩის დამატებითი დროის ბოლოსწინა წუთი ილეოდა, როცა კაპიტანმა უმაღლესი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა, ენდრიუ ფერენსიც მოატყუა და მყისიერი დარტყმით მეკარე გარტ სნოუ გააოგნა. ამით მან კლუბის ისტორიაში საუკეთესო სტარტი კიდევ ერთი მატჩით გაახანგრძლივა. „ეველანშმა" ხუთ საშინაო თამაშში 9 ქულა დააგროვა და 29 ქულით სატურნირო ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობს.

საინტერესოდ წარიმართა საკიკისა და პიტსბურგის ლიდერის, იარომირ იაგრის ორთაბრძოლა. ჩეხი ბოლო თამაშებში მიკროტრავმების გამო არცთუ გამოირჩეოდა, მაგრამ ამჯერად, საკიკთან დუელით გამხნევებულმა, ჩინებულად ითამაშა, ორი გოლი გაიტანა და ოვერტაიმის პირველ წუთზე ჰეთ თრიქის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ პატრიკ რუამ იხსნა კარი და საბოლოოდ შეხვედრის გმირი მაინც საკიკი გახდა.

**სამველ ღარიბიანი**

## კვირის მოთამაშე



### ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი)

**ალექსეი კოვალიოვს** უნიჭიერეს, მაგრამ არასტაბილურ მოთამაშედ იცნობენ. ტექნიკური მონაცემებით რუსს ლიგაში მხოლოდ ერთეულები თუ სჯობნიან, მაგრამ ხშირი ჩავარდნების გამო ის ელიტარულ ვარსკვლავთა სიაში მაინც ვერ მოხვდა. თუმცა რეინჯერსიდან პიტსბურგში გადასვლამ კოვალიოვზე სასიკეთოდ იმოქმედა და ეს ბოლო ორი სეზონია, ჰოკეისტი ხშირად ახარებს ქომაგებს. პიტსბურგში მას, ისევე როგორც იაგრს, მოქმედების გარკვეული თავისუფლება მიანიჭეს, რამაც სავსებით გაამართლა. როდესაც რუსი ყველა ჩანაფიქრს ახორციელებს, თანაც კარგ გუნებაზეა, მისი შეჩერება მეტად ძნელი საქმეა. ამ კვირაში ეს „პინგვინების" სამივე მეტოქემ იგრძნო, განსაკუთრებით კი ფილადელფიამ, რომელთანაც შეხვედრაშიც კოვალიოვმა ჰეთ თრიქი შეასრულა, თანაც ერთხელ უმცირესობაში შეაგდო ჩინებული სოლო-რეიდის შემდეგ. საბოლოო ჯამში მან 3 მატჩში 8 (4+4) ქულა მიითვალა.

**საუკეთესო ექვსეული. 6-12 ნოემბერი**

***ევგენი ნაბოკოვი*** *(სან ხოსე, 1);* ***დენ მაკჯილისი*** *(ფილადელფია, 1)* — ***ბრაიან ლიჩი*** *(რეინჯერსი, 1);* ***ალექსეი კოვალიოვი*** *(პიტსბურგი, 1)* — ***ბრენდან შენაჰანი*** *(დეტროიტი, 1)* — ***ჯო საკიკი*** *(კოლორადო, 1)*



# კიოკუშინკაი სპონსორით

**კვირას** ვაკეში, „ფალავანთა კლუბის" თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში, „ჯთ მობილურის" სიმბოლიკით რომ მოერთოთ, საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა პირველობა გაიმართა კიოკუშინკაი კარატეში. მობილური კავშირის ნახსენები კომპანია თურმე ამ სტილით მოჩხუბარი ჩვენი კარატისტების მუდმივი სპონსორია.

მაყურებელი ცოტა იყო, მაგრამ დარბაზში უწყვეტად ისმოდა მოჩხუბართა მხარდამჭერი ხმაური, რომელსაც ძირითადად ნორჩი კარატისტები ხალიჩაზე ხელის ტყაპუნითა და შეძახილებით გამოსცემდნენ. 1984-90 წლებში დაბადებული ბავშვები ორ ჯგუფად დაიყვნენ და 4-4 ასაკობრივ ჯგუფში განაწილდნენ. 78 მონაწილე კუმიტეში ასპარეზობდა, რაც უშუალოდ მებრძოლს ნიშნავს, 19-მა კი კატა — საჩვენებელი გამოსვლები წარმოადგინა. ხალიჩის (დარბაზი საჭიდაო გახლდათ) ოთხივე კუთხეში ორ-ორი ალმით აღჭურვილი მსაჯი იჯდა და მთავარი მეხუთეც ხალიჩაზე იდგა. მსაჯები მოქნილად ხმარობდნენ კარატეს იაპონურ ტერმინოლოგიასა და ჟესტებს, ისევე როგორც კარატისტები, რომელთაგან რამდენიმემ დასამახსოვრებელი წუთები აჩუქა მაყურებელს. გამოვარჩევთ მეოთხე ასაკობრივი ჯგუფის ფინალს, მიშა წიკლაურისა და რატი წითელაძის მონაწილეობით. ბრძოლა განსაზღვრულ დროში ვერ ჩაეტია, მსაჯმა უკეთესის გამოსავლენად ორჯერ თუ სამჯერ თითო წუთი წაამატა, მაგრამ ბავშვებს დაღლა სრულებით არ დასტყობიათ. იმავე თავბრუდამხვევი სისწრაფით, როგორც დაიწყეს, იქნევდნენ ხელ-ფეხს და ისეთ დარტყმებს ახორციელებდნენ, რომ მოხვედროდა, თქვენი მონა-მორჩილის დაღრეჯა მერე გენახათ! იმათ კი თითქოს არაფერი სტკიოდათ და არაფრის ეშინოდათ. ბოლოს, როცა გამარჯვებულის ბრძოლით გამოვლენას საშველი არ დაადგა, მსაჯებმა აწონვა დაადგინეს და ამ პარამეტრით წიკლაურმა გაიმარჯვა.

მე-8 ასაკობრივი ჯგუფის ფინალის გამორჩევაც შეიძლება. იქ გიორგი გულისაშვილმა და აშოტ ოგანესიანმა იჩხუბეს და პირველმა მოიგო.

მონაწილეთა უმრავლესობა თბილისელი იყო, დანარჩენები კი აჭარისა და კახეთის (თელავი) რეგიონებიდან. ტურნირის ბოლოს ორგანიზატორმა — საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაციამ გამარჯვებულებს პრიზები გადასცა. აი, მათი გვარ-სახელებიც: არტურ არუთუნიანი, თორნიკე ბერიძე, კოტე კაკაბაძე, მიშა წიკლაური, ლევან ცინცაძე, ედუარდ ჯანოაშვილი, ბექა მჭედლიშვილი, გიორგი გულისაშვილი.

**დავით გულუა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ტორონტოდან

# ყვანჯიანი წლები

— ერთხელ ნიუ იორკში მივფრინავთ და...
— მე კიდევ, ერთხელ სასტუმროში შემემთხვა იგივე. ვანკუვერში გვქონდა გადამწყვეტი თამაში...
— მე და გორდი ჰოუ კიდევ ლოს ანჯელესში „მაკდონალდსში“ შევედით. ეს რა დროა, იცი...

ყველაზე საინტერესო სწორედ ღონისძიების მეორე ნახევარი იქნებოდა, თორემ ოფიციალურ ნაწილზე ეს ფოტოც სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის: მარცხნიდან მარჯვნივ დგანან დიდების დარბაზში მიღებული დენის სავარი, ჯო მულინი და უოლტერ ბუში, ხელში სიმბოლური ყვანჯები უპყრიათ თავიანთი შაიბებით და რეპორტიორებს აპარატებში უყურებენ. სავარი ჩიკაგოში, მონრეალსა და ტამპა ბეიში 17 წელიწადი თამაშობდა, მულინი სენტ ლუისში, კალგარიში, ბოსტონსა და პიტსბურგში 16 წელიწადი, ხოლო ბუში აშშ-ში ჰოკეის განვითარებას ბავშვობიდან ემსახურება.

# ეჭვი

წარმოგიდგენიათ? არნოლდ შვარცენეგერი ლენოქს ლუისის დნმ-სგან ხელოვნურად შექმნილი კაცი ყოფილა, რომელიც საგონებელში ჩავარდნილა, ამქვეყნად ყველას პატრონი ჰყავს, მე სადღა ჯანდაბიდან მოვედიო და საკუთარი თავის ძებნას იწყებს.

ეს გახლავთ შინაარსი ფილმისა „მეექვსე დღე“ (მოგეხსენებათ, უფალმა ადამიანი მეექვსე დღეს შექმნა), რომელიც ამერიკის კინოთეატრებში ამ დღეებში გავა და რომლის პრეზენტაციაზეც შვარცენეგერმა და ლუისმა (ძმურად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ისე, თუ ძველ ფილმს, „ტყუპებსაც“ გავიხსენებთ, სადაც იგივე შვარცენეგერი დენი დე ვიტოსთან ერთად კოლბაში ჩასახული ვინმეა, კაცს იქნებ რაღაც ეჭვიც გაგიჩნდეს:
— ბიჭო, არნოლდ, რაშია საქმე, ჰა?





REUTERS ლონდონიდან

# მდიდრები იცინიან

ამ გოგო-ბიჭს რომ უყურებთ, თბილისში, საირმის გორაზე იმხელა სახლების წამოჭიმვა შეუძლიათ, რომ მათთან ამ ჩვენი ძიების 13 ლარად და 12 თეთრად დეკლარირებული სიამაყენი ჩიტბატონას გალიად გამოჩნდება, მაგრამ არ უნდათ. მათ ლონდონის „ჰაიდ პარკში“, საერთაშორისო საკრედიტო ბარათის სარეკლამო შოუში მონაწილეობა ურჩევნიათ. ბიჭს, ტაიგერ ვუდსი რომ ჰქვია და გოლფის პელე რომაა, ,საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე ჩაუგდია ის თავის ბურთი იმ თავის ხვრელში, ხოლო გოგოს, მელანი ეპლტონს, თავის პოპ-ჯგუფ „ოლ სენტზთან“ ერთად ასევე საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე უმღერია და უმღერია.

# ქრთამნი წავლენ და წამოვლენ...

*ამ ინდოეთმა თავის კრიკეტ-სკანდალით, მართალია, თავი ძალიან მოგვაბეზრა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ამაში რაღაც სახალისოცაა. თუნდაც ეს, როგორ იღებენ ჟურნალისტები კრიკეტის საერთაშორისო საბჭოს ყოფილი პრეზიდენტის ჯაგმოჰან დალმიას ეზო-კარს ჭიშკრიდან. გამომძიებლებმა გამოჩხრიკეს, რომ ტელეუფლებების განაწილებისას დიდი მამაძაღლობა ხდებოდა.*

*ამასობაში კი გუნდები თამაშს განაგრძობენ და ინდოეთმა სატესტო სამყაროში ახალმიღებულ ბანგლადეშს მოუგო, რისთვისაც კაპიტანმა საურავ განგულიმ ჯილდო დაიმსახურა.*



REUTERS დაკადან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია აზალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge